

ათენ-  
უილსონი  
ევროპი

1985



1940 171K

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

КРАТКИЙ  
ФИЛОСОФСКИЙ  
СЛОВАРЬ

*Под редакцией*  
М. РОЗЕНТАЛЯ и П. ЮДИНА

О Г И З  
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО  
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

1939.

ପାନ୍ଦିରାମାନନ୍ଦ ପାତ୍ର ଶ୍ରୀପାତ୍ର, ଶ୍ଵାମିତ୍ରାଣି!

ଅମ୍ବା

ଆମ୍ବାକୁମାରମାନନ୍ଦ  
ଫ୍ରେଶରମାନନ୍ଦ

3521

ମ. କନ୍ଦିଲାନ୍ତିବଳୀ ଓ ଡ. ଗୁଣାଳୀ  
ରୂପାକ୍ଷରିତ



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମାଲା  
ପରିଚାରିତ ଦିନାଂକ — 1940

## გამოვლენობისაგან

„საქ. ჭ. პ. (ბ) ისტორიის მოყლევ კურსის“ გამოსვლამ და ამ მოყლევ კურსის გამოსვლასთან დაკავშირებით საქ. ჭ. პ. (ბ) ცენტრალური კუმიტეტის დადგენილებამ პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ უდიდესი ინტერესი გამოიწვიეს რევოლუციური ბოლშევიკური თეორიის შესწავლისაღმი. საბჭოთა ინტელიგენციის ფართო წრეები მუშაობენ მარქსიზმ-ლენიზმის თეორიის დაუფლებაზე. განსაკუთრებით დიდია მისწრაფება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესწავლისაღმი.

„დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი შეადგენენ კომუნიზმის თეორიულ საძირკველს, მარქსისტული პარტიის თეორიულ საფუძვლებს, ხოლო ამ საფუძვლების ცოდნა და, მაშველებს, ხოლო ასაფუძვლება წარმოადგენს ჩვენი პარტიის ყოველი აქტიური მოღვაწეებას“ (საქ. ჭ. პ. (ბ) ისტორიის მოყლევა კურსი).

ეს მოკლე „ფილოსოფიური ლექსიკონი“ მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს იმათ, ვინც სწავლობს ბოლშევიკური პარტიის თეორიულ საფუძვლებს — მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას.

ლექსიკონი არ შეიცავს ფილოსოფიური ცნებების, ტერმინებისა და სხვ. რამდენადმე სრულ ჩამოთვლას. მისი ამოცანა უფრო მარტივია: იგი განმარტავს იმ ძირითად ფილოსოფიურ ცნებებს, რომლებიც წმირად გვხვდება მარქსიზმ-ლენიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებში.

გამომცემლობა სთხოვს მკითხველებს მიაწოდონ მას თავისი აზრი და წინადადებანი, რომლებიც მხედველობაში იქნება მიღებული ლექსიკონის მეორე გამოცემის დროს.





აბსოლუტური ჭეშმარიტება. — მეტაფიზიკა  
 აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში გულისხმობს აღა-  
 მიანის ცოდნის უცვლელობას. იხილავს რა ყველა  
 საგანსა და მოვლენას როგორც უცვლელსა და  
 ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, მეტაფიზიკა  
 ყოველი ჭეშმარიტებასაც შემეცნების ერთხელ და  
 სამუდამოდ მოცემულ და მზა შედევად სთვლის.  
 დიალექტიკური მატერიალიზმი უარპყოფს ასეთი  
 სახის აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს. შემეცნება—  
 ეს არის ისტორიული პროცესი მოძრაობისა უცო-  
 დინარობიდან ცოდნისაკენ, ბუნების ცალკეულ  
 მოვლენათა, ცალკეულ მწარეთა ცოდნიდან მისი  
 უფრო ლრმა და სრული შემეცნებისკენ, მისი  
 განვითარების სულ აწალი და აწალი კანონების  
 გახსნისაკენ. შემეცნების ყოველი საფეხური შეზ-  
 ღუდულია მეცნიერების დონით, საზოგადოების  
 ცხოვრების ისტორიული პირობებით, რომლებიც  
 გარდუვალად წილიან ჩვენს ცოდნას ბუნებაზე შე-  
 ფარდებითად, ე. ი. არასრულად. მაგრამ ჩვენი  
 შემეცნების მიერ აღმოჩენილი ჭეშმარიტებანი,  
 არიან რა შეფარდებითნი, ამასთანავე ერთად  
 შეიცავენ აბსოლუტური ჭეშმარიტების ნაწილუ-  
 კსაც, ვინაიდან ისინი სწორად, თუმცა არასრუ-

ლად, ასახავენ ობიექტურ გარეგან სამყაროს. ამი-  
ტომ შემეცნება არასრული, შეფარდებითი ჭეშმა-  
რიტებათა მეშვეობით გვაასლოებს ჩვენ აბსოლუ-  
ტურ ჭეშმარიტებასთან, ე. ი. ობიექტური სამყა-  
როს სრულსა და ყოველმხრივ შემეცნებასთან.  
მაგრამ ობიექტური სამყაროს ამომწურავი შემეც-  
ნება წარმოუდგენელია. ეს შესაძლებელი იქნებო-  
და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური  
სამყარო შესწყვეტილა განვითარებას, თუ იგი შე-  
ჩერდებოდა თავის მოძრაობაში და ამოსწურავდა  
თავის თავს. მაგრამ ეს არასრულოს არ იქნება.  
სამყარო იმყოფება მარადიული მოძრაობისა და  
განახლების მდგომარეობაში. მაშასადამე, შემეც-  
ნებაც, რომელიც გარეგანი სამყაროს აზრობრივი  
ასახვა, ისევე ამოუწურავია და არ შეიძლება  
არასოდეს დასრულებულ იქნას, როგორადაც  
ამოუწურავი და უსასრულოა სამყარო.

**აბსტრაქცია მეცნიერული — განყენება არა-  
არსებითი, მეორექარისხოვანი ნიშნებისაგან და  
აზრობრივი გამოყოფა და განზოგადება ყველაზე  
არსებითი თავისებურებებისა, რომლებიც დამახა-  
სდათებელია მოვლენათა ამათური ჯგუფისათვის.  
ასე, მაგალითად, „სიტყვები, როგორიცაა „მატერია“  
და „მოძრაობა“, ეს — უძრალოდ შემოკლე-  
ბებია, რომლებშიც ჩვენ რეზიუმიეს ვუკეთებთ,  
მათი საერთო თვისებების თანამაღლი, სხვადასხვა-  
ნივთებს, რომელთაც გრძელობებით აღვიძვამთ“**

(ეს გ ე ლ ს ი). მეტნიერული აბსტრაქტიცია იძლევა უფრო სრულსა და ღრმა წარმოდგენას სინამდვი-  
ლეზე, ვიდრე უშესალო შეგრძნებანი. მაგალითად,  
უშესალო დაკვირვების დროს გვეჩვენება, რომ  
საქონელთა ფასები კაპიტალისტურ ბაზარზე საბო-  
ლოო ანგარიშით განისაზღვრება მოთხოვნითა და  
მიწოდებით. სინამდვილეში ისინი განპირობებუ-  
ლია საქონელთა წარმოებაზე დახარჯული საზოგა-  
დოებრივად-აუცილებელი შრომის რაოდენობით,  
ანუ, სხვანაირად, ღირებულებით. ღირებულების  
ცნება, რომელიც მარქესმა გამოიყვანა მეტნიერული  
აბსტრაქტიციის შედეგად, ღრმად და სწორად ასახავს  
სასაქონლო წარმოების რეალურ საზოგადოებრივ  
ურთიერთობებს. „...ეცონომიურ ფორმათა ან ალი-  
ზის დროს არ შეიძლება სარგებლობა არც მიკ-  
როსკოპით, არც ჭიმიური რეაქტივებით. ერთიც და  
მეორეც უნდა შესცვალოს აბსტრაქტიციის ძალამ“  
(მ. ა. რ ჭ ს ი).

**აგნოსტიციზმი** (ბერძნულად „ა“ — არ, „გნო-  
სას“—ცოდნა) — ფილოსოფიური. მოძღვარება,  
რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის გონება შეზ-  
ღუდულია, რომ ნივთთა ნამდვილი ბუნება ადა-  
მიანური. შემეცნებისათვის მიუწვდომელია. ამ  
თვალსაზრისშე იღვნენ იუმი და კანტი და აგრე-  
თვე ბევრი ფილოსოფოს-იდეალისტი (კონტი,  
სპენსერი, მარი და სხვ.). აგნოსტიკოსების მოძღვ-  
რების თანახმად, ჩვენ მიერ ხილვადი სამყარო,  
რომელთანაც ჩვენ საქმე ჩვაჭვს ჩვენს შემეცნება-

ში, არა წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, არამედ მხოლოდ გრძნობათა ჩვენი ორგანოებისა და გონიერის მოქმედების პროცესშითია. აგნოსტიკიზმს უკუაგდებს ცდა და პრაქტიკა. მეცნიერება დღითიდლე სულ უფროდაუფრო დრომად და ყოველმხრივად შეიცნობს ბუნების მოვლენებს. ჩვენი შემეცნებისათვის არ არსებობს საზღვრები. არ არსებობს შეუცნობადი ნივთები. არსებობს მხოლოდ განსხვავება იმასა, რაც უკვე შეცნობილია, და იმას შორის, რაც ჯერ კიდევ შეუცნობელია.

**ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი** — ურთიერთდამოკიდებულებანი, რომელიც მყარდება ადამიანებს შორის მატერიალური დოკუმენტის წარმოების პროცესში. მატერიალური დოკუმენტის წარმოება ადამიანებს შეუძლიათ არა ცალკე, არა იზოლირებულად, არამედ ერთად, მხოლოდ იმ გზით, რომ განსაზღვრული სახით ერთიანდებიან საერთო მოქმედებისათვის და ამ მოქმედების პროდუქტთა ურთიერთგაცვლისათვის. წარმოება ყოველთვის და ყველა პირობებში საზოგადოებრივი წარმოებაა. წარმოებით ურთიერთობაცვლისათვის. წარმოება ყოველთვის და ყველა პირობებში საშოგადოებრივი წარმოებაა. წარმოებით ურთიერთობაში — ეს არით ბათა ტიპები (იხ.) სხვადასხვაა, ძირითადი წარმოებით ურთიერთობაში — ეს არის დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისათვის და განკარგულებაში იმყოფება წარმოების საშუალებანი. ეს განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შთელ წყობილებას. კლასობრივ, ანტიგონის-

ტურ საზოგადოებაში წარმოებითი ურთიერთობანი გამოიხატება ქლასების შორის ურთიერთობაში, ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობაში. სოციალიზმის დროის, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობის დროის, წარმოებითი ურთიერთობანი წარმოადგენენ ეჭიპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანების თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობების. ადამიანების წარმოებით ურთიერთობათა ცვლილება ხდება. საწარმოო ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან დაკავშირებით. მაგრამ წარმოებითი ურთიერთობანი არ წარმოადგენენ საწარმოო ძალთა განვითარების პასიურ შედეგს. ვთარღდებიან რა წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების მიხედვით, თავის მხრით ისინი ზემოქმედებას ახდენენ საწარმოო ძალებზე: და აჩქარებენ ან ანელებენ ამ განვითარებას. წარმოების საშუალებებზე კერძოკაბიტალისტური საკუთრებია თანამედროვე ბურუუაზიულ საზოგადოებაში შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფება წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათთან. კაპიტალიზმის წარმოებითი ურთიერთობანი აფერთებენ საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას. ეს წინააღმდეგობა კაპიტალიზმის საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის სოციალური რევოლუციის ეკონომიკური საფუძველს წარმოადგენს. საწარმოო ძალებთან წარმოებით ურთიერთობათა სრული შესაბამიბის მაგალითს წარმო-

უღვენს ასრ კავშირი, სადაც წარმოების საშუალებები გამოიყენება საზოგადოებრივი საკუთრება იმყოფება სრულ შესაბამისობაში. წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათთან და სადაც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა განვითარების მძლავრ წყაროს წარმოადგენენ.

**ადეკვატური** — თანატოლი, შესაბამისი, თანამთხვევადი. ადეკვატური შემეცნება — შემეცნება, რომელიც ზუსტად ასახავს საგნის ან მოვლენის ყველა უაღრესად არსებით ნიშანს.

**ავენარიუსი ობიექტები (1843—1896)** — გერმანელი ფილოსოფოსი, სუბიექტური იდეალისტი, ემპირიოკრიტიკისტი (იხ.). ერთერთი დამარტინისტელი. ავენარიუსის მიხედვით, აზროვნება და ყოფიერება („მე“ და „გარემო“) იმყოფება მუდმივ, აუცილებელ კავშირში („პრინციპულ კონდინაციაში“) იმ აზრით, რომ არ არის აზროვნებას ყოფიერების გარეშე და ყოფიერება აზროვნების გარეშე. ამ კავშირის საფუძვლად ავენარიუსი ცნობიერებას სთვლის. ავენარიუსის აზრით, სამყაროს არ შეუძლია იარსებოს მოაზროვნე სუბიექტის გარეშე. ამიტომ „ავენარიუსის აზრი კომპანიის პრინციპული კონკრეტინაციას სუბიექტური იდეალიზმია“ (ლენინი). იგი ეწინააღმდეგება მეცნიერებას, რომელიც ამტკიცებს, რომ ცნობიერება მატერიის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პრიმუტების წარმოადგენს და რომ იყო დარო, როცა დედამიწაზე არ არსებობდა ადამიანი მისი ცნობი-

ერებით. ცდილობდა რა თავი დაეღწია იმ უაზრობათათვის, რომილებიამიღეც იგი მიჰყავდა მოძღვრებას „პრინციპული კოორდინაციის“ შესახებ, ავენარიუსმა წამოაყენა თეორია „პოტენციალური ცენტრიალური წევრის“ შესახებ. ამ თეორიის თანახმად, ჩვენ „მივააზროვნებთ“ ჩვენი თავს, ე. ი. წარმოგვიდგენია ჩვენი თავი იმ დროს არსებულად, როცა არ არსებობდა ადამიანი, მაგრამ უკვე იყო დედამიწის სფერო. ავენარიუსის — რეაქციული ბურუუაზიის იდეოლოგის — მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა რუს მახისტებზე: ბოგდანივზე, ბაზაროვზე და სხვ. ავენარიუსის ფილოსოფია სრულიად განადგურებულია. ლენინის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“ ავენარიუსის მთავარი შრომა არის „წმინდა ცდის კრიტიკა“, 1888—1890 წ. წ.

ათეიზმი (ულმერთობა) — რელიგიის, სასწაულების, საიქონ ცხოვრების და სხვ. რწმენის მეცნიერულად დასაბუთებული უარყოფა. ათეიზმი წარმოიშვა ძველს საბერძნეთში. მატერიალისტები დემოკრიტე, ეპიკურე უარყოფითნენ ზებუნებრივს და გვასწავლიდნენ, რომ სამყაროში არაფერია, გარდა მატერიისა, რომელიც ატომებისაგან შესდგება. XVI—XVII საუკუნეებში, ფეოდალიზმთან ბრძოლის პერიოდში, კოპერნიკის, ჯორდანი ბრუნის, გალილეის მეცნიერულმა აღმოჩენებმა გამანადგურებელი ლაპვარი ჩასცეს უმეცარ რელიგიურ წარმოდგენებს სამყაროსა და მის მოწყობილობა-

ზე. XVIII საუკ. მატერიალიზმის უდიდესი წარმომადგენელნი (დიდრო, ჰოლბახი, ლამეტრი, და სხვ.) დაუნდობლად ამხელდნენ რელიგიისა და ექლესიის შარილატნობას, რომელიც ექსპლოატაციას უწევდნენ ხალხთა მასების სიბნელეს. მაგრამ კლასობრივ ბატონობასა და ექსპლოატაციასთან რელიგიის კავშირის მეცნიერული, ღრმა გავება პირველად მხოლოდ მარქსიზმის მოგვცა. მარქსიზმი გვიჩვენა, რომ რელიგია წარმოადგენს ექსპლოატატორების მიერ მშრომელთა სულიერი დამონების იარაღს. რევოლუციური მოძრაობისა და პოლიტიკური შეგნებულობის ზრდასთან ერთად მუშათა კლასისა და მშრომელთა მოწინავე ფენები ჯერ კიდევ კაპიტალიზმის პირობებში. სწყვეტენ კავშირის რელიგიურ ცრუ რწმენასთან. რელიგიის საბოლოო მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალიზმისა და ექსპლოატაციის მოსპობით. სტალინური კონსტიტუცია (მუხ. 124) ანიჭებს მშრომელებს სინდისის სრულ თავისუფლებას, რელიგიური კულტების შესრულების თავისუფლებას და ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლებას. მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლიხედველობის პროპაგანდა და რელიგიის მავნეობის სულგრძელო ახსნა-განმარტება მშრომელთათვის — პოლიტიკური და კულტურული მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა. სოციალიზმის წარმატებათა შედეგად, კულტურისა და მეცნიერების აუკვების შედეგად, სსრ კავშირის მშრომელთა მრავალი შედეგად, სსრ კავშირის მშრომელთა მრავალი

კალმის მიღმიუნებმა სამუდამოდ გასწყვიტეს კავშირი რელიგიასთან.

**ანალიზი და სინთეზი.** — 1) ანალიზი (ბერძნულად — დაშლა) — დანაწევრება საგნისა ან მოვლენისა მის შემადგენელ უბრალო ნაწილებად. 2) სინთეზი (ბერძნულად — შეცვენა) — შეცვერთება საგნის ან მოვლენის ნაწილებისა ერთ მთელად, განხილვა საგნისა ერთიანობაში, ასვლა მარტივიდან რთულისაკენ. მეტაფიზიკა უპირისპირებს ერთმანეთს ანალიზსა და სინთეზს. მატერიალისტური დიალექტიკა, პირიჭით, გვასწავლის ანალიზისა და სინთეზის ერთიანობის შესახებ. „... აზროვნება მდგომარეობს იმდენადვე კნობიერების ობიექტების დაშლაში მათ ელემენტებად, რამდენადაც მონათესავე ელემენტების ერთიანობად გაერთიანებაში. უანალიზოდ არ არსებობს სინთეზი“ (ენ გ ე ლ ს ი). ამიტომ შემეცნების პროცესში აუცილებელია გამოვიყენოთ როგორც ანალიზის მეთოდი, ისე სინთეზის მეთოდიც, რომელიც, როგორც დაქვემდებარებული მომენტები, შედიან მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდში. მაგალითად, ადამიანის ორგანიზმის მოწყობილობის ანალიზის დროს მეცნიერები დეტალურად, დაწვრილებით სწავლობენ ცალკე თვითეულ ორგანოს. მაგრამ თვითეული ორგანოს მნიშვნელობის, როლისა და ფუნქციის სრული და ღრმა გაგებისათვის მარტოოდენ ანატომიური ანალიზი არა კმარა. ორგანიზმი აუცილებლად უნდა ავიღოთ როგორც

მთელი, ორგონული ცოცხალი და მოშემცევი არგანიზმი და შევისწავლოთ მისი შემაღენელი ნაწილები ერთიანობაში, სინთეზში.

ანიმიზმი (ლათინური სიტყვიდან „ანიმა“ — სული) — ბუნებრივ მოვლენათა გასულდგმულება, აღიარება იმისა, რომ ბუნების ყოველ საგანს უკანი მალება უხილავი, არამატერიალური სული, რომელიც განაგებს საგანს. „... ამ მისწრაფებამ განსახიერებისადმი შეჰქმნა ყველგან ღმერთები“ (ენგელსი). ანიმიზმი წარმოიშვა აღამიანთა ისტორიის გარიურაუზე, როცა აღამიანებს არ შეეძლოთ ბუნების კანონების სწორად ახსნა. პირველყოფილი ანიმიზმი წარმოადგენდა რელიგიისა და ფილოსოფიური იდეალიზმის საფუძველს.

ანტაგონიზმი, ანტაგონისტური წინააღმდეგობანი — შეურიგებელი წინააღმდეგობანი, რომლებიც სწყდება ძალდატანებითი გზით. ასე, მაგალითად, წინააღმდეგობანი ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის სწყდება სოციალისტური რევოლუციის მიერ. „ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის დარჩება კლასობრივ ბრძოლად, რომელიც, მიყვანილი თავის უაღრეს დაძაბულობამდე, სრულ რევოლუციას წარმოადგენს“ (მარქსი). სსრ კავშირში გარდამავალ პერიოდში ანტაგონისტური წინააღმდეგობანი მუშათა კლასსა, მშრომელ გლეხობასა, ერთი მხრივთ, და კულტურას შორის, მეორე მხრივთ, გადაჭრივი იქნა ძალდატანებითი გზით — მთლიანი კოლექტი-

ვიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციით. წინააღმდეგობანი მსუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობას შორის არ რტარებ ბენ ანტაგონიზმის ხასიათს. ეს წინააღმდეგობანი სსრ კავშირში გადაჭრილია წვრილ გლეხურ მეურნეობათა სოციალისტური გარდაქმნის გზით. მაგრამ არსებითი განსხვავება ამ კლასებს შორის კი დევ არსებობს. ეკონომიკური და პოლიტიკური განსხვავებანი მათ შორის სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო იშლება და თანდათან ჰქონდა.

**ანტი-დიურინგი** — შემოკლებული სახელწოდება მარქსისტული ფილოსოფიის კლასიკური ნაწარმოების — ფ. ენგელსის წიგნისა „გადატრიალება მეცნიერებაში, რომელიც მოახდინა ბ-ნ ევგენი დიურინგმა“. „ანტი-დიურინგში“ „განხილულია უდიდესი საკითხები ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგიდან... ეს განსაკუითრებლად შინაარსიანი და შეკუისასწავლო წიგნია“ (ლენინი). წიგნი მიმართული იყო გერმანელი ფილოსოფიულის დიურინგის — მარქსიზმის მტრის წინააღმდეგ. დიურინგს, რომელმაც თავის „თეორიაში“ შეახამა კულგარული მატერიალიზმი, იდეალიზმი და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი, აღტაცებით შეხვდნენ ოპორტუნისტები, განსაკუთრებით ბერნშტეინი. ენგელსმა 1877 წლიდან დაწყებული დასწერა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც აკრიტიკობული ფილოსოფიური ლექსიკონი.

ტიკებიდა დიურინგის შეხედულებებს. ეს სტატიები 1878 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. მარქსმა გადაბთვალიერა მთელი წიგნი, ხოლო II განყოფილების X თავი თვითონ დასწერა. „ანტი-დიურინგი“ უდიდესი როლი თამაშა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში. აკრიტიკებს რა დიურინგი, ენგელს იმსვე დროს სისტემაში მოჰყავს მარქსიზმის ძირითადი დებულებანი, აჯამებს თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში მარქსთან ერთად წარმოებული მეცნიერული მუშაობისა და რევოლუციური ბრძოლის შედევებს „ანტი-დიურინგი“ შესდგება სამი განყოფილებისა-გან: „ფილოსოფია“, „პოლიტიკური ეკონომიკა“, „სოციალიზმი“. შესავალში ენგელი ანალიზს უკეთებს ადამიანის აზროვნების განვითარების გზებს და ნათლად ჭადრჭყოფს განსხვავებას დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შორის. იგი ამტკიცებს, რომ „ზედმიწევნითი წარმოდგენა სამყაროსა, მის განვითარებისა და კაცობრიობის განვითარებაზე, ისევე როგორც ამ განვითარების ასახვაზე აღამიანთა თავებში, შეიძლება შეძენილ იქნას მხოლოდ დიალექტიკური გზით“. განყოფილებაში „ფილოსოფია“ ენგელი, აკრიტიკებს რა დიურინგის ფილოსოფიას, ამტკიცებს უდიდესი სიაბუნებისშეტყველო-მეცნიერული და ისტორიული მასალის სა-ფუძველზე მარქსისტული ფილოსოფიის სიმსართლესა და ცხოველზე მარქსისტული ფილოსოფიის სიმსართლეს „პოლიტიკური ეკონომიკა“ ენგელი მოკლედ აღად-

გენს მარქსის უკონკრიტური მიოძღვრებიას. ენგელსი გვიჩვენების კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივ წინასამართა შესრიგებლობას. განყოფილებაში „სოციალიზმი“ ენგელსი იძლევა სოციალიზმის მეცნიერულ დასამუთებას, უტოპიური სოციალიზმის კრიტიკას და აშშენებს ისტორიის მატერიალისტური გაგების ძირითად დემოლებებს. აქვე მოცემულია პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიისატურის დიჭიტატურის ამოცანათა დასამუთება.

**ანტითეზისი** — იხ. თე ზისი, ანტითე ზისი, სინთეზი.

**ანტიკური ფილოსოფია** — ძველი საბერძნეთისა და რომის ეპოქის ფილოსოფია; მისი განვითარების დასაწყისი — VI საუკუნე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. დასასრული — V საუკ. ჩვენი წელთაღრიცხვისა. ანტიკურ ფილოსოფიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიის ისტორიაში, ვინაიდან მისი მრავალნარი ფორმით „არსებობს ჩანასახში, წარმოშობაში, მსოფლიშედველობის თითქმის ყველა შემდგომი ტიპი“ (ენგელსი). ასე, მაგალითად, მასში უკვე გამოვლინდა ბრძოლა იდეალიზმისა (პლატონი) და მატერიალიზმის (დემოკრიტე და სხვ.) შორის. ძველი საბერძნეთის ფილოსოფიები იყვნენ „თანმობილი სტიქიური დიალექტიკასები“ (ენგელსი); ბუნება მათთვის — ეს ცვლილების, წარმოშობის და მოსპობის ნაკადის. განსაკუთრებით ცხადად დიალექტიკის ვლე-

მენტები დაჯავშირებით გულუბრყვილო მატერიალისტურ მსოფლმხედველობასთან გამოხატული აქცეს ჰერაკლიტეს, რომელიც გვასწავლიდა, რომ სამყარო, რომელიც არაა შექმნილი არავის მიერ ღმერთებიდან და აღამიანებიდან, წარმოადგენს „მარად კოცხალ კეცხლს“, რომ მსოფლიოში „ყოველივე მიმდინარეობს, ყოველივე მსულმივად იცვლება“. მაგრამ ანტიკური ფილოსოფოსების დიალექტიკური შეხედულება ბუნებაზე, რომელიც სწორია მთლიანად აღებული, მაინც არ იყო საკმარისი კერძოობათა, სამყაროს კალკეულ მოვლენათა ასახვისათვის, კალკეული საგნების ღრმა შესწავლისათვის. ანტიკური ფილოსოფოსები ჯერ კიდევ ვერ მივიღნენ ნაწილების მიხედვით ბუნების ანალიზამიდე, ნამდვილად მეცნიერული შემეცნება კი ბუნებისა მთლიანად შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შეცნობილია მისი კალკეული მხარეები. შეიძლება დადგენილ იქნას სამი პერიოდი ანტიკური ფილოსოფიის განვითარებაში: 1) მონათმფლობელური საზოგადოების შექმნის პერიოდის ფილოსოფია (VI საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე); ამ პერიოდს შეიკუთვნება მილეთის სკოლა, პითაგორა, პერაკლიტე, ელეატები. 2) აყვავებისა და კრიზისის ხანის ფილოსოფია (V საუკ. და პირველი სამი მეოთხედი IV საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე); ამ პერიოდის ყველაზე გამოჩენილი დაილოსოფოსები იყვნენ: დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე. 3) ელინიზმის ეპოქის

თვილოსოფი; ამ პერიოდში გამოდიოდნენ ეპიკურე, ნეოპლატონიკოსები (პლოტინი), სკეპტიკოსები, სტოიკოსები. ბერძნული აზრის ზეგავლენით, დაახლოებით II საუკუნის შუახანიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმოიშვება რომის ფილოსოფიაც (ლუკრეციუსი, სენიქა, კიცერონი, მარკ ავრელიუსი). ანტიკური ფილოსოფიის დაღუპვა დაკავშირებულია მონათმითვლის გელური საზოგადოების დაღუპვასთან. ანტიკურმა ფილოსოფიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მეცნიერებისა და ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე.

**აპოსტერიორი — იხ. ა პ რ ი ა რ ი რ ი.**

**აპრიორი —** წინასწარ მოცემული, გრძნობად ცდამდე, ფაქტების მიზან მოცემული. აქედან „აპრიორული მიტკიცება“ ნიშნავს მტკიცებას, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ წინასწარ განყენებულ შოსაზრებებზე, და არ ემყარება ცდასა და პრაქტიკას. წინააღმდეგ ამისა, ა პ რ ი ა რ ი ა რ ი ნიშნავს: ცდის შემდეგ, ცდიდან, ფაქტებიდან. დაალექტიკური მატერიალიზმი უარცყოფს შემცნებას, რომელიც არაა დამყარებული გრძნობად ცდაზე და პრაქტიკაზე.

**არისტოტელე (384—322 ჩვენს წელთაღრიცხვამდე)** — „ძველი დროის უდიდესი მოზროვნე“ (მ ა რ ჭ ს ი), გენიალური მეცნიერი-ენციკლოპედისტი, ბუნებისმეტყველი, ანტიკური ქვეყნის ერთერთი უდიდესი დიალექტიკოსი, ლოგიკის შემწმებელი. არისტოტელე პლატონის მოწაფე იყო,

მაგრამ მან უარპყო პლატონის იდეათა აღვეალის—  
ტური თეორია, რომელის თანახმადაც იდეები არსე-  
ბობენ უფრო ადრე და დამოუკიდებლად ნივთები-  
საგან, რომელიც იდეათა მხოლოდ უსრულო ას-  
ლებს, წარმოადგენერ. იდეა (არისტოტელეს მიხედ-  
ვით — ფორმა) იმყოფება თვით ნივთში. არისტო-  
ტელე მეტყეობს იდეალიზმისა და მატერიალიზმის  
შორის. ყოველი ერთეულადი ნივთი, არისტოტე-  
ლეს მიხედვით, შესდგება მატერიისაგან და არამა-  
ტერიალური ფორმისაგან, რომელიც განუყრე-  
ლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მატე-  
რია პასიურია; იგი — ნივთის შესაძლებლობა;  
ფორმა კი აქტიურია, იგი ძალაა, რომელიც ნივ-  
თის შესაძლებლობას სინამდვილედ აქცევს. სამყა-  
რო, არისტოტელეს მიხედვით, მარადიულია, ერ-  
თიანი; სამყაროს აქცეს ბურთის ფორმა კენტრით—  
დედამიწით, რომელის უკან მოძრაობენ „სფეროე-  
ბი“ მათზე მიმავრებული მნათობებით. მათს იქით  
იმყოფება ღმერთი „უძრავი პირველმამოძრავებე-  
ლი“ სამყაროსი და იმავე დროის მისი საბოლოო მი-  
ზანი. შემეცნების თეორიაში არისტოტელე ძლიერ  
ახლოს მიღიოდა მატერიალიზმთან, იცავდა რა,  
პლატონისაგან განსხვავებით, გრძნობათაგან კოდ-  
ნის წარმოშობას. არისტოტელეს მოძღვრება ბატო-  
ნობიდა საშუალო საუკუნეებში, მაგრამ „ხუცობაშ  
ჩაჭლა არისტოტელეში ცოცხალი და გაამარადისა  
მკვდარი“ (ლენინი). არისტოტელეს უმთავრესი  
შრომები: „მეტაფიზიკა“, „ეთიკა“, „პოლიტიკა“,

„ფიზიკა“, „სულის შესახებ“, „კატეგორიები“, „ანალიტიკა I“, „ანალიტიკა II“.

**არსი და მოვლენა.** — არსი გამოხატავს შინაგან კავშირს ბუნებაში; იგი მულავნდება მოვლენებში. მაგალითად, კაპიტალიზმის დამახასიათებელი წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო-კაპიტალისტურ ფორმას შორის არის არსი, რომელიც თავის მრავალნაირ გამოვლინებას ნახულობს: ბრძოლაში შრომისა, და კაპიტალის შორის, ეკონომიკურ კრიზისებში, უმუშევრობაში, ომებში და ა. შ. არსი და მოვლენა შეადგენენ ერთიანობას. „...არსი გვევლინება. მოვლენა არსობრივია“ (ლ ე ნ ი ნ ი). მაგრამ არსი და მოვლენა უშუალოდ არ თანაემთხვევიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, სავაჭრო კაპიტალის მოგება გვეჩვენება საქონლის ღირებულებაზე უპრალო წანამატად. ნამდვილად კი მოგების წყაროს წარმოადგენს მუშების ექსპლოატაცია, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ჰქმნიან. ამრიგად, არსი უშუალოდ არ გამოდის მოვლენაში, იგი უნდა აღმოვაჩინოთ, შევიცნოთ. „... ყოველი მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა, რომ გამოვლინების ფორმა და არსი ნივთებისა ერთმანეთს თანაემთხვეოდნენ“ (მ ა რ ქ ს ი).

**ასახვის თეორია.** — „...დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას საფუძვლად უდევს აღიარება გარეგანი სამყაროსი და მისი ასახვისა აღამიანის თავში“ (ლ ე ნ ი ნ ი). აღამიან ას

შეგრძნებანი და წარმოდგენანი წარმოადგენენ  
ობიექტური სამყაროს ნივთებისა და პროცესების  
ასლებს, ანაბეჭდს, ასახულობას. შეგრძნებანი სამ-  
ყაროს შემეცნების პირველი, გამოსავალი საფეხუ-  
რია. შემეცნება იწყება შეგრძნებებითან. „... შეგრ-  
ძნება არის ნამდვილად უშუალო კავშირი ცნობიე-  
რებისა გარეგან სამყაროსთან, გადაქცევა გარეგანი  
გალიზიანების ენერგიისა ცნობიერების ფაქტად“  
(ლ ე ნ ი ნ ი). შეგრძნებანი ადამიანის მიერ ბუნე-  
ბის შემეცნების მხოლოდ პირველი საფეხურია. შე-  
მეცნების მეორე საფეხური — ესაა ერთეულადი  
მოვლენების განზოგადება, ცნებების, კატეგორიე-  
ბის შექმნა, აღმოჩენა კანონებისა, რომელნიც ობიე-  
ქტური სამყაროს არსებით ნიშნებს ასახავენ. მეც-  
ნიერულ ცნებებში სამყარო უფრო ღრმად აისახე-  
ბა, ვიღრე უშუალოდ შეგრძნებებში, ვინაიდან  
მეცნიერების შემწეობით შეიცნობა საგანთა და  
მოვლენათა განვითარების კანონები. ადამიანი შე-  
იცნობს მის გარემონცველ სამყაროს თავისი პრაქ-  
ტიკული მოღვაწეობის, ბუნებაზე თავისი აქტიუ-  
რი ზემოქმედების პროცესში. „...ჩვენს გარეშე არ-  
სებობს ნივთები. ჩვენი აღქმანი და წარმოდგენა-  
ნი — მათი სახეებია, ამ სახეთა შემოწმებას, ჭეშ-  
მარიტი სახეების მცდართაგან გამოყოფას იძლევა  
პრაქტიკა“ (ლ ე ნ ი ნ ი). ჩვენი ცოდნის პრაქტიკუ-  
ლი შემოწმება მესამე საფეხურია. შემეცნების  
პროცესისა, ადამიანის თავში ობიექტური სამყა-  
როს კანონებისა ასახვისა, სინამდვილის ასახვა ადა-

მიანთა ცნობიერებაში კლასობრივი საზოგადოების დროს კლასობრივი ხასიათს ატარებს. საზოგადოებრივი იდეების, საზოგადოებრივი თეორიების, პოლიტიკური შეხედულებების წარმოშობის წყარო საბოლოო ანგარიშით უნდა ვეძიოთ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, საზოგადოებრივი ყოფიერებაში, რომლის ანარეკლსაც ეს იღები, თეორიები, შეხედულებანი წარმოადგენენ.

**ატომი.** — ატომის ცნება პირველად მეცნიერებაში შეტანილი იქნა დემოკრიტესა და ეპიკურეს მიერ, რომელნიც ატომს მატერიის უმცირეს, შემდგომ უკვე განუყოფად ნაწილადაც სთავლიდნენ. ასეთი სახით ატომი გამოიდიოდა შემდეგში: გასენდისა და პოლიბაზისა ფილოსოფიაში და აგრეთვე ნიუტონის ფიზიკაში. ასეთივე მეტაფიზიკური გაგებით ატომი შევიდა ქიმიასა და ფიზიის XIX საუკ. დასაწყისიდან. ფიზიკისა და ქიმიის განვითარებამ! XIX საუკუნეში ექსპერიმენტულად დაადასტურა ატომების არსებობა. დადგენილ იქნა, რომ ყოველი ქიმიური ელემენტის მოლეკული შესდგება ამ ელემენტის ატომთა განსაზღვრული რაოდენობისაგან. XIX და XX საუკ. მიჯნაზე მეცნიერებამ უარჲყო წინანუელი შეხედულება ატომზე, როგორც ნივთიერების შემდგომი განუყოფად ნაწილაკზე. ატომი აღმოჩნდა განუყოფადი, ცვალებადი, რღვევადი, რომელსაც რთული სტრუქტურა და ელექტრომაგნეტური ბუნება აქვს. ატომი შესდგება ბირთვისა და ელექტრონებისაგან. ბირთვის, თავის

მხრით, რთული აგებულება აქვს და შეიძლება და-  
იშალოს. ლენინი ამაში ხედავდა დიალექტიკური  
მატერიალიზმის მოძღვრების დაზასტურებას იმის  
შესახებ, რომ მატერიალის ერთიანი, რომ არ არ-  
სებობს აბსოლუტური საბოლოო მიჯნა ბუნებაში  
და საზღვარი მისი შემეცნებისათვის. აკრიტიკებდა  
რა ატომის მეტაფიზიკურ გაგებას, ლენინი ამბობ-  
და, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი აღიარებს  
ატომის დაუშრეტელობას და ამტკიცებს, რომ  
„ელექტრონი ისევე დაუშრეტელობა, რო-  
გორც ატომი“.

**ატრიბუტი** — საგნის არსებითი, განუყრელი თვი-  
სება. მაგალითად, მოძრაობა წარმოადგენს მატე-  
რიის ატრიბუტს.

**აუცილებლობა და შემთხვევითობა.** — აუცილებ-  
ლობაში დიალექტიკური მატერიალიზმი გულის-  
ხმობს ობიექტურ კანონზომიერებას ბუნებაში, ე. ი.  
მოვლენათა ისეთ განვითარებას, რომელიც გარ-  
დუვალობით გამომდინარეობს წინამავალი მოვ-  
ლენებიდან, მოვლენათა განვითარების მთელი ში-  
ნაგანი მსვლელობიდან. იღეალისტური ფილოსო-  
ფია ან სრულიად უარპყოფს აუცილებლობას ბუ-  
ნებაში, ანდა იგი გამოპყავს არამატერიალური ძა-  
ლებიდან — ღვთიურ დაწესებათაგან, იდეიდან.  
დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს აუცი-  
ლებლობის ობიექტივობას, შის კანონზომიერ ხა-  
სიათს. ამასთანავე ერთად დიალექტიკური მატე-  
რიალიზმი არ უარპყოფს შემთხვევითობასაც. შემ-

თხვევითობაც აგრეთვე არსებობს ობიექტურიად, მაგრამ იგი არ გამომდინარეობს აუცილებლობით მოვლენათა კანონზომიერი განვითარებიდან, თუმცა მას თავისი მიზეზი აქვს. ასე, მაგალითად, თესლიდან აუცილებლად აღმოჩენილება მცენარე, თუ თესლი მოხვდება ხელსაყრელ პირობებში, მაგრამ შესაძლოა შემთხვევები, როცა მცენარე არ მწიფდება. მაგალითად, სეტყვას შეუძლია დასეტყვოს მისი ყლორტები. მცენარის ზრდის მიმართ სეტყვა წარმოადგენს შემთხვევითობას; იგი რომ არ ყოფილიყო, მცენარეს შეეძლო მომწიფებულიყო, შემთხვევითობა არის ის, რაც შეიძლება იყოს და შეიძლება არ იყოს. მეტაფიზიკა სთიშავს შემთხვევითობას აუცილებლობისაგან: მოვლენები მისთვის ან მხოლოდ შემთხვევითია, ან აუცილებელი. მექანისტები სრულიად უარისყოფენ შემთხვევითობას. დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ აუცილებლობა და შემთხვევითობა ურთიერთ დაკავშირებული არიან, რომ შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლინების მხოლოდ დამატება. და ფორმა. განვითარების პროცესში ისინი გადადიან ერთიმეორები. ასე, მაგალითად ცალკეულ ორგანულ სახეთა შიგნით უნდივიდთა შეუმჩნეველი, შემთხვევითი განსხვავებანი შეიძლება გაძლიერდნენ თვით სახის შეცვლამდე. შემთხვევითი ცვლილებანი მაშინ აუცილებელ ცვლილებებად ხდებიან. საზოგადოებაშიც არსებობს აგრეთვე აუცილებლობა და შემთხვევითობა. „...სა-

დაც ზედაპირზე შემთხვევითობის თამაში სწარმო-  
ებს, იქ თვით ეს შემთხვევითობა ყოველთვის ში-  
ნაგანი, ფარული კანონებისაღმირ დაქვემდებარებუ-  
ლია. მთელი საქმე იმაშია, რომ აღმოვაჩინოთ ეს  
კანონები“ (ე ნ გ ე ლ ს ი). მაგალითად, კაპიტა-  
ლისტურ ბაზარზე, საქონელთა ფასები ირყევა  
მთელი რიგი შემთხვევითი მიზეზების გამო. მაგ-  
რამ ფასების ამ შემთხვევით რეცენაში თავის მოქ-  
მედებას აუცილებლობით ამჟღავნებს შრომითი  
ლირებულების კანონი. ამრიგად, „შემთხვევითობა  
სწარმოსაღენს ფორმას, რომლის იქნთ აუცილებ-  
ლობა იმალება“ (ე ნ გ ე ლ ს ი).



# ၁

**ბაზისი და ზედნაშენი.** — წარმოების წესი, ე. ი. საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი პქმნიან საზოგადოების ეკონომიურ ბაზისს (საფუძველს), რომელზედაც აღიმართება ზედნაშენთა სისტემა — პოლიტიკური წყობილება და დაწესებულებანი და აგრეთვე საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის ფორმები — მორალი, მეცნიერება, რელიგია, ფილოსოფია და სხვ. ბაზისის (კვლილებასთან ერთად იცვლება მეტად თუ ნაკლებად სწრაფად ყველა ზედნაშენიც. პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ბრძოლაში აისახება საზოგადოების (კხოვრების ეკონომიური პირობები. მაგრამ ზედნაშენი, რომელიც არაპირდაპირ თუ პირდაპირ ეკონომიური ბაზისით განისაზღვრება, არ წარმოადგენს, როგორც გულგარული ეკონომისტები ფიქრობენ, ეკონომიკის პასიურ შედეგს, და ეკონომიკა სრულიადაც არ წარმოადგენს ერთადერთ აქტიურ ძალას საზოგადოების განვითარებაში. ზედნაშენი თავის გავლენას ახდენს ბაზისზე და თავის მხრით აჩქრებს ან ანელებს საზოგადოების განვითარებას. ასე, მაგალითად, ბურჟუაზია იყენებს თავის სახელმწიფოს პროლეტარულ რევოლუციასთან ბრძოლისათვის, აბრკოლებს რა, ამრიგად, საზოგა

დოების რევოლუციურ განვითარებას. მაშასადამე, პოლიტიკური ზედნაშენი აქ აქტიურ რეაქციულ როლს თამაშობს. პროლეტარიატი, დაიპურობს რა პოლიტიკურ ძალაშუთვებას, ცხობს ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებას, რომელიც აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას, გადაპყავს წვრილი გლეხური მეურნეობა კოლექტიური, სოციალისტური შეურნეობის რელსებზე. კერძო საკუთრების ნაცვლად მყარიდება სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე. ამით პროლეტარული სახელმწიფო ჰქმნის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ეს ნათელი მაგალითია პოლიტიკური ზედნაშენის აქტიური, რევოლუციური როლისა საზოგადოების, მისი უკონომიკისა და საწარმოო ძალების განვითარებაში. ჩვენს ქვეყანაში მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცება და მარქსისტულებინური თეორიის დაუთვლება. წარმოადგენს უმნიშვნელოვანების პირობებს კომუნიზმის უმსალლეს ფაზაზე უკვე დაწყებული თანდათანობითი გადასვლის წარმატებისათვის.

**ბერტოვი—გ. ვ. პლეხანოვის (იხ.) ლიტერატურული ფსევდონიმი.**

**ბერკლი ჯორჯ (1684—1753)** — ინგლისელი ეპისკოპოსი, ფილოსოფოსი, სუბიექტური იდეალისტი. გააფორმებულ ბრძოლას ეწეოდა მატერიალიზმის, როგორც ათეიიზმის ფილოსოფიური სა-

ფუძვლის, წინააღმდეგ. ბერკლის მიხედვით ნივთა  
ად ყველა თვისობრიობა მხოლოდ აღამიანის შე-  
გრძნებანია. აქედან ბერკლი აკეთებდა დასკვნას,  
რომ ჩვენი გარემომცველი მატერიალური ნივთე-  
ბი მხოლოდ შეგრძნებათა ერთობლიობაა. საგანი  
არსებობს, რამდენადაც მას აღვიჩვამთ. არსებობა,  
ამბობდა ბერკლი, — ნიშნავს აღმმულად ყოფნას.  
„ასეთი წანამძღვარიდან გამოსული, შეუძლებელია  
მიხვიდეს სხვა ადამიანთა არსებობამდე, გარდა თა-  
ვის თავისა: ეს წმინდა სოლიპსიზმია“ (ლ ე ნ ი ნ ი).  
ესწრავათვოდა რა სოლიპსიზმის უაზრობათაგან გა-  
მოსვლას, ბერკლი უშევებდა არათანმიმდევრობას—  
ობიექტური იდეალიზმის პოზიციებზე გარასვლას  
და აღიარებდა ომერთის ობიექტურ არსებობას.  
ღმერთს ბერკლის ფილოსოფიაში დიდი ადგილი  
აქვს დათმობილი: მას შეჰყავს აღამიანის სულში  
შეგრძნებანი, „ჰემნის რა“ ამით ბუნებას. ბერკლის  
რეაქციულმა მოძღვრებამ თავისი შემდგომი გან-  
ვითარება ჰემნის მახიზმში. „მატერიალიზმია და  
ემპირიოკრიტიციზმი“ ლენინმა გამანადგურებელი  
კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბერკლისა და მის  
მიმდევართა შეხედულებანი. ბერკლის ძირითადი  
შრომები: „ტრაქტატი აღამიანური ცოდნის საწ-  
ყისებზე“, 1710 წ., და „სამი საუბარი“, 1713 წ.  
ბერნშტეინი ედუარდ (1850—1932) — რეფი-  
ზიონიზმის და პოლიტიკური ოპორტუნიზმის გერ-  
მანელი იდეოლოგი, რეფორმისტული სოციალ-  
დემოკრატიის ერთეულთა შემთხვევაში წიგნებში

ბერნშტეინმა მოახდინა მარქსიზმის ძირითად დებულებათა სრული გადასინჯვა. იგი გამოვიდა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის გარღუვალი კრაშის შესახებ, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიჭიატურის შესახებ მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ. უარცყო რა პროლეტარიატის საბოლოო მიზანი — სოციალიზმი, ბერნშტეინმა წამოაყენა ოპორტუნისტული ფორმულა: „მოძრაობა — ყველაფერია, საბოლოო მიზანი — არათვერო“. ფილოსოფიაში ბერნშტეინი გამოვიდა მატერიალისტური დიალექტიკის წინააღმდეგ, უწოდებდა რა მას „გამცემლურ ელემენტს“ მარქსის მოძღვრებაში. თვითონ ბერნშტეინი ფილოსოფიის დარგში იდეალიზმთან, კანტიანობასთან (იხ. კანტი) მარქსიზმის შეერთების ერთერთი დამცველი იყო. ლენინმა მთელ რიგ შრომებში (მსგალითად, „მარქსიზმი და რევიზიონიზმი“, „რა ვაჭროთ?“, „სახელმწიფო და რევოლუცია“ და სხვ.) ბერნშტეინის რევიზიონისტულ თეორიითა გამსანადგურებელი კრიტიკა მოგვცა.

ბოგდანოვი ა. ა. (1873 — 1928) — პროფესიით ექიმი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო; ერთხანს ემხრობოდა ბოლშევიკების. ჯერ კიდევ 1905 წ. რევოლუციამდე იწყო გაძოვალა რევიზიონისტული შეხედულებებით ფილოსოფიის დარგში. 1905—1907 წ.წ. რევოლუციის შემდეგ მკვეთრად დაშორდა ბოლშევიკებს როგორც

მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ამოკანების გავებაში, ისე თეორიის დარგშიც. იყო ორგანიზატორი ანტიბოლშევიკური ჯგუფების — „ვპერიოდოვცელებისა“ და „ოტზოვისტების“, რომელთა შესახებაც ლენინი ამბობდა, რომ ისინი წარმოადგინენ „პირშებრუნებულ მენშევიკებს, ანალი სახის ლიკვიდატორებს“. იმ ხანაშივე, რეაქციის ეპოქაში, მოაწყო მან ანტიბოლშევიკური პარტიული სკოლა კუნძულ კაპრზე. ბაზაროვთან, ლუნაჩარსკისთან, მენშევიკებთან — იუშკევიჩთან და ვალენტინოვთან ერთად ბოგდანოვი გამოვიდა მარქსიზმის ფილოსოფიურ-თეორიული საფუძვლების შენიღბული „კრიტიკით“. ბოგდანოვი ანციტარებდა მახისტური ფილოსოფიის განსაკუთრებულ სახესხვაობას — ე. მ. ვ. რ. ი. თ. შ. თ. ნ. ი. ზ. მ. ს. (იხ.). ბოგდანოვის ფილოსოფიურ თეორიათა კრიტიკა ლენინის მიერ მოცემულია შის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“. ბოგდანოვის უმთავრესი თხზულებები: „ემპირიომონიზმი“, 1904—1906 წ.წ., „ცოცხალი ცდის ფილოსოფია“, 1923 წ., „ტექტოლოგია“, 1922 წ.

„ბუნების დიალექტიკა“ — ენგელსის ნაწარმოები, პირველად გამოქვეყნდა სსრ კავშირში 1925 წელს. იგი შედგენილია ენგელსის მთელი რიგი ჩანაწერებიდან ბუნებისმეტყველების ფილოსოფიაზე 1873—1883 წ.წ. პერიოდში. ენგელსი სთვლიდა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია უნდა ემყარებოდეს ბუნების მეცნიერებათა და მათემატიკის ყოველმხრივ ცოდნას. 3. ფილოსოფიური ლექსიკონი

„ბუნების დიალექტიკა“ შეიცავს ბუნებისმეტყველების ისტორიის, მათემატიკის ლრმა ფილოსოფიურ გამოკვლევას, იძლევა ბუნებისმეტყველების უმნიშვნელოვანესი საკითხების ანალიზს მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით. მასში მოცემულია მექანისტური მატერიალიზმის და აგრეთვე მთელ რიგ ბურუუაზიულ მეცნიერ-ბუნების-მეტყველთა იდეალისტური თეორიებისა და მათი მეტაფიზიკური მეთოდის კრიტიკა.

**ბრძოლა კლასებისა — იხ. კლასობრივი ბრძოლა.**



# 3

**განვითარება — იხ.** დიალექტიკა, ევოლუცია და რეალური დარღვევების შემთხვევა.

**განსაკუთრებული** — იხ. ერთეულის აღიარების განსაკუთრებული და საყოველობრივი დარღვევების შემთხვევა.

**გარეგანი სამყარო** — ერთობლივობა ადამიანის ჯარებულების და მისგან დამოუკიდებლასად არსებული მატერიალური საგნებისა, მოვლენებისა მათ ურთიერთფავშირში. მატერიალისტისათვის გარეგანი სამყარო — ადამიანური შემეცნების ერთადერთი წყაროა. იდეალისტისათვის კი გარეგანი სამყარო — ან ზექვეყნიური სულიერი არსების შემოქმედების პროდუქტის (ობიექტური იდეალიზმი), ან კალკულური ადამიანის (ცნობიერების პროდუქტის (სუბიექტური იდეალიზმი)).

**გეოგრაფიული გარემო** — საზოგადოების გარემომცველი ბუნება, საზოგადოების ცხოვრების გარეგანი. ბუნებრივი პირობები: ჰავა, ნიადაგი, მაწის წიალთა სიმღიდორენი და სხვ. გეოგრაფიული გარემო საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ერთეურთ უცილებელ და მუდმივ პირობას წარმოადგენს. ახდენს რა ზემოქვედებას ბუნებაზე. წარ-

მოების იარაღთა შემწეობით უა იყენებს რა ბუნების ძალებს (წყალს, ცეცხლს, ჭარს და სხვ.), აღამიანი აწარმოებს თავისი არსებობისათვის აუკილებელ საშუალებებს, მატერიალურ დოკუმენტების განვითარებაზე. მას შეუძლია დააჩქაროს საზოგადოების განვითარება, თუ, მაგალითად, ამათუიმ ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა ხელსაყრელია, თუ მას ბუნებრივი სიმდიდრე გააჩნია, ანდა, პირიქით, მას შეუძლია ეს განვითარება გადაძნელოს, მაგრამ გეოგრაფიული გარემო სრულიადაც არ თამაშობს განმსაზღვრელ როლს. თვით გეოგრაფიული გარემოს გავლენა საზოგადოებაზე დამოკიდებულია მატერიალური წარმოების განვითარების დონეზე და ერთხაირი არაა საზოგადოების საწარმოო ძალთა სხვადასხვა დონის დროს. მაგალითად, მდინარეები, ზღვები საზოგადოების განვითარების პირველ საფეხურებზე აშორებდნენ აღამიანებს ერთმანეთისაგან, მაგრამ გემთმშენებლობისა და ზღვაოსნობის განვითარებასთან ერთად ისინი გადაიქცნენ მიმოსვლის გზებად და გახდნენ ხალხთა შორის დაახლოების, კავშირის საშუალებებად. ოდესაც ბევრი მთამართნეულოს (ნახშირს, ნავთობს, მაღანს და სხვ.) არ ჰქონდა მნიშვნელობა საზოგადოებისათვის; თანამედროვე მრეწველობისა და ტექნიკის პირობებში კი იგი უდიდეს როლს ასრულებს მატერიალური დოკუმენტებაში.

**გეოგრაფიული მატერიალიზმი** — მიმართულება ბა ბურულაზიულ საზოგადოებრივ მეცნიერებაში, რომელიც გეოგრაფიულ გარემოს განმსაზღვრელ მნიშვნელობას აწერს საზოგადოებრივ განვითარებაში. გეოგრაფიული მატერიალიზმი (კლიმატის განსხვავება ხალხთა შორის, განსხვავება მათ საზოგადოებრივ წყობილებას შორის ახსნას) იმ გეოგრაფიული პირობების განსხვავებით, რომლებშიც ეს ხალხები ცხოვრობენ. გეოგრაფიული მატერიალიზმის წარმომადგენელნი იყვნენ, მაგალითად, გეოგრაფიი ე. რეკლიუ და მისი რუსი მიმდევარი ლ. ი. მეჩინიკოვი. უკანასკნელი კაცობრიობის კულტურის, ცივილიზაციის განვითარებას დამოკიდებულებულს ხდიდა იმ მნიშვნელობაზე, რომელიც მრინარებსა და ზღვებს ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებისათვის აქვთ. ამიტომ იგი კაცობრიობის კულტურის მთელ ისტორიას ჰყოფდა სამდინარეო, საზღვაო და საოკეანო კულტურის ისტორიად. გეოგრაფიულ მატერიალიზმს არ შეუძლია მეცნიერულად ახსნას საზოგადოებრივი განვითარების ნამდვირლი მიზეზი. გეოგრაფიული გარემო, რომელიც ათეული ათასობით წლების განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩება, არ შეიძლება იყოს მთავარი მიზეზი საზოგადოების განვითარებისა; ეს უკანასკნელი ძირითად ცვლილებები განიცდის გაცილებით უფრო მოკლე ვადებში (ასეული წლების განმავლობაში, ხოლო ზოგჯერ უდიდესი ცვლილებები ათეული წლების მანძილზეც ხდება). საზოგადოებრივი განვითარების განმ

საზღვრებული მიზეზი შდგომისრეკომის არა გარევან  
ბუნებაში, არა გეოგრაფიულ გარემოში, არამედ  
მატერიალური დოკუმენტის წარმოების წესების შე-  
ცვლაში. რაც უფრო განვითარებულია საზოგა-  
დოების საწარმოო ძალები, მით უფრო ნაკლებადა  
დამოკიდებული საზოგადოება გეოგრაფიულ გარე-  
მოზე.

**გერმანული კლასიკური ფილოსოფია — იხ.  
კლასიკური გერმანული ფილოსოფია**

**გნოსეოლოგია** (ბერძნულად „გნოსის“ — შემე-  
ცნება და „ლოგოს“ — მოძღვრება) — შემეცნების თაონია, ფილოსოფიური მოძღვრება  
იმის შესახებ, რომ ადამიანის აქტუალური შეიცნოს  
სინამდვილე და ჩასწვდეს ჭეშმხარისტებას, მოძღვ-  
რება შემეცნების წყაროებისა (გრძნობები, გონე-  
ბა) და იმ ფორმების შესახებ, რომლებმიც იგი  
ხდება (აღჭმა, წარმოდგენა, კნება, მსჯელობა,  
დასკვნა და ა. შ.). ყოველი გნოსეოლოგიის გამო-  
სავალ წერტილს წარმოადგენს მატერიალისტური  
ან იდეალისტური გადაჭრა საკითხისა იმის შესახებ,  
თუ როგორ შეიფარდება ჩვენი შემეცნება ჩვენს  
გარემომცველ სამყაროზე თვით სამყაროს. მატე-  
რიალისტური გნოსეოლოგია გამოდის იქიდან,  
რომ ჩვენს გარეშე და ჩვენგან დამოუკიდებლად  
არსებობენ საგნები, ნივთები, სხეულები, რომ  
ჩვენი შეგრძნებასი გარეგანი სამყაროს სახეებია.  
იდეალისტური ფილოსოფია ამტკიცებს, რომ ადა-  
მიანის შემეცნება ან წარმოადგენს იდეის ასახვას

(პლატონი, პეტერი), ან თანაემთხვევა თვით ყოფილ ერებას, რომელიც მხოლოდ ადამიანის აღწებში არსებობს (ბერკლისა და მახისტების სუბიექტური იდეალიზმი), ანგა პრინციპულად უარპყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას (იუმისა და კანტის აგნოსტიკიზმი). მარტინისტული ფილოსოფია გნოსეოლოგია არა არის განსაკუთრებული მეცნიერება, მატერიალისტური დიალექტიკა, რომელიც ხსნის ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ზოგადი კანონებს, არის სწორედ შემცნების ერთადერთი მეცნიერული თეორია. იგი „შეიცვას იმას, რასაც ახლა შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიას უწოდებენ“ (ლენინი).

**გულუბრყვილო რეალიზმი — სტიქიურ-მატერიალისტური მსოფლება, რომელიც ახასიათებს ყოველ ადამიანს. ყოველი ნორმალურიად მოზროვნე ადამიანი, თუ იგი არ ყოფილა საგიუვნისი ან ფილოსოფიული-იდეალისტებთან სასწავლებლად, გრძნობს, რომ ყველა საგანი არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ამრიგად, გულუბრყვილო რეალიზმი მდგომარეობს იმის სტიქიურ, უმრავფლეს შემთხვევაში შეუგნებელ, რწმენაში, რომ სამყარო თავისი ბუნების მიხედვით მატერიალურია. მაგრამ გულუბრყვილო რეალიზმი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლიოს შედევრობას. სტიქიური, გულუბრყვილო მატერიალისტი ადგილად შეიძლება გზაბნეული შეიქნეს. იდეალისტური სოფისტი მიერ. დიალექტიკურ მატერიალიზმს მატერია-**

ლიტერატური. მსოფლიოგაგება აჰყავს ყველაზე ღრმა და ყველაზე თანმიმდევრო ფილოსოფიური მოძღვრების დონეზე, მოძღვრებისა, რომელიც მეცნიერების უდიდეს მიღწევებს ემყარება. გულუბრყვილო რეალიზმის ჩვენი გაგება განსხვავებულია იმ გაგებისაგან, რომელსაც ავრცელებდნენ იდეალისტები — ბერკლი და მახისტები. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გულუბრყვილო რეალიზმი — ეს არის მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ადამიანს საჭმეაქვს მხოლოდ თავის შეგრძნებებთან და მისთვის განურჩეველია, არსებობენ ნივთები სინამდვილეში თუ არა. ლენინმა „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიკიზმში“ დაამტკიცა, რომ ეს — იმ გულუბრყვილო რეალიზმის ნამდვილი დედამიწისას და მახინჯებაა, რომელიც მდგომარეობს იმის სტიქიურ რწმენაში, რომ ბუნება არსებობს კნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად, იხ. სტიქიური რა მატერიალიზმი.





დადლებითი ფილოსოფია — იგივეა რაც პოზიტივიზმი (იხ.).

დაპირისპირება — იხ. დაპირისპირება ერთიანობა და ბრძოლა.

დაპირისპირება გონებრივისა და ფიზიკურ შრომას შორის — წარმოიშვება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების გაჩენასთან ერთად, შრომის საზოგადოობრივი დანაწილების განვითარებასა და საზოგადოების კლასებად დაყოფასთან ერთად. იგი ახასიათებს ყველა კლასობრივ საზოგადოობას: მონათმიფლობელურის, ფეოდალურის, კაპიტალისტურის. კლასობრივი ჩაგვრის პირობებში მშრომელები — მონები, ყმიები, მუშები — განწირული იყვნენ მძიმე ფიზიკური შრომისათვის, ხოლო საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის მიერ დაგროვილი მეცნიერება და კულტურა გაბატონებული კლასებისა და მათი მომსახურე, ინტელიგენციის, გონებრივი შრომის ადამიანთა კუთხინილებას წარმოადგენდა. კაპიტალიზმის პირობებში, რომელმაც მსხვილი მრეწველობის განვითარების საფუძველზე სწრაბივად წასწია წინ ტექნიკა, მეცნიერება, კულტურა, დაპირისპირებამ გონებრივსა და

ფიზიკური შრომას შორის უფრო მკვეთრი გამოხატულებას მიაღწია. ტექნიკის გაუმჯობესების საქმე, მუშაობა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების და სხვათა დარღვიში — ეს სპეციალური შრომა, რომელიც განსაკუთრებულ მომზადებასა და კხოვრების პირობებს მოითხოვს, რასაც მოკლებული არიან. მშრომელები და მუშები, რომელთა ბედსაც ფიზიკური დამჭანცავი შრომა წარმოადგენს. მანქანა, ადამიანის შრომისა და მეცნიერების მძლავრი იარაღი, კაპიტალიზმის პირობებში ემსახურება არა მუშის შრომის შემსუბუქებას, არამედ ამ მუშის შემდგომ დამონაცემებას, მუშათა უდიდესი რიცხვის მანქანის დამატებად გადაწყვევას. მარქესი, ენგელი, ლენინი, სტალინი გვასწავლიან, რომ დაპირისპირება გონიერივსა. და ფიზიკური შრომას შორის მხოლოდ კომუნიზმის დროს გაქრებას; კომუნისტური საზოგადოების აშენების ერთეულთ უმნიშვნელოვანების ამოცანას წარმოადგენს. ფიზიკური და გონიერივი შრომის ადამიანებს შორის განსხვავების მოსპობა. ძირითადი სოციალური და პოლიტიკური პირობები ამ განსხვავების დასაძლევად იქმნება. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებით. ეს პირობება: 1) მოსპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა, სოციალისტური ეკონომიკის აშენება, ექსპლოატატორული კლასების მოსპობა; 2) მისათავი პოლიტიკური აქტივობის არნახული აღმასრულობა, მათი ფართოდ ჩატრი. სახელმწიფო და სახელმწიფო მართვისა და მდგრადი მომზადების საქმი; 3) გიგანტური შესაძლებლობანი იმისა, რომ ხალხთა მასები.

ეზიარონ ცოდინას, კულტურას, მეცნიერებას, ტექნიკას. სოციალიზმისა აშენება სსრ კავშირში, ახალი ტექნიკის, ფაბრიკების, ქარხნების ზრდა, სოფლის მეურნეობის შეიარაღება მანქანებით, მურო-მელთა ქეთილდღეობის ზრდა, მათი კოდნისა და კულტურულობის განუხრიელი ამაღლება — ყოველივე ეს წარმოადგენდა სტანდარტური მოძრაობის წარმოშობის საფუძველს. ეს მოძრაობა გვიჩვენებს გზას, „რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომელიც საჭიროა სოციალიზმითან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად.“ (ს ტ ა ლ ი ნ ი). სსრ კავშირი შევიდა სოციალიზმის აშენების დამტავრებისა და კომუნიზმის აშენებაზე თანათანი გადასვლის პერიოდში. ამ პერიოდის ერთეულთ უმნიშვნელოვანეს ამოცაუანას წარმოადგენის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დონემდევ. კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაში (სოციალიზმის დროს) „გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირება განაგრძიობის არსებობას“ (ს ტ ა ლ ი ნ ი). მხოლოდ მეორე, უმაღლეს ფაზაში (კომუნიზმის დროს) მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე საკმარისი იქნება იმისათვის, რომ „გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირება უკვე გაპქრეს“ (ს ტ ა ლ ი ნ ი). „ამ გიგანტური ამოცანის, გონე-

ბრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპოტის ამოცანის, განხსორციელებისათვის, არ კმარა, რასაკვირველია, ერთი ან ორი ხუთწლეული. ამ ამოცანის სრულ გადაჭრას დასჭირდება რამდენიმე ათეული წელი, მაგრამ ჩვენ წარმატებით მივდივართ წინ ამ გზით. მესამე ხუთწლეულის გეგმას ჩვენ კიდევ ერთი საფეხურით მართლა ავყაფართ ამ დიადა ამოცანის გადაჭრაში” (მ ა ლ თ ტ ა ვ ი).

**დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის.**— შრომის საწოგადოებრივი დანაწილების ზრდასთან ერთად მოხდა ქალაქის ჩამოცილება სოფლიდან, ისტორიულად შეიქმნა. მათ შორის მკვეთრი დაპირისპირება, სოფლის უკიდურესი ჩამორჩენილობა ქალაქისაგან დაკანონიერებული, პოლიტიკური და კულტურული მხრივ. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით გაიზარდა კაპიტალიზმის დროს. „...დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის წარმოადგენს სოფლის სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის ერთერთ უღრძეს საფუძველს... საკ. კ. პ. (ბ) ამ დაპირისპირების მოსპოტაში ხელავს კომუნისტური აღმშენებლობის ერთერთი ძირითად ამოცანას“ (ს ა კ. კ. პ. (ბ) პ რ ა გ რ ა მ ა). მარქსმა და ენგელსმა პირველად დაამტკიცეს მეცნიერულად, რომ ეს ამოცანა გადაწყვდება მხოლოდ კომუნიზმის დროს. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამსარჯვებამ ყველა აუკილებელი პირობა შევქმნა ამ უძნელესი ამოცანის წარმატებითი გადაჭრისათვის. მეფის რუსეთში გლე-

ხურ კომილთა 65% ღატაკი იყო, წარმოადგენდა სახნისი. სოფელი სილატაკესა, ჩამორჩენილობასა და უკულტურობაში იყინებოდა. ჭვეულის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ საშუალება მოგვცეს ძირთესვიანად შეგვეცვალა სოფლის მდგომარეობა სსრ კავშირში. „...ნაცვლად წვრილერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოცეანისა, მათი სუსტი ტექნიკით და კულიაკის ძალა-გავლენით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში. ყველაზე მსხვილი მაშინიზებული, ახალი ტექნიკით შეიძრალებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისმომცველი სისტემის სახით“ (სტალინი). სოციალისტური საკუთრება გახდა განუყოფლენად გამატონებული სოფლის მეურნეობაში. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები სრულდება რთული მანქანებით. სამიწათმოქმედო შრომა ხდება ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად. სოფლებში ასიათასობით არიან გვალითვიციური ტრაქტორისტები, კომბაინერები, მემანქანეები. ათასობით საბჭოთა მეურნეობებმა და მტსებმა შეიტანეს სოფელში მაღალი, სოციალისტური კულტურა. აშენებულია ახალი გზები ათასობით კილომეტრის მანძილზე; ელექტრობა მტკიცედ შეიჭრა სოფლის ყოფაცხოვრებაში; ტელეფონის, ტელეგრაფის, რადიომ დაუკავშირებას სოფელი დანარჩენ ქვეყნიერებას. აშენებულია კლუბების, ქოხსამკითხველოების, ქოხ-ლაბორატორიების, კინო-თეატრების, ბიბლიოთეკების ქსე-

ლი. ყოფილი დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის უკვე შერყეულია ძირფესვიანად სსრ კავშირში. ჯერ კიდევ არსებული განსხვავებანი მათ შორის საბოლოოდ მოსპობილი იქნება კომუნიზმის აშენებით.

**დაპირისპირებათა ერთიანობა და ბრძოლა —**  
 მსტერიალისტური ღიალექტიკის არსი და ბირთვიდა. წინააღმდეგ მეტაფორიზმისა, ღიალექტიკა გამოიდის იქიდან, რომ ბუნების საგნებსა და მოვლენებს ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგი და ეგო-ბანი. ბუნებაში ყოველივე მოძრაობის, იცვლება. განვითარების წყაროს წარმოადგენერნ შინაგანი წინააღმდეგობანი. ყოველი ნივთი წარმოადგენს დაპირისპირებათა ერთიანობას. ყველაფფერს აქვს თავისი წარსული და მომავალი, თავისი დრომოქმედული და განვითარებადი, თავისი უარყოფითი და დადებითი მწარე. ამიტომ უდაბლესიდან უმსალლესისაკენ განვითარების პროცესი მიმდინარეობის საგნებისა და მოვლენებისათვის დამსხასიათებელ წინააღმდეგობათა გახსნის წესით, დაპირისპირებულ ტენდენციათა ბრძოლის წესით. დაპირისპირებანი ერთმანეთს გამორიცხავენ და იმსვე დროს დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან. „წინააღმდეგობის ერთი მწარე წარმოუდგენელია. მეორის გარეშე, ისე როგორც წარმოუდგენელია შეინახო ხელში მოელი ვაშლი, როცა წინასწარ შეჭმული გაქვს მისი ნახევარი“ (ე. ნ გ. ე. ლ. ს. ი). პროლეტარიატი და ბურჟუაზია წარმოშობილია. წარმოების კაპიტალისტური წესის მიერ. წარმოების ამ წესის

ჩარჩოებში ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ ამასთან მავე; ერთად ისინი გამორიცხავენ ერთმანეთს, ვინაიდან პროლეტარიატი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოვებს ბურჯუაზიასთან. დაპირისპირებათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონიდან გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები პროლეტარიატის პარტიის პოლიტიკისა და ტაქტიკისათვის. თუ განვითარება სწარმოებს წინააღმდეგობათა ბრძოლისა და მათი დაძლევის წესით, „მაშასადამიერ, კი არ უნდა ჩქმალავდე, კაპიტალისტური წესების წინააღმდეგობებს“, არამედ უნდა ააშკარავებდე, და ამოხსნიდე მათ, კი არ უნდა აქრობდე კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბოლომდე მიგყავდეს იგი. მაშასადამიერ, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, უნდა გაატარო შეურიგებელი კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკა“ (სა კ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი). იხ. აგრეთვე ან ტაგონიზმი, ან ტაგონის ტური წინააღმდეგობაზე.

**დარვინი ჩარლზ (1809 — 1882)** — გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი, ფუძემდებელი თანამედროვე, ეცოლუციური მოძღვრებისა (იხ. დარვინის მეცნიერობას). დარვინმა ბოლო მოუღო შეხედულებას ცხოველთა და მცენარეთა სახეებზე, როგორც არათურით არ დაკავშირებულ, შემთხვევით, „ღმერთისაგან შეჭმნილ“ და უცვლელ სახეებზე“ (ლენინი). დარვინის მოძღვრებას ბრწყინვალედ

იცავდა და ანტითარებდა ცნობილი რუსი მეცნიერი  
პ. ა. ტიმირიაზევი.

**დარვინიზმი** — ჩ. დარვინის ევოლუციური მო-  
ძღვრება მცენარეთა და ცხოველთა (ადამიანის ჩა-  
თვლით) წარმოშობაზე. დარვინმა დაამტკიცა, რომ  
ცხოველები და მცენარეები მუდმივად იცვლებიან,  
იძლევიან რა ახალ ფორმებს. ახალი ფორმების გა-  
ჩენა, ისევე როგორც ძველების გაქრობა გამო-  
წვეულია არა ღმიერთის შემოქმედებითი აქტით,  
როგორც ამის რეალიგია გვასწავლის, არამედ ბუნებ-  
რივ-ისტორიული განვითარების შედეგია. დარვი-  
ნამიდეც იყვნენ ცხოველთა და მცენარეთა სამყარო-  
ზე ევოლუციურ შეხედულებათა მომსრენი, მაგალი-  
თად, ლამისარყი, მაგრამ მხოლოდ დარვინმა დაასაბუ-  
თა პირველად შეცნიერულად ევოლუციის თეორია.  
მის შემდეგ ბუნებაში ევოლუციის წინააღმდეგ გა-  
მოდიოდნენ მხოლოდ უმცირესი ანდა შეცნიერები-  
სადმი მტრულად განწყობილი ადამიანები. ნამარხ  
ცხოველთა და მცენარეთა გამოკვლევა ადასტუ-  
რებს, რომ უფრო ძველი ორგანიზმები უფრო  
მარტივად არიან აგებული, ვიდრე მოგვიანებით  
წარმოშობილნი, ე. ი. რომ ორგანული სამყაროს  
განვითარება ხდებოდა ნაკლებად რთული ფორმე-  
ბიდან უფრო რთული ფორმებისაკენ. ორგანიზმე-  
ბის ნათესაობას ადასტურებს აგრეთვე მათი აგე-  
ბულობა. ადამიანის ხელი, ლამიურის ფრთა, სელა-  
პის თათები აგებულია ერთი ტიპის მიხედვით, შე-  
სდგება ერთნაირი წესით დალაგებული ძვლებისა-  
გან. ორგანიზმების ნათესაობას ადასტურებს მათი

ჩანასახებისა შეიღიარება. მოზრდილი თრგანიზმები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთი-საგან, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს ჩანასახოვან მდგომარეობაში. დარვინიმა ახსნა სახეთა წარმოშობა არსებობისათვის ბრძოლით და ბუნებრივი შერჩევით. მცენარეებსა და ცხოველებს ხშირად უჩინდებათ შემთხვევითი ცვლილებები, გადახრები. ის ცვლილებები, რომლებიც სასარგებლო აღმოჩნდნენ ცხოველისათვის ან მცენარისათვის. მათ ბრძოლაში არსებობისათვის, მტკიცდებიან. გროვ-დება და გადაიცემა რა ეს ცვლილებები. მემკვი-დრეობით, ისინი იწვევენ ახალი ცხოველური და მცენარეული ფორმების გაჩენას. ეს არის პუნქ-ბრივი შერჩევა, ვინაიდან სძლებენ და მრავლდებიან უფრო მეტად შეგუებულნი. დარვინმა შეადარა ეს შერჩევა ხელოვნურ შერჩევას, რომელსაც აღამიანი აწარმოებს სოფლის მეურნეობაში. აღა-მიანი ახდენს ცხოველთა და მცენარეთა შერჩევას სარგებლიანობის ნიშნების მიხედვით. ცვალებადობა, მემკვიდრეობა და ბუნებრივი შერჩევა იძლევიან თრგანიზმითა მიზანშეწონილი აგებულობის მა-ტერიალისტურ ახსნას. დარვინმა რელიგიურ შეხე-დულებათა საპირისაპიროდ მოიყვანა დაურღვევებელი მეცნიერული დამტკიცებანი აღამიანის მსგავსა მაიმუნებისაგან აღამიანის წარმოშობის შესახებ. მაგრამ, რჩებოდა რა წმინდა ბიოლოგიურ ნიადაგზე, დარვინს არ შეეძლო მთლიანად გადაუჭრა სა-კითხი აღამიანის წარმოშობის შესახებ. ენგელსმა სტატიიაში „შრომის როლი მაიმუნის გადამიანე-  
4. ფილოსოფიური ლექსიკონი.

ბის პროცესში“ გვიჩვენა, რომ კხოულთა სამყა-  
როდან ადამიანის გამოყოფაში გადამწყვეტი რო-  
ლი ითამიაშა შრომის იარაღთა გამოყენებამ. ამან  
გამოიწვია ადამიანის ფიზიკური ბუნების ცვლი-  
ლება, მისი ხელისა და ტვინის განვითარება, რამაც  
შეჰქმნა ადამიანის მკვეთრი განსხვავება სხვა ცხო-  
ველებისაგან. ამავე ფაქტმა გამოიწვია ის, რომ  
ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების,  
განვითარებაში განმსაზღვრელ საწყისად განადა  
არა გეოგრაფიული გარემო და არსებობის გარე-  
განი პირობები, არამედ მატერიალური წარმოება:  
თვით დარვინი აკეთებდა არასწორ ცდებს გადაე-  
ტანა ბუნებრივი შერჩევის თავისი თეორია ადა-  
მიანთა საზოგადოებაზე. ასეთი გადატანის რეაქცი-  
ულშა ხასიათმა თავისი გამოხატულება პროვ-  
ეგრეთწოდებულ სოციალ-დარვინიზმი (იხ.).

**დედუქცია—ინ. ინდუსტრია და დედუქ-  
ცია.**

დეიზმი (ლათინური სიტუაციდან „დეუს“ —  
ღმერთი) — მოძღვრება, რომელიც აღიარებს ღმერ-  
თის არსებობას სამყაროს უპიროვნო პირველშიზე-  
ზის სახით — დანარჩენში. ამ მოძღვრების თვალ-  
საზრისით სამყარო მხოლოდ ბუნების კანონების  
მოქმედებაზეა მიშვებული. ფეოდალურ-საეკლესიო  
თვალსაზრისის ბატონობის პირობებში დეიზმი  
ბევრ შემთხვევაში ათეიიზმის (იხ.) ფარული  
ღვთამა იყო. „დეიზმი—მეტი არაფერია, თუ არ  
მოხერხებული და ადვილი ხერხი რეალიგიის მოსა-

შორებილად, — ყოველი შემთხვევაში მატერიალის-  
ტისთვის” (მარქსი). დეიზმის წარმომადგენულ-  
ნი: საფრანგეთში—ვოლტერი, რუსო, ინგლისში—  
ლოკი, ტოლანდი, შეფრთხებერი.

**დემოკრიტე** (დაახლოებით 460—370 ჩვენს  
წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის უდი-  
დესი ფილოსოფოსი—მატერიალისტი. ლენინი დე-  
მოკრიტეს სთვილის უძველესი ღრივის მატერია-  
ლიზმის ყველაზე ნათელ გამომხატველად, უპირის-  
პირებს რა მის ხაზს პლატონის იდეალისტურ ხაზს.  
დემოკრიტე — ატომისტური თეორიის დამსარსე-  
ბელია. დემოკრიტეს მიხედვით არსებობს ნივთთა  
ორი პირველიდასაბამი: ატომები და სიცალიერე,  
ატომები, ე. ი. მატერიის განუყოფადი ნაწილაკე-  
ბი, მარადიულია, უცვლელი და მოძრაობაში იმყო-  
თებიან. ერთმანეთისაგან ისინი განსხვავდებიან  
მხოლოდ ფორმით, სიდიდით, მდებარეობით და  
წესით. სხვა თვისებები, როგორიცაა ფერი, ბგერა,  
გემო და ა. შ., ატომების დამაზასიათებელი არაა.  
დემოკრიტეს ამ შეხედულებაში მოცემულია პირ-  
ველი და ო და მეორე ადრი თვი ი სებები ს  
(იხ.) შესახებ მექანისტური მოძლვრების ჩანასა-  
ხები. ატომების შეერთებიდან იქმნებია სხეულები.  
სულიც აგრეთვე ატომებისაგან შესდგება. ატომთა  
უსასრულოდ დიდი რაოდენობა მარად მოძრაობა  
უსასრულო სიცალიერეში; დაცემის ღრივის ატო-  
მები. ეჯახებიან ერთიმეორეს და ჰქმნიან. ატომთა  
გრიგალს; ატომთა გრიგალისებრი მოძრაობიდან  
იქმნება უამრავი „წარმოშობადი და მომსკვდარი“

სამყარო, რომლებიც ღმერთების მიერ კი არაა შექმნილი, არამერთ ბუნებრივი გზით წარმოიშობიან და ისპობიან. დემოკრიტეს გამგრძელებულნი იყვნენ ბერძენი ფილოსოფოსი ეპიკურე (III საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — და რომაელი ფილოსოფოსი ლუკრეციუსი (I საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

**დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი.** — დ ე ტ ე რ-  
მ ი ნ რ ზ მ ი — მოძღვრება ყველა მოვლენათა აუცი-  
ლებელი კავშირისა და მათი მიზეზობრივი განპირო-  
ბებულობის შესახებ. მაგალითად, წარმოების კაპი-  
ტალისტური წესის ანარტია გარდუვალად იწვევს  
ეკონომიურ კრიზისებს, კლასობრივი ბრძოლის  
განვითარება გარდუვალად იწვევს სოციალურ რე-  
ვოლუციას და ა. შ. დეტერმინიზმის იღეალის-  
ტები უპირდაპირებენ ინ დ ე ტ ე რ მ ი ნ რ ზ მ ს,  
რომელიც ამტკიცებს, რომ სამყაროში ნიერთთა ბუ-  
ნებრივი მსვლელობა არ ექვემდებარება კანონ-  
ზომიერებას, მიზეზობრიობას, რომ არსებობს თავი-  
სუფალი ნებისყოფა, რომელიც არაფრისაგან არაა  
დამკიდებული. სინამდვილეში ნებისყოფა, საქ-  
ციელი ადამიანისა დეტერმინირებულია, ე. ი.  
განპირობებული, გამოწვეული განსაზღვრული  
მიზეზებით. დიალექტიკური მატერიალიზმი, აღი-  
არებს რა ბუნების ყველა მოვლენათა განპირო-  
ბებულობას, იმავე დროს უარჲყოფს აბსოლუ-  
ტურ მეტაფიზიკურ დეტერმინიზმს — მოძღვრე-  
ბას, რომელიც ამტკიცებს, რომ აუკილებლობის  
აღიარებას მიუყენართ ბუნებასა და საზოგადოებაში

ყოველგვარით შემთხვევითობის სირელის უარყოფამ—  
დე და ზედმეტად ხდის აღამიანის ყოველ აქტიურ  
მოღვაწეობას. დაყვანილი თავის ლოგიკური დას-  
რულებამდე, ასეთი დეტერმინიზმი იქცევა ფ ა-  
ტ ა ლ ი ზ მ ა დ (იხ.) — რწმენად ბეჭისაღმი (ბეჭის-  
წერისაღმი) და კვიეტიზმისაღმი — აღამიანის სრუ-  
ლია უმოქმედობის ჭარაგებად. მარჯსიზმი, აღია-  
რებს რა ბუნებასა და საზოგადოებაში აუცილებ-  
ლობას, სრულიაღაც არ უარცყოფს შემთხვევითო-  
ბას, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ ძიზეზობ-  
რივ კავშირთა გამოვლინების ფორმას. პარჯსიზმი  
არ უარცყოფს აგრეთვე აღამიანის ნებისყოფის  
შეფარდებით თავისუფლებას (იხ. თავისუფლება ბა და აუცილებლობა) და მოითხოვს  
აღამიანის აქტიურ, საჭმიან მონაწილეობას. მოვლე-  
ნათა მსვლელობაში.

**დიალექტიკა** (ბერძნული სიტყვიდან „დია-  
ლეგო“, რაც ნიშნავს საუბრის, პოლემიკის წარ-  
მოებას). ძველი ზოგიერთი ფილოსოფოსი დია-  
ლექტიკაში გულისხმობრა ხელოვნებას — მიეღწია  
ჭეშმარიტებისათვის მოწინააღმდეგის მსჯელობაში  
წინააღმდეგობათა გამოაშკარავებისა და ამ წინა-  
აღმდეგობათა დაძლევის გზით. შემდეგში დია-  
ლექტიკა გადაიქცა მოძღვრებად საყოველთაო  
კავშირისა და განვითარების შესახებ. ყველა  
მოვლენას დიალექტიკა იხილავს როგორც მარად  
მოძრავსა და ცვალებადს, ხოლო ბუნების განვი-  
თარებას — როგორც ბუნებაში წინააღმდეგობათა  
განვითარებისა და ბრძოლის შედეგს. ძველი ბერ-

ძენი ფილოსოფოსები ყველანი თანშობილი დიალექტიკისები იყვნენ. გამოჩენილი ძველი ფილოსოფოსი—მატერიალისტი პერაკლიტე გვასწავლიდა, რომ ყოველივე არსებობს. და იმავე დროს არ არსებობს, ვინაიდან ყოველივე მიმდინარეობს და მუდმივად იცვლება, წარმოიშვება და ჰქონება. ძველი საბერძნეთის მეორე ყველაზე გამოჩენილმა ფილოსოფოსმა — არისტოტელემ გამოიკვლია დიალექტიკური აზროვნების არსებითი ფორმები. მაგრამ ბერძნულ ფილოსოფიაში დიალექტიკა გამოდის ჯერ კიდევ პირველყოფილი სიმარტივით. ძველი ბერძნების დიალექტიკა იყო გულუბრყვილო. მოვლენათა საყოველთაო კავშირს ვერ ამტკიცებდნენ დაწვრილებით; იხილავდნენ რა ბუნებას როგორც მთელს, ისინი ვერ მიკიდნენ ბუნების ცალკეულ მოვლენათა და საგანთა ანალიზამდე, უროკმილისოდაც შეუძლებელია ნათელი იყოს სამყაროს ზოგადი სურათიც. შემდეგ ში მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე გაბატონებული შეიძინა მეტაფიზიკური მსოფლიმებედველობა, დაპირისპირებული დიალექტიკისადმი. მხოლოდ XVIII საუკ. მეორე ნახევრიდან შეტაციზიკური მსოფლიმებედველობა იწყებს გაბზარვას. პირველი შენგრევა ამ მსოფლიმებედველობაში მოახდინა გერმანელმა ფილოსოფოსმა კანტმა, რომელიც გამოვიდა მზის სისტემის ისტორიული შექმნის თეორიით. უახლესმა გერმანულმა ფილოსოფიამ თავისი დასრულება ჰეგელში ჰპოვა. „მისი უკრიდესი დამსახურება იყო დაბრუნება დიალექტიკისადმი,

როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმისადმი“ (ე. ნ. გ. ე. ლ. ს. ი). ჰეგელის დიალექტიკამ პირველად წარმოგვიდგინა მთელი ბუნებრივი, ისტორიული და სულიერი სამყარო პროცესის სახით, ე. ი. განუწყვეტელ მოძრაობაში, ცვლილებაში, განვითარებაშია და გარდაქმნაში. პროცესის შინაგანი წინააღმდეგობანი გამოდიოდნენ ამასთან თვითმოძრაობის, თვითგანვითარების წყაროს სახით. მაგრამ ჰეგელი იდეალისტი იყო. ყოველივე არსებულის საფუძველსა და დედამიწის ჰეგელი ხელავდა „აბსოლუტური იდეას“ თვითგანვითარებაში. ჰეგელის მიხედვით გამოდიოდა, რომ აზროვნება წარმოადგენს სინამდვილის შემომქმედს. „აქედან გამომდინარეობს მთელი ნაწვალები და ხშირად საშინელი კონსტრუქცია: სამყარო — სურს მას ეს თუ: არა — უნდა — შეეთანხმოს ლოგიკურ სისტემას“ (ე. ნ. გ. ე. ლ. ს. ი). დიალექტიკა მხოლოდ მაშინ გახდა მეცნიერებად, როცა მარქსმა და ენგელსმა გაანთავისუფლეს დიალექტიკა ჰეგელის იდეალისტური ჩენჩხოსაგან და განავითარეს მოძღვრება განვითარების შესახებ, შექმნეს რა მატერიალისტური დიალექტიკა. მარქსმა და ენგელსმა გამოიყენეს ჰეგელის დიალექტიკაში მისი „რაციონალური მარცვალი“, მატერიალისტურად გადაამუშავეს. ჰეგელის მეთოდი, აილეს რა განვითარების საფუძვლად არა იდეა, არამედ მატერიალური სინამდვილე. ამის გამო მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი თავის საფუძველში პირდაპირ ეწინააღმდეგება ჰეგელის დიალექტიკას. მარქსისტული დიალექტი-

კა არის მოძღვრება განვითარებაზე; მისი ყველაზე უფრო სრული, ღრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით. დიალექტიკა, შექმნილი მარქსისა და ენგელისის მიერ და განვითარებული შემდგომ ლენინისა და სტალინის მიერ, არის მეცნიერება ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში და აზროვნებაში განვითარების საყოველთაო კანონების შესახებ (იხ. მარქსისტული დიალექტიკური მეთადი).

**დიალექტიკის კანონი** — იხ. დაპირისპირებათა ერთიანობა და ბრძოლა, რაოდენობის გადასვლა თვისობრიობაში, უარყოფის უარყოფა.

**„დიალექტიკის საკითხისათვის“** — ლენინის შრომა, რომელიც შევიდა მის „ფილოსოფიურ რვეულებში“ და თხზულებათა სრული კრებულის XIII ტომში: პირველად დაიბეჭდი 1925 წელს უსრინალ „ბოლშევიკში“ № 5 — 6. ლენინმა სხარტულ ფორმაში მოგვცა: მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი: საკითხების ღრმა ანალიზი. ამ შრომაში ლენინი ანალიზს უკეთებს დაპირისპირებას დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შორის, გვიჩვენებს განვითარების ორი ძირითადი კონცეპციის — განვითარების დიალექტიკური და მეტაფიზიკური თეორიის განსხვავებას. ამ ნარკვევში ლენინი იძლევა იდეალიზმის თეორიულ-შემეცნებითი ფესვების გენიალურ ანალიზს. განსაკუთრებით ძვირფასია ლენინის შენიშვნები დაპირისპირებათა ერთიანობისა და ბრძოლისა და თვითმიმოძრაობის შესახებ.

**დიალექტიკური მატერიალიზმი — ფილოსოფიური მეცნიერება** ბუნების, აღამიანთა საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების ყველაზე ზოგად კანონებზე, — მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა, შექმნილი მარქსისა და ენგელსის მიერ და შემდგომი განვითარებული ლენინისა და სტალინის მიერ. „მას დიალექტიკური მატერიალიზმი იმიტომ ეწოდება, რომ მისი მიღვომა ბუნების მოვლენებისადმი, ბუნების მოვლენების შესწავლის მისი მეთოდი, ამ მოვლენების შეკვენბის მისი მეთოდი არის დიალექტიკური, ხოლო მის მიერ ბუნების მოვლენათა გაუგება, მისი თეორია — მატერიალისტური“ (საკ. კ. პ. (ბ) ი სტარიის მოკლე კურსი). შექმნეს რა დიალექტიკური მეთოდი, მარქსისა და ენგელსმა გაავრცელეს იგი საზოგადოებრივ მოვლენათა შემეცნებაზე. ისტარიული მატერიალიზმი მოგვევლინა მეცნიერული აზრის უდიდეს მონაბეჭრად. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი შეადგენერნ კომუნიზმის თეორიულ ფუნდამენტს, მარქსისტული პარტიის თეორიულ საფუძველს. მარქსიზმი „არის მთლიანი მსოფლმხედველი, ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ნაციონალურად გამომდინარეობს მარქსის პროლეტარული სოციალიზმი“ (სტალინი). ამ მოწინავე ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჯამშე შავებისას მარქსი და ენგელსი ემყარებოდნენ

ადამიანის აზრის ყველა ძვიროფას მონაპოვარის. ყოველივე საუკეთესო, რაც შექმნილი იყო მარქსისა და ენგელსის წინამორბედებისა და უწინარეს ყოვლისა ჰეგელისა და ფეიერბახის მიერ, კრიტიკულად იქნა გადასინჯული მარქსისა და ენგელსის მიერ. ჰეგელის ღიალექტიკიდან მათ აიღეს მხოლოდ მისი „რაციონალური მარკვალი“ და ჩამოაშორეს რა ჰეგელის იდეალისტური ჩემჩო, განვითარეს შემდგომ ღიალექტიკა, მისცეს რა მას მეცნიერული სახე. „...მიმიართეს რა კხოვრუბას, მათ დაინახეს, რომ სულის განვითარება კი არ ხსნის ბუნების განვითარებას, არამედ, პირიქით სული უნდა ავხსნათ ბუნებიდან, მატერიდან“ (ლენინი). ფეიერბახის მატერიალიზმი იყო არათანმიმდევრული, მეტაფიზიკური, ანტიისტორიული. მარქსმა და ენგელსმა აიღეს ფეიერბახის მატერიალიზმიდან მისი „ძირითადი მარკვალი“ და, ჩამოაცილეს რა იდეალისტური და რელიგიურეტიკური დანაშრევი მის ფილოსოფიაში, განავითარეს მატერიალიზმი შემდგომ, შეპქმნეს რა ძირიდალიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიური თეორია. ღიალექტიკური მატერიალიზმი — ყველაზე მოწინავე და ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობაა. მარქსმა, ენგელსმა, ხოლო შემდეგ ლენინმა და სტალინმა გამოიყენეს ღიალექტიკური მატერიალიზმის დებულებანი მუშათა კლასის პოლიტიკასა და ტაქტიკაში, მარქსისტული პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. „მსგავსად იმისა, როგორც ფილოსოფია პოულობს პროლეტარიატ-

ში თავის მატერიალურ იარაღს, ისე პროლეტარიატიც პოულობს ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს“ (მარქსი). მხოლოდ მარქსის დიალექტიკურმა მატერიალიზმა, ლენინის სიტყვებით, მიუთითა პროლეტარიატს გამოსავალი სულიერი მონობიდან, რომელშიც იმყოფებოდნენ მანამდე ყველა ჩაგრული კლასები. მარქსისა და ენგელსის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ სტალინი და სხვა მოწაფეები ლენინისა იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსიზმს და მის მეცნიერულ-თეორიულ საფუძველს — დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს. ლენინმა თავის გენიალურ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომელიც ბოლშევიკური პარტიის თეორიულ მომზადებას წარმოადგენდა, დაიცვა პარტიისათვის უდიდესი თეორიული სიმდიდრე გადამწყვეტ ბრძოლაში რევიზიონისტებთან და გადაგვარებულებთან, დაასაბუთა დიალექტიკური მატერიალიზმი როგორც პარტიული ფილოსოფია ბოლშევიზმისა. სტალინის გენიალური შრომა „ლენინიზმის საფუძვების შესახებ“ (იხ.) და სხვა მისი შრომები, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, შექმნილი სტალინის უახლოესი პირადი მონაწილეობით, ანვითარებენ შემდგომ და ამდიდრებენ დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს. დიალექტიკური მატერიალიზმი არის სამყაროს გარემონის რევოლუციური თეორია, ხელმძღვანელო-

ბა რევოლუციური მოქმედებისათვის. შან „მის-  
ცა კაცობრიობას შემეცნების უდიდესი ია-  
რალი, შეუშათა კლასს კი—განსაკუთრებით“ (ლე-  
ნინი). იხ. მარქსისტული დიალექტი-  
კური მეთოდი, მარქსისტული ფილო-  
სოფიური მატერიალიზმი, ისტორიუ-  
ლი მატერიალიზმი.

**დიალექტიკური მეთოდი** — იხ. მარქსის-  
ტული დიალექტიკური მეთოდი.

**დიდრო დენი** (1713 — 1784) — XVIII საუკ.  
უდიდესი ფრანგი ფილოსოფოსი-მატერიალისტი,  
გამოჩენილი მწერალი, ხელოსნის (მედანის) შვი-  
ლი. დამაარსებელი და რედაქტორი „ენციკლოპე-  
დიისა“, რომელშიც ტარდებოდა XVIII საუკ.  
საფრანგეთის რევოლუციური ბურჟუაზიის იდეე-  
ბი. თავისი რადიკალური შეხედულებებისათვის  
განიცდიდა რეპრესიებს. დიდრო — მატერიალის-  
ტია, ათეიისტი, იგი აღიარებს მატერიის ობი-  
ექტურ არსებობას; მატერიისა, რომელსაც მარა-  
დიული მოძრაობა ახასიათებს. მატერია შესდგება  
მოლეკულებისაგან. ყოველ მოლეკულს ახასიათებს  
მოძრაობის შინაგანი წყარო — „ინტიმური ძალა“,  
რომლის გარეგან გამოხატულებასაც წარმოადგენს  
მექანიკური გადაადგილება სივრცეში. შეგრძნე-  
ბა — მატერიის თვისებაა. მაგრამ დიდროს აზრით  
ეს თვისება წარმოიშვება არა მატერიის განვითა-  
რების განსაზღვრულ საფეხურზე, როგორც ამას  
დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, არამედ  
მთელს მატერიას აქვს გრძნობიერება („ქვაც

გრძნობს“). ახდენს რა გრძნობათა ჩვენს ორგანოებზე ზეგავლენას, მატერია წარმოშობს შეგრძნებებს, აღქმებს—ჩვენი ცოდნის წყაროს. საზოგადოებრივ წყობილებას დიდრო ხდიდა დამოკიდებულად საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციაზე, რომელიც წარმოიშვება არსებული კანონმდებლობიდან და, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებაში გაბატონებული იდეებიდან. დიდროს მოპოება სამყაროს დიალექტიკური გაგების მთელი რიგი ელემენტები, კერძოდ ცოცხალ არსებათა ევოლუციის საკითხზე. მისი მთავარი შრომები: „აზრები ბუნების ახსნის შესახებ“, 1754 წ., „დალამბერას საუბარი დიდროსთან“, 1769 წ., „რამოს ძმისწული“, 1762 წ.

**დისკრეტობა** — წყვეტილობა (ი. წ. წყვეტილობა და უწყვეტილობა).

**დოგმა, დოგმატიზმი.** — დოგმა — დაუმტკიცებელი დებულება, მიღებული ბრმად, რწმენით. დოგმატიზმი დამახასიათებელია ყველა რელიგიისათვის, ყველა თეორიული სისტემისათვის, რომელნიც იცავენ დრომოჭმულს, ძველს, რეაქციულს და რომელნიც იბრძვიან ახალის, განვითარებადის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დოგმატიკურია რეაქციული სოციალური თეორიები, რომელნიც დასაყრდენს ვერ პოულობენ განვითარების პროცესში მყოფ სინამდვილეში. თავისთავად სწორი დებულება, გამოყენებული არადიალექტიკურად, კონკრეტული, შეცვლილი ვითარების გაუთვალისწინებილად, შეიძლება გადაიქცეს დოგმისად.

ამ აზრით მარქსი და ენგელსი ყოველთვის ამბობდნენ, რომ „ჩვენი მოძღვრება დოგმა კი არაა, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის“. ლენინი და სტალინი გადაჭრით იბრძოდნენ მარქსიზმის დოგმატიკური გაუგვანების წინააღმდეგ, რომელსაც ეწეოდნენ ყოველი სახის ოპორტუნისტები იმ მიზნით, რომ გაედევნათ მარქსიზმიდან მისი რევოლუციური შინაარსი. ნამდვილად რევოლუციური მარქსიზმი არის შემოქმედებითი მარქსიზმი, რომელიც განუწყვეტლად ამდიღრებს თეორიას საზოგადოებრივი განვითარების, მასათა რევოლუციური პრაქტიკის ახალი მონაცემებით.

**დიურინგი ევგენი (1833 — 1921)** — გერმანელი პროფესორი მექანიკისა, ფილოსოფოსი და ექონომისტი. ფილოსოფიაში არათანმიმდევარი მექანისტური მსტერიალისტი, რომელიც ეშვეგბოლა იდეალიზმის პოზიციებზე. გამოდიოდა ჰეგელის წინააღმდეგ, მარქსის და ენგელსის მატერიალისტური დიალექტიკის წინააღმდეგ, მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის დასაცავად. ენგელსმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მისი ფილოსოფიური და პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი სპეციალურად დაწერილ წიგნში „ან ტი ი-დი ურინ გ. ი“ (იხ.).

**დიქტატურა პროლეტარიატისა** — კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო. ამხანაგმა სტალინმა მოგვცა პროლეტარიატის დიქტატურის სამი ძირითადი მხარის — ამოცანის შინაარსის შემდეგი დახასიათება: „1)

პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება ექსპლოატატორთა დათრგუნვისათვის, ქვეყნის თავდაცვისათვის, სხვა ქვეყნების პროლეტარებთან კავშირის განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისათვის. 2) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება ბურჟუაზიისაგან მშრომელთა და ექსპლოატირებული მასების საბოლოო ჩამოშორებისათვის, ამ მასებთან პროკლეტარიატის უაჭმირის განწმიტკიცებისათვის, სოციალისტური მშენებლობის საქმეში ამ მასების ჩაბმისათვის, პროლეტარიატის მხრით ამ მასების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისათვის. 3) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება სოციალიზმის ორგანიზაციისათვის, კლასების მოსპობისათვის, უკლასო საზოგადოებაში, უსახელმწიფო საზოგადოებაში გადასვლისათვის... მხოლოდ სამივე ეს მხარე, ერთად ალებული, გვაძლევს პროლეტარიატის დიქტატურის სრულ და დამთავრებულ ცნებას" (სტალინი). თავისი ორგანიზაციული და პოლიტიკური ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებაში პროლეტარიატის დიქტატურა ეყრდნობა მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს, პროფკავშირებს, კომპერაციას, ახალგაზრდობის კავშირს და სხვ. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენენ საბჭოები, ყველაზე დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელნიც უზრუნველყოფენ თვით მასების მონაწილეობას სახელმწიფოს მართველობაში. პროლეტარიატის დიქტა-

ტურის სისტემაში ძირითად ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს მუშათა კლასის პოლიტიკური ავან-გარდი — კომუნისტური პარტია. პროლეტარული რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის განვითარებასთან ერთად ვითარდება და მტკიც-დება პროლეტარიატის დიქტატურაც. სსრ კავში-რის სტალინურ კონსტიტუციაში თავისი კანონ-მდებლობითი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებებმა: სოციალისტური საზოგადოების აშენებამ, ექსპ-ლოატატორული კლასების მოსპობამ, სსრ კავში-რის მუშათა კლასის დიქტატურის სოციალური ბაზის შემდგომმა გაფართოებამ და განმტკიცებამ. ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფო თავის გან-ვითარებაში ოქტომბრის რევოლუციის დროიდან ორი მთავარი ფაზა განვლო. პირველ ფაზაში — ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდან ექსპლოა-ტატორული კლასების ლიკვიდაციის მომენტ-დე — ძირითად ამოცანას შეადგენდა დამხობილი კლასების წინააღმდეგობის ჩახშობა, ინტერვენტე-ბის თავდასხმისაგან ქვეყნის თავდაცვის მოწყობა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა, კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის პირობების მომზადება. ამის შესაბამისად საბჭოთა სახელმწიფო ანხორციელებდა ორ ფუნქციას — დამხობილი კლასების დათრგუნვას ქვეყნის შიგ-ნით და ქვეყნის თავდაცვას გარედან თავდასხმისა-გან. მეორე ფაზაში — კაპიტალისტური ელემენტე-ბის ლიკვიდაციის მომენტიდან სტალინური კონს-

ტიტუციის მიღებამდე — საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად ამოცანას შეადგენს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაცია. კაპიტალისტური ელემენტების უკანასკნელ ნაშთთა ლიკვიდაცია, სრულიად თანამედროვე არმიის ორგანიზაცია, კულტურული რევოლუციის ორგანიზაცია. ამით შეიცვალა სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციები. გაპქრა სამხედრო დათრგუნვის ფუნქცია ქვეყნის შიგნით, გაჩნდა ფუნქცია სოციალისტური საკუთრების დაცვისა სახალხო ქონების ქურდებისა და მტაცებლებისაგან, დარჩა მთლიანად გარედან თავდასხმისაგან ქვეყნის სამხედრო თავდაცვის ფუნქცია. დარჩა და ვითარდება. სამეცნიერო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქცია. „ახლა ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ქვეყნის შიგნით მდგომარეობს მშვიდობიან სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობაში. რაც შეეხება ჩვენს არმიას, დამსჯელ ორგანოებსა და დაზვერვას, ისინი თავის მახვილით მიმართული არიან უკვე არა ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთ, გარეშე მტრების წინააღმდეგ. როგორც ხედავთ, ახლა ჩვენ გვაქვს სრულიად ახალი, სოციალისტური სახელმწიფო, ისტორიაში ჯერ არნახული, რომელიც თავისი ფორმით და ფუნქციებით მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი ფაზის სოციალისტური სახელმწიფოსაგან“ (სტალინი).

**დრო და სივრცე.** — მარქსისტული ფილოსოფიური ქვეყნი.

ფიური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ სამყაროში არათერი არაა, გარდა მოძრავი მატერიისა, რომელსაც შეუძლია იმოძრაოს მხოლოდ სივრცესა და დროში. მაშასადამე, სივრცე და დრო წარმოადგენენ მატერიის არსებობის ობიექტურ ფორმებს. სივრცე და დრო გამოუყოფადია მატერიასაგან, მატერია კი გამოუყოფადია მათგან. წინააღმდეგ სუბიექტური იდეალიზმისა, რომელიც დროსა და სივრცეს მხოლოდ ადამიანის აზრის პროდუქტებად სთვლის და მათ მატერიისაგან სთიშავს, მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ დრო და სივრცე უმატერიოდ მოკლებული არიან ყოველივე შინაარსს. „...მატერიის არსებობის ორივე ფორმა ამ მატერიის გარეშე წარმოადგენს არა-აობას, მხოლოდ ცარიელ წარმოდგენას, აბსტრაქციას, რომელიც მხოლოდ ჩვენს თავში არსებობს“ (ენგელსი). საბუნებისმეტყველო-მეცნარული წარმოდგენანი და ცნებანი დროსა და სივრცის შესახებ იცვლებიან, ვითარდებიან. მავრამ უცვლელია ის ფაქტი, რომ ბუნება არსებობს მხოლოდ დროსა და სივრცეში. „...ჩვენი განვითარებადი ცნებანი დროისა და სივრცისა ასახავენ იბიექტურ-რეალურ დროსა და სივრცეს“ (ლენინი).

**დუალიზმი** (ლათინური სიტყვიდან „დუა“ — ორი) — ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც წინააღმდეგ მონიჟმისა (იხ.) ყოფიერების საწყისად სთვლის არა ურთს, არამედ ორ სხვადასხვა სუბსტანციას. დეკარტი, მაგალითად, სთვლა-

და, რომ აღამიანი შესდგება ორი დამოუკიდებელი სუბსტანციიდან: სხეულებრივი და სულიერი სუბსტანციიდან — სულისაგან და სხეულისაგან. დუალიზმი ცდილობს შეარიგოს და შეახამოს მატერიალიზმი იდეალიზმთან. დიალექტიკური მატერიალიზმი დგას მონიზმის ნიაღაგზე და უარპყოფს დუალიზმს. აღიარებს რა მოძრავ მატერიას ბუნების ყოველი მოვლენის პირველ მიზეზად, იგი სთვლის, რომ ცნობიერება არის მეორადი, მატერიისაგან წარმოებული.



# 0

ევოლუცია და რევოლუცია. — „...მოძრაობას ტკის ორგვარი ფორმა: ევოლუციური და რევოლუციური“ (სტალინი). ევოლუციურად ხდება უმნიშვნელო, ფარული, უწყვეტი, რაოდენობრივი ცვლილებანი. თვისობრივი ცვლილებანი კი ხდება უცრად, ნახტომისებურად, რევოლუციურად. „...ნამდვილი ისტორია შეიცავს ამ სხვადასხვა ტენდენციას, მსგავსად იმისა, როგორც სიცოცხლე და განვითარება ბუნებაში შეიცავს ნელ ევოლუციასაც და სწრაფ ნახტომებსაც, თანდათანობის შეწყვეტებს“ (ლენინი). მაშასადამე, განვითარება წარმოადგენს ევოლუციასაც და რევოლუციასაც. ევოლუცია ამზადებს და ნიადაგს უქმნის რევოლუციას, რევოლუცია კი აგვირგვინებს ევოლუციას და ხელს უწყობს მის შემდგომ მუშაობას. ოპორტუნიზმი რევოლუციურ ბრძოლას სცვლის რეფორმებისათვის ბრძოლით. „რევოლუციონერისათვის კი, პირიქით, მთავარია — რევოლუციური მუშაობა და არა რეფორმა, — რეფორმა მისთვის არის რევოლუციის არაპირდაპირი. პროდუქტი“ (სტალინი).

**ეკლექტიკა, ეკლექტიზმი —** სხვადასხვაგვარ მიმღინარეობათა, შეხედულებათა, რწმენათა, თეორიათა უპრინციპო მექანიკური შეერთება. ეკლექტიკოსები ცდილობენ მატერიალიზმი იდეალიზმს შეუხამონ. ეკლექტიზმის გამოვლინებებს ამა თუ იმ ზომით შეიძლება შევხვდეთ ყოველ უთანამიმდევრო ფილოსოფიაში. ეკლექტიზმის მაგალითაოშეიძლება აღებულ იქნას შეხედულებანი II ინტერნაციონალის თეორეტიკოსებისა, რომელნიც ცდილობდნენ უპრინციპოდ „შეერთებინათ“ მარქსიზმი იდეალისტურ მიმართულებებთან, მაგალითად, კანტიანობასთან, მახიზმთან და ა. შ.

**ეკონომიკა და პოლიტიკა —** განიხილება მარქსიზმის მიერ მათს ურთიერთქმედობასა და განვითარებაში როგორც განუყოფელი მთელი. „არ შეიძლება პოლიტიკის გამოყოფა მეურნეობისაგან. ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვშორდეთ მეურნეობას ისევე, როგორც არ შეგვიძლია ჩამოვშორდეთ პოლიტიკას. შესწავლის გასაადვილებლად ადამიანები ჩვეულებრივ მეურნეობის საკითხებს მეთოდოლოგიურად გამოჰყოფენ ხოლმე პოლიტიკის საკითხებისაგან. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მეთოდოლოგიურად, ხელოვნურად, მხოლოდ შესწავლის გასაადვილებლად. ცხოვრებაში, პირიქით, პრაქტიკულად პოლიტიკა და მეურნეობა განუყრელი არიან, ისინი არსებობენ ერთად და მოქმედობენ ერთად“ (სტალინი). ყოველი საზოგადოებრივი წყობილება ვანისაზღვრება მატერიალური დოკლათის წარმოების (იხ.)

გარკვეული წესით, რომელიც მხოლოდ ამ წყობილებას ახასიათებს. წარმოების წესი მოიცავს როგორც საზოგადოების საწარმოო ძალებს, ისე ადამიანთა წარმოებით ურთიერთობებს, ჰქმნის რა მთლიანად საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას — ეკონომიკას. საზოგადოების ეკონომიური წყობილება განაპირობებს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზედნაშენს. „...პოლიტიკა არის ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულება... პოლიტიკას არ შეიძლება არ ჰქონდეს პირველობის ეკონომიკის წინაშე“ (ლენინი). პოლიტიკაში და პოლიტიკურ ბრძოლაში პოულობს თავის უმაღლეს გამოხატულებას კლასთა დაპირისპირება, ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა, ჩაგრულთა და მხაგვრელთა ინტერესების შეურიგებლობა. პოლიტიკის, პოლიტიკური ბრძოლის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს საკითხი ძალაუფლების შესახებ. პოლიტიკის დარგს ეკუთვნის სახელმწიფო მმართველობისა და წყობილების ყველა საკითხი, კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის, ერთი კლასის მეორის მიერ ხელმძღვანელობის (შაგალითად, გლეხობის ხელმძღვანელობა პროლეტარიატის მიერ) საკითხი და ა. შ. პოლიტიკის დარგში შედის აგრეთვე ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა დარგიც — საგარეო პოლიტიკა, რომელიც გაბატონებული კლასის ინტერესებით განისაზღვრება. კომუნისტური პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა სსრ კავშირში დამყარებულია ჩვენი ქვეყნის მიერ.

ნის განვითარების მიმართულების მეცნიერულ წინასწარ განვითარებაზე. ეს განვითარება ხდება არა სტიქიურად და თვითდინებით, არამედ იგი წარიმართება სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმით კომუნისტური მშენებლობის ინტერესების სასარგებლოდ და ხორციელდება გააფთრებულ ბრძოლაში. სოციალისტური საზოგადოებისადმი ყველა კლასობრივად მტრული ელემენტების წინააღმდეგ.

**ეკონომიური ბაზისი — წარმოების წესი, რომელიც საფუძვლად უდევს ამათუიმ საზოგადოებრივ წყობილებას. საზოგადოების ეკონომიური ბაზისი განსაზღვრავს ყველა საზოგადოებრივ ზედნაშენს — სახელმწიფოს, პოლიტიკურ დაწესებულებებს, იდეებს, თეორიებს. ეკონომიური ზაზისის შეცვლასთან ერთად „მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გააღდატრიალიება, მოთევლის უზარმაზარი ზედნაშენში“ (მარქსი).**

**ეკონომიური მატერიალიზმი — ისტორიის ცალმხრივი, ვულგარული გაგება, რომელც სთვლის, რომ საზოგადოებრივი განვითარების ერთადერთ ძალას წარმოადგენს ეკონომიკა. ეკონომიური მატერიალიზმი უარპყოფს პილიტიკისა და პოლიტიკურ დაწესებულებათა, იდეათა, თეორიათა აქტიურ მნიშვნელობას ისტორიულ პროცესში. ეკონომიური მატერიალიზმის მომხრენი იყვნენ დასავლეთში ე. ბერნშტეინი, რუსეთში კი — „ლეგალური მარქსისტები“, „ეკონომისტები“, შენშევიკები, მ. ნ. პოკროვსკი. ეკონომიური მატერიალისა**

ტები ცდილობდნენ თავისი ვულგარული მატერიალიზმი ისტორიის მარქსისტულ გაგებად გაესაღებინათ. სინამდვილეში ისტორიული მატერიალიზმი ძირფესვიანად განსხვავდება ეკონომიკური მატერიალიზმისაგან. ხედავს რა მატერიალურ წარმოებაში საზოგადოების განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას და ხსნის რა პოლიტიკურ დაწესებულებათა, იდეათა, თეორიათა წარმოშობას საზოგადოების მატერიალური კუთხვრების პირობებით, ისტორიული მატერიალიზმი იმსავე დარის ხაზს უსვამს პოლიტიკურ დაწესებულებათა, იდეათა, თეორიათა ურთისეს მნიშვნელობას ისტორიულ განვითარებაში. პროცესუატარიატის დიჭიტატიურის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სოციალისტური საზოგადოების აშენება, მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიის გარეშე, მისი მაორგანიზებელი, მმობილიზებელი და გარდამჯმნელი როლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. სსრკავშირში.

**ეკონომიკური სტრუქტურა საზოგადოებისა —** სოციალური, კლასობრივი წყობილება საზოგადოებისა, ერთობლიობა წარმოებით ურთიერთობათა, რომელნიც მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამებიან. საზოგადოების ერთი ფორმა (საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმა (კია)) განსხვავდება მეორისაგან უწინარეცს ყოვლისა. თავისი ეკონომიკური სტრუქტურით, მასში გაბატონებულ წარმოე-

ბითა უკრთისენტოოშიათა ტიტირითა. ასევე, მაცვალითადი, კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელია წარმოების საშუალებათა კაპიტალისტურ კერძო საკუთრებასა და დაქირავებულ მუშათა შრომის ექსპლოატაციაზე დამყარებულ წარმოებით ურთიერთობათა ბატონობა. სოციალისტური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი — ეს არის წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ურთიერთობანი და ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობანი.

**ემპირიზმი** (ბერძნული სიტყვიდან „ემპირია“ — ცდა) — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც გრძნობად ცდას ჩვენი ცოდნის ერთადერთ წყაროდ სთვლის. არსებობს როგორც იდეალისტური, ისე მატერიალისტური ემპირიზმიც. იდეალისტური ემპირიზმი (ბერკლი, იუმი, მახი, ავენარიუსი, ბოგდანოვი) შემოსაზღვრავს ცდას შეგრძებათა ან წარმოდგენათა ერთობლიობით, უარჲყოფს რა იმი ფაქტს, რომი კრას საფუძვლად უდევს მატერიალური ბუნება. მატერიალისტური ემპირიზმი (ბეკონი, ჰობესი, ლოკი, XVIII საუკ. ფრანგი მატერიალისტები) სთვლის, რომ გრძნობად ცდას საფუძვლად უდევს მატერიალური ბუნების საგნები. დიალექტიკური მატერიალიზმი უარჲყოფს იდეალისტურ ემპირიზმს და სწორად სთვლის მატერიალისტური ემპირიზმის გამოსავალ პოზიციებს. მაგრამ დიალექტიკური მატერიალიზმი, უარჲყოფს ცალმხრივი ემპირიზმის უკიდურესობებს, რითაც

განსხვავდებოდა მარქსამდელი მატერიალიზმი, რომელიც ვერ აფასებდა ზოგად თეორიათა და მეცნიერულ აბსტრაქციათა როლს. აღიარებს რა, რომ მთელ შემეცნებას საფუძვლად უდევს გრძნობადი ცდა, დიალექტიკური მატერიალიზმი იმავე დროს ხახს უსვამს თეორიის, იდეათა, ცნებათა დიდ როლს.

ემპირიოკრიტიციზმი („კრიტიკული ცდის“ ფილოსოფია) ანუ მახიზმი — რეაქციულ სუბა-ექტურ-იდეალისტური ფილოსოფიური მიმღინარეობა, რომელიც წარმოიშვა XIX საუკ. მეორე ნახევარში გერმანიასა და ავსტრიაში. ემპირიოკრიტიციზმის ლიმაარსებელნი იყვნენ ავენარიუსი (იხ.) და მახი (იხ.) ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყველა მოვლენას საფუძვლად უდევს „სამყაროს ელემენტები“ ან, რაც იგივეა, „ცდის ელემენტები“. ყოველი ნივთი არის „ელემენტთა კომპლექსი“. სიტყვით „ელემენტი“ ავენარიუსი და მახი მალავდნენ იმ ფაქტს, რომ ისინი შოვლენებს საფუძვლად უდებდნენ. შეგრძნებას, ვინაიდან მათი „ელემენტი“ იგივეა, რაც შეგრძნებანი. ამით ემპირიოკრიტიციზმი მთლიანად ღებულობს ბერძლის (იხ.) სუბიექტური იდეალიზმის ძირითად წანამძღვარს. ანვითარებდნენ რა სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებას ბუნებაზე, ავენარიუსი და მახი ამტკიცებდნენ, რომ ობიექტი (სამყარო) შეუძლებელია უსუბიექტოდ (ცნობიერების, შეგრძნებათა გარეშე), რომ ბუნების კანონებს არა აქვთ ობიექტური მნიშვნელობა, წარმოადგენენ.

რა ცნობიერების ფორმებს, რომ ობიექტური ჭეშმარიტება (იხ.) შეუძლებელიათ. მასის ზეგავლენით ემპირიოკრიტიციზმია ერთგვარი გავრცელება ჰპოვა ბუნებისმეტყველ-ფიზიკოსთა შორის. უახლესი აღმოჩენანი ფიზიკაში (ატომის დანაწილება ელექტრონებად და პროტონებად, ატომის ელექტრომაგნეტური ბუნების აღმოჩენა), რომლებმაც დაადასტურეს დიალექტიკური მატერიალიზმის სისწორე, იმ ბურუუაზიული ფიზიკოსების შეხედულებით, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ დიალექტიკური აზროვნების უნარს, მოწმობდინენ „მატერიალის გაქროობას“, „ჟეშმარიტების შემცირების შეუძლებლობას“, იღეალიზმის ნიადაგზე გადასვლის აუცილებლობას და ა. შ. ლენინმა თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გამოამჟღავნა ემპირიოკრიტიციზმის ფესვები და ამხილა ეს ფილოსოფია როგორც რეაქციული იდეალიზმი და დაფარული ხუცობა. ლენინმა გაანადგურა მრავალრიცხოვანი მახისტური სკოლები, წარმოშობილი სტოლიპინის რეაქციის დროს რუსეთში (ბოგდანოვი, იუშკევიჩი და სხვ.). ამჟამად ემპირიოკრიტიციზმის გავლენა კაპიტალისტურ ქვეყნებში შესამჩნევად დაეცა, მაგრამ მაინც დღემდე კიდევ მთელი რიგი ბურუუაზიული ფიზიკოსები მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

**ეშპირიომონიზმი —** ემპირიოკრიტიციზმის ან მახიზმის სახესხვაობა რუსეთში. ემპირიომონიზმის იდეალისტური ფილოსოფიის დამაარსებელი იყო

ა. ა. ბოგდანოვი. იგი ცდილობდა ერთიანი (მონისტური) ცდის საფუძველზე (აქედან სახელწოდებაც — „ემპირიომონიზმი“) დაემტკიცებია აზროვნებისა და ყოფიერების იგივეობა. ემპირიომონიზმის იდეალისტური სისტემა ბოგდანოვმა შეჰქმნა იმ გზით, რომ ინდივიდუალური ცნობიერება, რომელიც მახთან და ავენარიუსთან ბუნების შემომწმედის როლში გამოდიოდა, შესცვალა კოლექტიური ცნობიერებით, იგი შეჰქმნა მან იმის მტკიცებით, რომ ფიზიკური სამყარო „კოლექტიური კაცობრიობის“ „სოციალურ-ორგანიზებული“ ცდა არისო. აკრიტიკებდა რა ბოგდანოვს, ლენინი სწერდა: „ითიქრო, რომ ფილოსოფიური იდეალიზმი ქრება კაცობრიობის ცნობირებით ინდივიდის კნობიერების, ან სოციალურ-ორგანიზებული ცდით ერთი პირის ცდის შეცვლით, ეს იგივეა, რომ ითიქრო, თითქოს კაპიტალიზმი ქრება სააქციონეროს კომპანიით ერთი კაპიტალისტის შეცვლით“. გამოდიოდა რა იმის აღიარებიდან, რომ ყოველივე არსებულის საფუძველს შეაღგენს ცნობიერება, ბოგდანოვი საერთოდ მთელ ბუნებას ცნობიერების პროდუქტად აცხადებდა. ბოგდანოვის ემპირიომონიზმის ფილოსოფია, ისევე როგორც მისი საფუძველიც — მახიზმი, ეს არის სუბიექტური იდეალიზმის ფილოსოფია. ემპირიომონიზმი ხუცობის დაცვა იყო. ლენინმა გამოამჟღვნა ემპირიომონიზმის კავშირი და ვთის მაძიებლობას თანამდებობას (იხ.).

ემპირიოსიმბოლიზმი — სუბიექტურ - იდელისტური ფილოსოფია, მანიზმის სახესხვაობა. საფრანგეთში მის ფუძემდებლად ითვლება ა. პუანკარე, რუსეთში რეაქტიის წლებში მიისა პრიოპაგანდას ეწეოდა მენშევიკი პ. იუშკიევიჩი. უარცყოფს რა გარეგნან სამყაროს და ასახვის მატერიალისტურ თეორიას, ემპირიოსიმბოლიზმი აღიარებს წარმოდგენებსა და ცნებებს არა მატერიალური სამყაროს სახეებსად, არამედ მხოლოდ ჩვენს შეგრძნებათა სიმბოლოებად, პირობითი ნიშნებად.

ეპიკურე (342-270 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ფილოსოფიასი-მატერიალისტი, „უდიდესი ბერძენი განმანათლებელი“ (მარქსი), დემოკრიტეს გამგრძელებელი. სამყარო, ეპიკურეს მიხედვით, შესღება ატომებისაგან და სიცალიერისაგან, რომელშიც ატომებისაგან იქმნება სამყაროთა უსარულო სიმრავლე. ომერთები არ ღებულობენ მონაწილეობას სამყაროთა ცხოვრებაში, იმყოფებიან რა უშფოთველად მათს სვრეტებში. ადასტურებს რა ატომიზმის ძირითად პრინციპებს, ეპიკურეს დემოკრიტეს მოძღვრებაში არსებითი ცვლილებანი შეაქვს. ეპიკურეს მიხედვით, ატომებს, რომელნიც პირდაპირ მოძრაობენ, შეუძლიანთ მოაწინონ „გადახრები“. ეს გადახრები ხდება თვითნებურად, შემთხვევით. შემთხვევითობის ცნების შეტანით ეპიკურე ესწრაფვოდა თავიდან მოეცილებინა ფატალიზმი, რომელიც დემოკრიტეს მოძღვრებიდან გამომდინარეობდა. იცავდა რა ს ენს უალი ზეს (იხ.) შემეცნების თეორიიაში, ეპიკუ-

რე ეტიკაშიც გრძნობად განცხრომათა გონივრული გამოყენების ნიადაგზე იდგა. ამან საბაბი - მისცა მატერიალიზმის სხვადასხვა მტრებს სახელი გაეტეხნათ ეპიკურეიზმისათვის როგორც ისეთი ფილოსოფიისათვის, რომელიც ვითომდა გარყვნილების წამქეზებელია. ბრძენის ამოცანა, ეპიკურეს მიხედვით, მღვმარეობდა სულის „ატარაქსიის“ (უშვოთველობის) მიღწევაში; მისი მიღწევა ხდება შემეცნების და ომერთებისა და სიკვდილის წინაშე შიშისაგან გადარჩენის გზით. თვით ეპიკურემ და განსაკუთრებით მისმა მიმღევარმა ლუკრეციუსმა დიდი გავლენა მოახდინეს XVII — XVIII საუკუნეთა მატერიალიზმის განვითარებაზე.

ერთეულადი, განსაკუთრებული და საყოველთაო. — ბუნებაში არსებობს ერთეულადი მოვლენები, ისინი ერთიანდებიან ჯგუფებად, რომლებსაც თავისი განსაკუთრებული კანონები აქვთ, ხოლო ეს ჯგუფები ექვემდებარებიან კანონებს, რომლებსაც უკვე საყოველთაო მნიშვნელობა აქვთ. სამრიცხად, ბუნებაში ერთეულადი, განსაკუთრებული და ზოგადი ურთიერთდაკავშირებული არიან. „ცალკეული არ არსებობს სხვაგვარად, თუ არ იმ კავშირში, რომელსაც მივყევართ ზოგადი-საკენ. ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის საშუალებით“ (ლენინი). შემეცნება ასახავს ამ ობიექტურ კავშირს. „... ყოველი რეალური, ამომწურავი შემეცნება მღვმარეობს მხოლოდ იმაში, რომ ჩვენ აზრით გამოგვყავს ერთეულადი მისი ერთეულადობიდან და გადაგვყავს

იგი განსაკუთრებულობაში, ხოლო ამ უკანასკნელიდან საყოველთაობაში” (ენგელსი). მაგალითად, დებულება, რომ ხახუნი წარმოშობს სითბოს, იქნება ერთეულადობის მსჯელობა, ვინაიდან აქ აღინიშნება ერთეულადი ფაქტი. დებულება: მექანიკური მოძრაობა გარდადის სითბოში, იქნება განსაკუთრებულობის მსჯელობა, ვინაიდან აქ აღინიშნება მოძრაობის განსაკუთრებული ფორმა, მექანიკური, რომელიც ხახუნის წყალობით გადადის მოძრაობის მეორე, განსაკუთრებულ ფორმაში — სითბოში. და, დასასრულ, დებულება: მოძრაობის ყოველ ფორმას შეუძლია და უნდა გადაიქცეს მოძრაობის ყოველ სხვა ფორმად, იქნება საყოველთაობის მსჯელობა.



# 3

ვულგარული მატერიალიზმი — ფილოსოფიური მიმღინარეობა, რომელიც წარმოიშვა გერმანიაში XIX საუკუნის 50 — 60 წლებში ექიმებსა და ბუნების მკვლევართა შორის. ამ მიმღინარეობის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლებს — ბიუნერს, ფოგდტს და მოლეშოტს ენგელსი უწოდებდა „იაფი მატერიალიზმის“ დამტარებლებს და ვულგარული მატერიალიზმის „მოხეტიალე მქადაგებლებს“. აღიარებდნენ რა ერთადერთ რეალობად მატერიას და იცავდნენ რა ათერიზმს, ვულგარულ მატერიალისტებს თავგზას უბნევდა ის შეხედულება, თითქოს ტვინი ისევე გამოჰყოფდეს აზრს, როგორც ლვიძლი გამოჰყოფს ნალველს, ე. ი. ისინი აზროვნებას ხსნიდნენ ვულგარულ-მატერიალისტურად. ასეთი თვალსაზრისი იყო ნაბიჯი უკან არა მარტო დიალექტიკურ მატერიალიზმთან შედარებით, არამედ XVIII საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმთან შედარებითაც. ვულგარული მატერიალიზმისათვის დამახასიათებელია დიალექტიკის აბსოლუტური უგულვებელყოფა, დაცვა მისი დროისათვის მოძველებული მექანიკური შეხედულებისა ბუნების მოძრაობის კანონებზე და იდეალიზმი საზოგადოების გაგებაში.

# 01

თავისუფლება და აუცილებლობა.—მეტაფიზიკუსები ჩვეულებრივად უპირისპირებენ ერთიმეორეს თავისუფლებასა და აუცილებლობას. ზოგი მათგანი ამტკიცებს, რომ ნებისყოფა აბსოლუტურად თავისუფალია, ე. ი. იგი არათრით არაა განპირობებული. ზოგი კი ამტკიცებს, რომ თავისუფალი ნებისყოფა არ არის, რომ არსებობს მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობა. ან თავისუფლება ნებისყოფისა ანდა აუცილებლობაო — ამტკიცებენ მეტაფიზიკოსები. მარქსიზმ-ლენიზმი უარყოფს საკითხის ამ არამეცნიერულ დაყენებას და მას დიალექტიკურად სწყვეტს. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის თვალსაზრისით თავისუფლება მდგომარეობს არა წარმოსახვითს დამოუკიდებლობაში ბუნების კანონებიდან, არამედ ამ კანონების შემეცნებაში, პრაქტიკულ მოღვაწეობაში მათი გამოყენების შესაძლებლობაში. „...სანამ ჩვენ არ ვიცნობთ ბუნების კანონებს, იგი, არსებობს და მოქმედებს რა 6. ფილოსოფიური ლექსიკონი.

დამიღუციდებალად, გარეშე ჩვენი შემსეცნებისა, ჩვენ „ბრძა აუცილებლობის“ მონებად გვხდის. რაკი ჩვენ გავიგენ ეს კანონი, მომქმედი (როგორც ათასჯერ იმეორებდა მარქსი) და ამ უკიდეს ებლა ად ჩვენი ნებისყოფისა და ჩვენი ცნობიერებისა, — ჩვენ ბუნების ბატონები ვართ“ (ლენინი). ნებისყოფის თავისუფლება — ეს სხვა არაფერია, თუ არ უნარი მივიღოთ გადაწყვეტილებანი საქმის ცოდნის საფუძველზე. „მაშასადამე, თავისუფლება მიღვომარეობს თვით ჩვენს თავსა და უარეგან ბუნებაზე ბატონობაში, ბატონობაში, რომელიც ბუნების აუცილებლობათა შემსეცნებას დამყარებულია“. (ენგელსი ი). მაშასადამე, თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა. აუცილებლობის გაუგებლად შეუძლებელია ნამდვილ თავისუფლება. „ადამიანები, რომლებიც ბოლოს, თავისი საკუთარი საზოგადოებრივი ყოფიერების ბატონები გახდნენ, ხდებიან ამის გამო ბუნების ბატონებად, თავისი თავის ბატონებად — თავისუფალ ადამიანებად“ (ენგელსი).

**თვითმოძრაობა.** — მთელი სამყარო იმყოფება მუდივ მოძრაობასა და განვითარებაში. იდეალისტები და ხუცები ამტკიცებენ, რომ მოძრაობის გზეზი იმყოფება არა ბუნებაში, არამედ მის გარეთ, ღმერთში. დიალექტიკური მატერიალიზმი, ხსნის რა სამყაროს თვითონ მისგანვე, ამტკიცებს, რომ მოძრაობისა და განვითარების მიზეზი იმყოფება არა ღმერთში, არამედ თვით სამყაროს და-

მასასიათებელი კანონებში. ბუნებასა და საზოგადოებაში მოძრაობა, განვითარება ხდება საგნებისა და მოვლენების დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობათა ძალით. ამიტომ საგნების მოძრაობა, განვითარება არის მათი თვითმოძრაობა, თვითგანვითარება. „პირობა სამყაროს ყველა პროცესის შემეცნებისა მათს „თვითმოძრაობაში“, მათს სპონტანურ განვითარებაში, მათს ცხოველ სიცოცხლეში, არის შემეცნება მათი, როგორც დაპირისპირებათა „ერთიანობისა“ (ლენინი).

**თეზისი, ანტითეზისი, სინთეზი** (ბერძნულად — „დებულება“, „დაპირისპირება“ და „შეერთება“) — ჰეგელის ტერმინები სამი მომენტის აღსანიშნავად მის ტრიადებში, რომელთა ფორმაშიც, მისი აზრით, ვითარდება მსოფლიო გონება, „აბსოლუტური იდეა“ (ლმერთი). ჰეგელის ტრიადები ხშირად მეტად წელოოვნური ხასიათს ატარებენ, ისინი ეკვივალენტიან ბუნებას, ტრიადებისადმი მორგებული ხდება ყოველივე ამ ქვეყნად (მაგალითად, ჰეგელისათვის აფრიკა — ეს თეზისია, აზია — ანტითეზისი, ევროპა — სინთეზი).

**თეიზმი** (ბერძნულად „თეოს“ — ლმერთი) — ფილოსოფიურ-ლითისმეტყველური მოძლვრება, დამყარებული ლმერთის, როგორც გონიერი არსების, არსებობის აღიარებაზე, ლმერთისა, რომელმაც შეჰქმნა სამყარო და რომელიც ერევა ადამიანთა ყოველიდლიურ კანონებაში. თეიზმი მეტად

ანტონისაა ჩვეულებრივ ლუთისმეტყველებასთან, მაგრამ განსხვავდება მისგან იმით, რომ უარ-ჰყოფს აშკარა უაზრობებს (როგორიცაა, მაგალითად, ლეგენდა სამყაროს ექვს დღეში შექმნის, ლუთის სამების შესახებ და სხვ.).

თელეოლოგია (ბერძნულად „თელოს“ — მიზანი და „ლოგოს“ — მოძღვრება) — იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვით ყველაფერი ბუნებაში მიზანშეწონილია. თელეოლოგიის ზოგიერთი მომხრე სთვლის, რომ ყველაფერი სამყაროში შექმნილია ღმერთის მიერ ისე, რომ ერთი ნივთი წარმოადგენს მეორის საშუალებას. ენგელსი დასცინოდა თელეოლოგების შეხედულებას, რომლის თანახმადაც „კატები შექმნილია, რათა სჭამონ თაგვები, თაგვები — რათა შეჭმულ იქნან კატების მიერ, და მთელი ბუნება, რათა დამტკიცებულ იქნას შემქმნელის სიბრძნე“. თელეოლოგიის სხვა დამცველები (არისტოტელი, პეგელი) ამტკიცებენ, რომ ორგანიზმთა აგებულებას საფუძვლად უდევს შინაგანი მიზანი (სული), რომელიც წინასწარი საზღვრავს მცენარეთა და ცხოველთა განვითარების მიმართულებას, და რომ ეს მიზანი მოცემულია ღმერთის მიერ. დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ მიზანსწრაფულობით ხასიათდება. მხოლოდ მოღვაწეობა აღამიანისა. ამასთან აღამიანის მოღვაწეობა განისაზღვრება მისი არსებობის ობიექტური პირობებით და უწინარეს ყოვლისა საზოგადოების ცხოვრების მატერიალური

პირობებით. ორგანიზმთა სამყაროში შემჩნეული მიზანშეწონილობა კი ამ ორგანიზმთა აგებულებასა და ცხოველმოქმედებაში ბუნებრივი შერჩევის შედეგია. ი. ხ. დარვინიზმი.

**თეოლოგია,** ანუ ღვთისმეტყველება — ცრუმეცნიერება, რომელიც ცდილობს დაასაბუთოს რელიგია ფილოსოფიური საბუთების შემწეობით.

**თეორია და პრაქტიკა.** — მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი სთვლის, რომ საზოგადოებრივი პრაქტიკა წარმოადგენს თეორიის საფუძველს. ამიტომ „ცხოვრების, პრაქტიკის თვალსაზრისი უნდა იყოს შემეცნების თეორიის პირველი და ძირითადი თვალსაზრისი“ (ლენინი). მეცნიერების მონაცემები ყოველთვის მოწმდება პრაქტიკით, გამოცდილებით. თეორია, წარმოადგენს რა გამოცდილების, პრაქტიკის განზოგადებას, ადამიანებს აძლევს პერსპექტივას მათ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მარქსისტულ-ლენინური თეორია არის ყველა ქვეყნის მუშათა მძრაობის გამოცდილება, აღებული მისი ზოგადი სახით. „მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა მიღვომარეობს იმაში, რომ იგი აძლევს პარტიას შესაძლებლობას გაერკვეს ვითარებაში, გაიკოს გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, განჭივრიტოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცხოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარონენ ისინი მომავალი-

ში” (ს. ა. ქ. ქ. პ. (ბ) ის ტორი ის მოკლე კურსი). თეორიაზ უსაფრთხო ხდება, თუ იგი არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, პრაქტიკა კი ხდება ბრძან, თუ იგი გზას არ ინათებს რევოლუციური თეორიით. „...თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ იგი ყალიბდება განუყრელ კავშირში რევოლუციურ პრაქტიკასთან“ (ს. ტ. ა. ლ. ი. ნ. ი). II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების შეპქმნეს გათიშვა თეორიასა და პრაქტიკას შორის. მარქსიზმის თეორიას მათ გამოაცალეს ცოცხალი რევოლუციური სული და მასების ცოცხალი, რევოლუციური ბრძოლისაგან მოწყვეტილი თეორია გადააქციეს უბადრუკ დოგმებად, რომელთაც უარპყოფს რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა თავის უმაღლეს გამოხატულებას ღებულობს ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობაში. მარქსიზმ-ლენინიზმი რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ნამდვილი ერთიანობაა. „მარქსისტულ-ლენინურია თეორიის დაუთვლება — ეს ნიშნავს შეითვისო ამ თეორიის არსი და ისწავლო ამ თეორიის გამოყენება რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრიისას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა პირობებში“ (ს. ა. ქ. ქ. პ. (ბ) ის ტორი ის მოკლე კურსი).



# ဂ

იდეალიზმი — თარიღან ერთერითი ძირითადი  
 ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ყოფი-  
 ერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების სა-  
 კითხის გადასჭრის დროს, წინააღმდეგ მატერია-  
 ლიზმისა, პირველადად ლებულობს — ცნობიერებას,  
 სულს, უარპყოფს რა, რომ ცნობიერება მატერიას  
 პროდუქტია. იდეალიზმი სამყაროს სთვლის „აბსო-  
 ლუტური იდეის“, „მსოფლიო სულის“, „ცნობიე-  
 რების“ განსახიერებად. იდეალიზმი ამტკიცებს,  
 „რომ რეალურად არსებობს მხოლოდ ჩვენი ცნო-  
 ბიერება, რომ მატერიალური სამყარო, ყოფიერე-  
 ბა, ბუნება არსებობს მხოლოდ ჩვენს ცნობიერე-  
 ბაში, ჩვენს შეგრძნებებში, წარმოდგენებში, ცნე-  
 ბებში“ (ს. ა. კ. კ. პ. (ბ) ი ს ტ ი რ ი ს მ ო კ ლ ე  
 კ უ რ ს ი). იდეალისტური მიმართულება ფილო-  
 სოფიაში იყოფა ორ ძირითად სახესხვაობად.  
 იდეალიზმი სუბიექტური საფუძვლად ლებულობს  
 ცალკეული ინდივიდუმის, სუბიექტის შეგრძნებას,  
 წარმოდგენას, ცნობიერებას. იდეალიზმი ობიექ-  
 ტური საფუძვლად ლებულობს. ცნობიერებას სა-  
 ერთოდა: მსოფლიო გონებას, უნივერსალურ ნების-

ყოფას და ა. შ., რომლებიც, ობიექტური იდეალისტების შეხედულებით, არსებობენ თავისთავად, აღამიანისაგან დამოუკიდებლად. იდეალიზმი მჭიდროობა დაკავშირებულია რეალიგიასთან და ფარულად თუ აშკარად მას მივყევართ ღმერთის იდეამდე. მიგვითითებს რა, რომ იდეალიზმი არას ხუცობა, ლენინი ხაზს უსვამს ამასთანავე, რომ იდეალიზმი „ფილოსოფიური არის („უ ფრთხო წორი“ და „გარდა ამისა“) გზა ხუცობისაკენ აღამიანის უსასრულოდ რთული შემუცნების (დიალექტიკური შემეცნების) ერთორთი ელფერის შემწერით“ (ლენინი). ლენინის ამჟღავნებს იდეალიზმის თეორიულ-შემეცნებითი ფესვებს. თვით შემეცნებაში მოვლენათა განზოგადების პროცესში არის შესაძლებლობა ცნობიერების მოწყვეტისა; მოცილებისა სინამდვილიდან, შესაძლებლობა ზოგადი ცნებების გადაქცევისა (და ამასთან შეუმჩნეველი, აღამიანის მიერ შეუგნებელი გადაქცევისა) აბსოლუტად, რომელიც მოწყვეტილია მატერიას და გაღმერთებული, ამ შესაძლებლობის რეალიზაცია ხდება განსაზღვრულ სოციალურ პირობებში. ასეთ სოციალურ პირობებს წარმოადგენს გამოყოფა სულიერი შრომისა მატერიალურისაგან, წარმოშობა კლასებისა და ექსპლოატაციისა. ბუნების მოვლენათა იდეალისტური ახსნა ვითარდებოდა, როგორც წესი, რეაქციული კლასების იდეოლოგებისა ან იმ კლასების იდეოლოგების მიერ, რომლებიც კომპ-

რომისში წავიდნენ რეაქციულ კლასებთან. ფილო-  
სოფიური იდეალიზმის უძველესი წარმომადგენ-  
ლები იყვნენ პითაგორელები. პითაგორელთა მო-  
ძღვრებაში, რომლებიც დემოკრატიის წინააღმდეგ  
აქტიურად მებრძოლი ძველი ბერძნული არისტოკ-  
რატიის პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენ-  
დნენ, ვითარდებოდა იდეალისტური მოძღვრება  
რიცხვზე, როგორც სამყაროს საფუძველზე. ძვე-  
ლი ბერძნული იდეალიზმის უფრიდესი წარმომად-  
გენელი იყო პლატონი (427 — 347 ჩვენს წელთ-  
აორიცხვამდე). პლატონმა გამოაცხადა ნამდვილ  
სამყაროდ განსაკუთრებული, იდეატია ზეგრძნობა-  
დი სამყარო, ხოლო რეალურ ნივთთა სამყარო გა-  
მოაცხადა აჩრდილთა სამყაროდ, იდეატია უფრულ  
გამოკრთომათა სამყაროდ. ფეოდალურ საზოგა-  
დოებაში ბატონობდა იდეალისტური სქოლასტიკა,  
რომელმაც ფილოსოფია ღვთისმეტყველების მსა-  
ხურად გადააქცია. ფეოდალიზმის დაშლისა და  
ბურუუაზიულ ურთიერთობათა განვითარების პე-  
რიოდში მოწინავე ქვეყნების (ინგლისი, პოლან-  
დია) რევოლუციური ბურუუაზია აყენებს მთელ-  
რიგ ფილოსოფოს-მატერიალისტებს (ბეკონი, სპი-  
ნოზა, პობესი და სხვ.). ინგლისელი ფილოსოფო-  
სების მატერიალიზმის რეაქციად კაპიტალისტურ  
ურთიერთობათა დამყარების ეპოქაში ინგლისში  
შოგვევლინა ეპისკოპოს ბერკლის სუბიექტური  
იდეალიზმი და იუმის აგნოსტიკიზმი. გერმანიის  
ბურუუაზია XVII საუკუნეში და XVIII საუკ.

დასაწყისში, დაინტერესებული კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებით და ამასთანავე ერთად მჭიდროდ დაკავშირებული ფეოდალიზმთან და მასთან კომპრომისზე მიმავალი, იძლევა ფილოსოფოს - იდეალისტს მეცნიერ ლაიბნიცს (1646 — 1716). XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყალიბდება გერმანიაში იდეალისტური კლასიკური ფილოსოფია (კანტი, ფიხტე (1762 — 1814), შელინგი (1775 — 1854), ჰეგელი). ეს ფილოსოფია ასახავს იმ ეპოქის გერმანიის ბურჟუაზიის კომპრომისობას: ერთია მხრით, მის რევოლუციურ ოცნებებს, მეორე მხრით — მის უღონობას მოახდინოს ბურჟუაზიული რევოლუცია ეკონომიურ ურთიერთობათა განუვითარებლობისა და გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცების გამო. გერმანული კლასიკური იდეალიზმის წარმომადგენლებმა არა მარტო შეიტანეს თავის ფილოსოფიაში ბევრი რამ ძვირფასი მეცნიერების განვითარებიდან, არამედ იდეალისტურ ფორმაში გამოსთქვეს მთელი რიგი გენიალური აზრები, რომლებმაც წინასწარ განჭვრიტეს XIX საუკუნის ბუნებისმეტყველების აღმოჩენანი (კანტის ნატურფილოსოფია, შელინგის ნატურფილოსოფია). გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიის დასრულებას წარმომადგენლა ფილოსოფია აბიექტური იდეალისტის ჰეგელისა, რომელმაც იდეალიზმის ბაზაზე პირველად წარმოგვიდგინა, მთელი სამყარო პროცესის სახით, ე. ი. განუწყვეტელ მოძრაობასა,

ცვლილებასა და განვითარებაში, და შეეცადა ვა-  
მოეცვალია ამი მოძრაობისა და განვითარების ურთი-  
ერთი შინაგანი კავშირი. „ის მისტიკურიკამ, რომე-  
ლიც განიცადა დიალექტიკამ ჰეგელის ხელში,  
სრულიადაც არ უშლის ხელს იმას, რომ პირველად  
ჰეგელმა გვამიცნო ამომწურავად და შეგნებულად  
მისი საყოველთან მოძრაობის ფორმები“ (მარქ-  
სი). ჰეგელი იყო უკანასკნელი წარმომადგენელი  
იმ იდეალისტური ფილოსოფიისა, რომელშიც,  
წინააღმდეგ იდეალიზმისა, მოიპოვებოდა ძვირფასი,  
პროგრესული მომენტები. მარქსისა და ენგელსის  
შემდეგ, რომლებმაც შეჰქმნეს დიალექტიკური  
მატერიალიზმი — რევოლუციური პროლეტარია-  
ტის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და მე-  
თოდი, ბურჟუაზიული ფილოსოფია გადაგვარე-  
ბას განიცდის, სესხულობს რა წარსულის იდეა-  
ლისტური სისტემებიდან ყველაზე რეაქციულ,  
ანტიმეცნიერულ და მისტიკურ იდეებს. განსა-  
კუთრებულად რეაქციულ ხასიათს ბურჟუაზიული  
ფილოსოფია ღებულობს იმპერიალიზმის ეპოქაში.  
ბურჟუაზიული რეაქციულ-იდეალისტური ფილო-  
სოფია ხდება რევიზიონიზმისა და ოპორტუნიზმის  
დროშად. იცავს რა კლასთა თანამშრომლობის  
იდეას და იბრძვის რა პროლეტარული რევოლუ-  
ციის იდეის წინააღმდეგ, რევიზიონიზმი აცლის  
მარქსიზმს მატერიალისტურ დიალექტიკას და  
ციილობის შეაერთოს მარქსის მოძღვრება ამათუ-  
რი იდეალისტურ ფილოსოფიასთან. მხოლოდ სსრ

კავშირში, საღაც მეურნეობის სოციალისტური სისტემა გახდა განუყოფლად გაბატონებული, საღაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, საღაც ისპობა დაპირისპირება გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის, არის შესაძლებელი შეუჩერებელი პროგრესი წარმოებისა და მეცნიერების განვითარებაში, შექმნილია ყველა პირობა და წანამძღვარი იდეალისტურ-რელიგიური მსოფლმხედველობის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნის ღროს ყველა ფილოსოფოსი მარქსამდე და ენგელსამდე გამოდიოდა იდეალიზმიდან, იმის აღირებიდან, რომ ისტორია არის იდეათა პროგრესი და რომ ისტორიის ძირითად მამოძრავებლებს წარმოადგენენ განათლებული ადამიანები, „გმირები“, რომლებიც ისტორიას ჰქმნიან ხალხის გარეშე. ამ იდეალისტურ პოზიციებზე იდგნენ რუსი ნაროდნიკები (ლავროვი, მიხაილოვსკი), ამავე პოზიციებზე დგას დღემდე ბურუუაზიული მეცნიერება. მხოლოდ მარქსიზმმა გვიჩვენა საზოგადოების ჭეშმარიტი საფუძველი, ნათელჰყო რა, რომ იდეებს საფუძვლად უდევს ცხოვრების მატერიალური პირობები. მარქსიზმშია პირველად შეკვეთანმიმდევრულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, ბოლომდევ მტრიულად განწყობილი რდეალიზმისადმი.

ისტორიის იდეალისტური გავება — საზოგადოებრივი განვითარების ისეთი გავებაა, რომე-

ლიც ისტორიულ მოვლენათა ძირითად მიზეზს ხელავს იდეებში, თეორიებში, „სულში“ და ა. შ. მარქსამდე იდეალიზმი ისტორიის გაგებაში გაპატონებული მიმართულებია იყო. მარქსისმიზე თვით მატერიალისტებსაც კი არ შეეძლოთ გაევრცელებიათ თავისი მატერიალიზმი საზოგადოებრივ მოვლენათა დარგზე და ამ მოვლენათა ახსნაში იდეალიზმის პოზიციებზე რჩებოდნენ. ასე, მაგალითად, XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტები მიღიოდნენ იმ დასკვნამიზე, რომ საზოგადოების ცხოვრება განისაზღვრება იდეებით („შეხედულებანი განაგებენ სამყაროს“). ისტორიულ მოვლენებს ფრანგი მატერიალისტები იხილავდნენ როგორც ბერინიერ და უბერლერ შემთხვევითობათა დამთხვევის შედეგს და არა როგორც საზოგადოების კანონზომიერი განვითარების შედეგს, რომელსაც საფუძვლად უდევს ცვლილება აღამიანთა ცხოვრების მატერიალურ პირობებში. დასრულებული და ნათლად გამოხატული ფორმა იდეალიზმია ისტორიის გაგებაში ჰპოვა ჰეგელის ფილოსოფიაში. საზოგადოების ისტორია ჰეგელის თვალსაზრისით განვითარებისა და აღამიანთა კულტურის. სრულყოფის კანონზომიერი პროცესია. მაგრამ კანონზომიერების საფუძველი და საზოგადოების განვითარების წყარო იმყოფება არა თვით საზოგადოებაში, არამედ მისტიკურ „აბსოლუტურ იდეაში“. „აბსოლუტური იდეა“ — აი შემოქმედებითი საწყისი, რომელიც მართავს.

ხალხთა, სახელმწიფოთა ცხოვრებას, მიჰყავს წინ  
საზოგადოებია. ისტორიის გაგებაში იღებასტები  
იყვნენ სოციალისტ-უტოპისტები, თუმცა ისინი,  
როგორც, მაგალითად, სენ-სიმონი, გამოსთქვამლ-  
ნენ კიდეც ცალკეულ გენიალურ მიხვედრებს სა-  
ზოგადოების ცხოვრებისათვის მრეწველობისა და  
ტექნიკის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. იდეა-  
ლისტურად ესმოდათ ისტორიული განვითარება  
აგრეთვე ნაროდნიკებს, ესერებს, ანარქისტებს.  
ნაროდნიკები, როგორც ცნობილია, სთვლიდნენ,  
რომ ისტორიას ჰქმნიან „გმირები“, გამოჩენილი  
პიროვნებანი. თავის მოღვაწეობას ნაროდნიკები  
აგებდნენ ყოვლისშემსრული, ცხოვრებიდან მო-  
წყვეტილი „იდეალური“ გეგმების საფუძველზე.  
და არა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების  
პირობებისა და მოთხოვნილებების მეცნიერული  
გაგების საფუძველზე. მარქსმა პირველად გვიჩვე-  
ნა, რომ მატერიალური წარმოების განვითარება  
არის საზოგადოებრივი განვითარების საფუძველი.  
ამიტომ მარქსისტულ-ლენინური პარტიის პოლი-  
ტიკა, როგორც მეცნიერული პოლიტიკა, გამოდის  
საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებისა და  
კლასთა ბრძოლის კონკრეტული პირობებიდან და  
მოთხოვნილებიდან.

**იდეოლოგია** — საზოგადოებრივი ცნობიე-  
რების ფორმა, განსაზღვრულ შეხედულებიათა,  
იდეათა, ცნებათა, წარმოდგენათა ერთობლიობა.  
იდეოლოგიის ფორმების წარმოადგენენ პოლიტი-

ქური შეხედულებანი, მეცნიერება, მორალი, ხელოვნება, რელიგია და ა. შ. ყველა იდეოლოგია წარმოადგენს საზოგადოებრივი ყოფიერების ანარეკლს. კლასობრივ საზოგადოებაში იდეოლოგია წარმოადგენს კლასობრივ იდეოლოგიას. იგი გამოხატავს და იცავს მებრძოლი კლასების ინტერესებს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „საკითხი დგას მ ხ ო ლ ო დ ა ს ე: ბურჟუაზიული ან სოციალისტური იდეოლოგია. შუალედი აქვთ არის, ვინაიდან არავითარი „მესამე“ იდეოლოგია კაცობრიობას არ გამოუმუშავებია და საერთოდ საზოგადოებაში, რომელსაც კლასობრივი წინააღმდეგობა ჰგლეჯავს, არც შეიძლება არასდროს არსებობდეს კლასგარეშე ან ზეკლასობრივი იდეოლოგია“ (ლენინი). იდეოლოგია უდიდეს როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოების ისტორიაში. წარმოიშვება რა როგორც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებისა და განსაზღვრულ კლასთა ინტერესების ასახვა, იდეოლოგია თავის მხრით აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. მოწინავე იდეოლოგია ემსახურება საზოგადოების რევოლუციური ძალების ინტერესებს. მუშათა კლასის იდეოლოგია არის მარქსიზმ-ლენინიზმი. მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის უდიდეს იდეურ ძალას საზოგადოების რევოლუციურ, სოციალისტურ გარდაქმნაში. თანამედროვე ბურჟუაზიული

იდეოლოგია, პირიქით, წარმოადგენს რეაქციულ ძალას. იგი ემსახურება ბურიუაზის ინტერესებს მის ბრძოლაში მუშათა კლასთან, სოციალიზმთან. უარის თქმა მეცნიერებაზე, იდეალიზმი, ხუცობა და ბნელეთის მოციქულობა, შოვინიზმისა და რასიზმის ქადაგება — ყოველივე ეს თანამედროვე ბურუუაზიული და ფაშისტური იდეოლოგიის განუყრელი თვისებებია. მუშათა კლასის გამარჯვება და სოციალიზმის ზეიმი სპობს ბურუუაზიული იდეოლოგიის მასაზრითოებელ წიაღავს. აღთამიანებზე ბურუუაზიული იდეოლოგიის გაფლიერის თავიდან აშორება მოდის არა თავისთავად, არა თავითდინებით, არამედ მკაცრი იდეული ბრძოლაში ამ იდეოლოგიასთან.

**იეროგლიფების თეორია** — თეორია, რომლის თანახმად აღამიანის შეგრძნებანი და წარმოადგენანი წარმოადგენენ სამყაროს მხოლოდ პირობით ნიშნებს (იეროგლიფებს). იეროგლიფული თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ჩვენი ცნობიერება თავთქმას არ წარმოადგენს ობიექტური სამყაროს საგნებისა და ნივთების ანარეკლს. ამით ისინი ცდილობენ შეარყიონ სამყაროს შემეცნების შესაძლებლობის რწმენა. „ასახვა აუცილებლად და გარდუვალად გულისხმობს იმის ობიექტურ რეალობას, რაც „აისახება“. „პირობითი ნიშანი“, სიმბოლო, იეროგლიფი არის ცნებები, რომელთაც აგნოსტიციზმის სრულიდად უმსჭნისი ელემენტი შემოაჭირ“ (ლენინი). ასახვა არასდროს არ

შეიძლება მთლიანად დაემთხვეს საგანს, რომელიც აისახება, მსაყრდნობის ეს არის სწორი ასახვა რეალურად არსებული საგნისა და არა პირობითი ნიშანი. იეროგლიფების თეორიას იცავდნენ მთელი რიგი ბუნებისმეტყველნი. ამ თეორიას ერთ დროს პლეხანოვიც იზიარებდა. იეროგლიფების თეორიას დიალექტიკური მატერიალიზმი, უპირისპირებს ას ან ვირს თეორიას. (იხ.).

**ინდეტერმინიზმი — იხ. დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი.**

**ინდუქცია და დედუქცია.** — ინდუქცია (დაყენება) — წესი მსჯელობისა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებებისაკენ. დედუქცია (გამოყვანა) — წესი მსჯელობისა ზოგადიდან კერძოსაკენ, ზოგადი დებულებებიდან კერძო დასკვნებისაკენ. ფილოსოფოს-ემპირიკოსები (ბეკონი, ჯ. ს. მილი) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ინდუქციას, უმორჩილებდნენ რა მას დედუქციას. ფილოსოფოს-რაციონალისტები (დეკარტი, სპინოზა, ლაიბნიცი), პირიქით, პირველ აღგილზე აყენებდნენ დედუქციას. მატერიალისტური დიალექტიკა ინდუქციასა, და დედუქციას სთვლის გამოკვლევის მხოლოდ განსაკუთრებულ, მაგრამ არა დამოუკიდებელ, ერთმანეთისაგან არა იზოლირებულ სახეებად. ერთი შეუძლებელია მეორის გარეშე. ყოველი მეცნიერული დედუქცია წარმოადგენს მასალის წინასწარი ინდუქციური შესწავლის შედეგს და ემყარება ამ შესწავლას. თავის 7. ფილოსოფიური ლექსიკონი.

მხრით ინდუქცია წარმოადგენს ჭეშმარიტად მეცნიერულ ინდუქციას მხოლოდ მაშინ, როცა ცალკეულ კერძო მოვლენათა შესწავლა ემყარება განვითარების ზოგადი კანონების ცოდნას. უნდა „მხედველობაში გვჭონდეს მათი კავშირი ერთმანეთს შორის, მათი ურთიერთშევსება ერთიმეორეთი“ (ენგელსი). მარქსიმა „კაპიტალში“ ანალიზი გაუკეთა კოლოსალურ ფაქტიურ მასალას და განაზოგადა კაპიტალიზმის განვითარების მთელი მსვლელობა. ამასთან იგი სარგებლობდა ერთსა და იმავე დროს ინდუქციითაც და დედუქციითაც.

„ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“ — პლეხანოვის ნაწარმოები, რომელიც გამოვიდა 1895 წელს ნ. ბელტოვის ფსევდონიმით. ამ წიგნზე „აღიზარდ რუსი მარქსისტების მთელი თაობა“ (ლენინი), მასში მარქსისტული ფილოსოფიის გადმოცემასთან ერთად მოცემულია ნაროდნიკების რეაქციულ შეხედულებათა ღრმა კრიტიკა. მარქსისმიდე არსებულ ფილოსოფიას და სოციოლოგიას მიძღვნილი აქვს ოთხი თავი, სადაც პლეხანოვის მიერ კრიტიკულად განხილულია XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების, რესტავრაციის დროის ფრანგი ბურჟუაზიული ისტორიკოსების, სოციალისტურპისტების, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენელთა (პეგელი) შეხედულებანი. პლეხანოვი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ მარქსიმა და ენგელსმა შეჰქმნეს ბოლომდე თანმიმდევ-

რული მატერიალისტური ფილოსოფია, რომ მხოლოდ მარქსმა შექვემნა ნამდვილი მეცნიერება საზოგადოების შესახებ, აღმოაჩინა რა მისი განვითარების საფუძველი. ამავე შრომაში პლეხანოვი იძლევა „გმირებისა“ და „ბრბოს“ შესახებ რეაქციული ნაროლნიკული თეორიის საუცხოო კრიტიკას და გადმოგვცემს მარქსისტულ შეხედულებებს ისტორიაში პიროვნების როლისა და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების შესახებ.

**ისტორიის მატერიალისტური გავება — იხ. ისტორიული მატერიალიზმი.**

ისტორიული მატერიალიზმი, ან ისტორიის მატერიალისტური გავება — მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება აღამიანთა საზოგადოების განვითარების კანონებზე. ისტორიული მატერიალიზმი არის დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა თანმიმდევრული გავრცელება საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლაზე. მარქსამდე მეცნიერებაში ბატონობდა ისტორიის იდეალისტური გასგება. ისტორიული მატერიალიზმის თეორიის შექმნა დაკავშირებულია უცილეს აღმოჩენასთან, რომელიც მარქსმა მოახდინა. ისტორიისა და ისტორიული მოვლენათა განმარტებაში. „როგორც დარწინებისა აღმოსაჩინა არგანული ქვეყნის განვითარების კანონი, ისე მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი. შაბ აღმოაჩინა ის მარტივი ფაქტი, რომელიც მიჩნალული იყო

რდეოლოგიურ მოსაზრებათა სამოსელში, რომ აღამიანებმა პირველყოვლისა უნდა იზრუნონ საჭმელზე, სასმელზე, საცხოვრებელ ბინაზე და ტანისამოსზე და მხოლოდ შემდეგ ეწეოდენ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვ.; რომ, მაშასადამე, არსებობის უშუალო მატერიალური საშუალებების წარმოება და ამასთან ერთადაც ამიათუიმ ხალხის ან ამათუიმ ისტორიული ხანის ეკონომიური განვითარების შესაფერი საფეხური განისაზღვრული შომენტში შეაღენს საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან შესაფერი ეპოქის სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით აღამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც კი და რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთ ყველა ამ მოვლენის ახსნის საჭმეში, — მათში პოულობენ ისინი თავის ახსნას და არა პირიქით, როგორც პეტერ ეგონათ“ (ენგელსი). აღამიანის არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის წარმოების წესთა განვითარებაში ისტორიული მატერიალიზმი ხედავს მთავარ ძალას, რომელიც საზღვრავს აღამიანთა მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას და აპირობებს ერთი საზოგადოებრივი წყობილების გადასვლას. მეორეში. არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს, თუ არ აწარმოვა მატერიალური დოვლათი. შრომის იარსალების, ტექნიკის შემწეობით აღამიანი წარმოების პროცესში ზემოქმედებას ახდენს ბუ-

ნებაზე და პოულობს ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს. მატერიალური წარმოების სრულყოფაზე, განვითარებაზე არის დამოკიდებული საზოგადოების პროგრესი. იმ დროიდან, რაც აღამიანი ამაღლდა იარაღების მოხმარებამდე და გადაიქცა „იარაღის მკეთებელ ცხოველადი“, იწყება აღამიანთა საზოგადოების ისტორია. საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებაში პოულობს თავის გამოხატულებას ბუნებაზე აღამიანის ბატონობის ზრდა. საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად კი იცვლება მატერიალური წარმოების მეორე აუცილებელი მხარეც — ურთიერთობანი: აღამიანებს შორის, რომლებშიც ისინი შედიან წარმოების დროს, — წარმოებითი ურთიერთობანი, იცვლება სოციალ-ეკონომიური წესწყობილებანი. ს აზოგადოებრივ — ეკონომიურ ფორმაციათათა არათა (იხ.) ცვლა ისტორიაში — პირველყოფილი ემური წყობილება, მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული, სოციალისტური წყობილება — არის, უწინარეს ყოვლისა, შეცვლა ერთია წარმოებითი ურთიერთობისა მეორეთი, უფრო პროგრესულით. ეს ცვლა არის ყოველთვის აუცილებელი, კანონზომიერი შედეგი საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებისა. დამყარება — ახალია. წარმოებითი ურთიერთობისა, ეკონომიურ წესწყობილებათა, რომელთაც აუცილებლად იწვევს ცხოვრებაში. საწარმოო ძალთა განვითარება, ჩვეულებრივად ხდება ძველი წარ-

მოებითი ურთიერთობების ჩევოლუციური და მხობის გზით. მაშასადამე, მარქსის ისტორიული მატერიალიზმის თეორიის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან, უწინარეს ყოვლა-სა, ყურადღება მიაქცია მატერიალური წარმოების ობიექტურ პირობებს, საზოგადოების ცხოვრების ეკონომიურ კანონებს, რომელიც წარმოადგენენ არამიანთა მთელი ისტორიული მოღვაწეობის ბაზას. მარქსის თეორიის წყალობით „ქაოსი და თვითნებობობა, რომელიც აქტამიდა მეფედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა გასაოცრად მწყობრი და მთლიანი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთა წყობიდან, საწარმოო ძალთა ზრდის გამო, მეორე, უფრო მაღალი წყობა, — მაგალითად, ბატონყმობიდან, როგორ აღმოცენდება კაპიტალიზმი“ (ლენინი). მატერიალური წარმოებაში საზოგა-დოების მთელი ცხოვრებისა და განვითარების ჭრიშმარიტი საფუძვლის აღმოჩენამ პირველად მოგვცა შესაძლებლობა გაგვეგო ხალხთა მასების, მშრომელთა დიადი შემოქმედებითი როლი ისტო-რიაში. საზოგადოებრივი განვითარების ისტორია პირველად იქნა გაგებული როგორც „ისტორია თვით მატერიალური დოკუმენტის მწარმოებლებისა, ისტორია მშრომელი მასებისა, რომლებიც წარ-მოებითი პროცესის ძირითად ძალებს წარმოადგე-ნენ და ანხორციელებენ საზოგადოების არსებო-

ბისათვის აუცილებლად საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებას. მაშასადამე, ისტორიულ მეცნიერებას, თუ მას სურს იყოს ნამდვილი მეცნიერება, აღარ შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების ისტორია მეფეთა და მხედართმთავართა მოქმედებამიღე, სახელმწიფოების „დამპურობელთა“ და „დამმორჩილებელთა“ მოქმედებამდე დაიყვანოს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მან ხელი უხდა მოპკიდოს მატერიალური დოვლათის მწარმოებლების ისტორიას, მშრომელი მასების ისტორიას, ხალხთა ისტორიას“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი). წარმოების არსებული წესის, საზოგადოების მატერიალური ყოფიერების მიხედვით ყალიბდება მთელი საზოგადოებრივი წყობილების, პოლიტიკური დაწესებულებების, ადამიანების აზრთა წყობის, მათი შეხედულებების, იდეების, თეორიების განსაზღვრული ისტორიული ხასიათიც. საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას. შეუძლებელია სწორად გავიგოთ პოლიტიკური დაწესებულებების, იდეების, თეორიების დედაარსი, თუ დავივიწყებთ მათი წარმოშობის მატერიალურ საფუძველს — საზოგადოების ცხოვრების ეკონომიურ წყობას. შეუძლებელია გავიგოთ, თუ რატომ წარმოიშვება ერთ ეპოქაში ერთი დაწესებულებანი და იდეები, ხოლო მეორეში — სხვა, თუ გამოვალთ თვითონ მათგან და არა წარმოების წესიდან. მაგალითად,

ექსპლოატატორული სახელმწიფოს (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური სახელმწიფო) ფორმები მუდამ დამოკიდებული იყო საზოგადოების კლასებად — მონათმისტულობელებად და მონებად, მემამულეებად და ყმებად, ბურჟუაზიად და პროლეტარიატად — დაყოფაზე. საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებიც (პოლიტიკური შეხედულებანი, მეცნიერება, რელიგია და სხვ.) აგრეთვე მუდამ დამოკიდებულია საბოლოო ანგარიშით აღამიანებს შორის გაბატონებულ წარმოებით ურთიერთობებზე და ძირთვესვიანად იცვლება წარმოების წესის, ეკონომიკური წესწყობილების გარდაქმნასთან ერთად. ხსნის რა პოლიტიკური დაწესებულებების, იდეების, თეორიების წარმოშობას და დამოკიდებულებას. წარმოების წესისაგან, ისტორიული მატერიალიზმის თეორია სრულიადაც არ უარპყოფს მათ სერიოზულ მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში. ამით ისტორიული მატერიალიზმის ძირთვესვიანად განსხვავდება ეკონომიკური მატერიალიზმის ან რა ერთხელ წარმოიშვებიან, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დაწესებულებებანი და იდეები თვით ხდებიან ძალად, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მათ წარმომშობ პირობებზე. ისინი ან აფერხებენ საზოგადოებრივ განვითარებას, როგორც რეაქციული ძალები, რომლებიც საზოგადოების ჩამორჩენილ ფენებსა და კლასებს ემსახურებიან, ანდა წინ სწევენ ამ განვითარებას.

ემსახურებიან რა მოწინავე რევოლუციურ კლა-  
სებს. თანმიმდევრული მატერიალიზმი და ისტო-  
რიზმია მჭიდროობა და განუყოფლად არიან. შეერ-  
თებული ისტორიული მატერიალიზმის თეორიაში.  
სწორედ ამიტომ ისტორიული მატერიალიზმის  
თეორიის აღმოჩენით საზოგადოებრივი მეცნიერე-  
ბა პირველად გადაიქცა ნამდვილ მეცნიერებად  
აღამიანთა საზოგადოების განვითარების კანონე-  
ბის შესახებ.

იუმი დავიდ (1711 — 1776) — ინგლისელი  
ბურჟუაზიული ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და  
ეკონომისტი. ფილოსოფიაში იუმი — აგნსტი-  
კოსია. საკითხს იმის შესახებ, არსებობს ობიექ-  
ტური რეალობა თუ არა, იუმი სთვლის გადაუ-  
ჭრელად. იგი ამტკიცებს, რომ ჩვენ არა თუ არ  
ვიცით როგორია ნივთები თავისთავათი, არა  
მედი ისიც კი არ ვიცით, არსებობენ ისინი თუ  
არა. „იუმს არაფერი არ სურს იცოდეს „ნივთზე  
თავისთავათი“, თვით აზრს მის შესახებ ფილოსო-  
ფიურად დაუშვებლად სთვლის“ (ლენინი).  
ამაშია იუმის უფრო თანმიმდევრული აგნოსტი-  
ციზმის განსხვავება კანტიანური აგნოსტიციზმი-  
საგან, რომელიც აღიარებს ნივთის თავისთავად  
არსებობას. მიზეზობრივი კავშირი იუმისათვის  
გუნების კანონი როდია, არამედ ჩვეულებაა,  
რომელიც გამომუშავიდა მოვლენათა მორიგისეობის  
დაკვირვებიდან და რომელსაც საფუძველი არა  
აქვს არც თავით ბუნებრიში, არც აღამიანის წარმო-

დგენებში. უარპყოფს რა ნივთთა მატერიალურ  
საფუძველს და მიზეზობრიობას, იუმი მიღის იმ  
დასკვნამდე, რომ აღამიანის ცნობიერებაში არის  
ფსიქიკურ აღჭმათა მხოლოდ ერთი ნაკადი და  
მეცნიერება დაიყვანება მარტოოდენ ამ ნაკადის  
უბრალო აღწერამდე, ისე რომ იგი მოკლებულია  
შესაძლებლობას მისწვდეს რაიმე კანონებს. იუმის  
აგნოსტიკიზმისა და სუბიექტივიზმის აბათილებს  
აღამიანის „ტრაქტიკა“. ბუნებაზე ზემოქმედებით  
და მისი შეცვლით აღამიანი ამტკიცებს სამყაროს  
ობიექტივობას, მის შეცნობადობას. იუმის ფილო-  
სოფიამ დიდი გავლენა მოახდინა კანტზე და აგ-  
რეთვე მახიზმზე. იუმის საუცხოო კრიტიკა მოცე-  
მულის ლენინის წიგნში „მატერიალიზმი და ემპი-  
რიკურიტიციზმი“. იუმის ძირითადი ფილოსოფი-  
ური შრომები: „ტრაქტატი აღამიანის ბუნებაზე“,  
1739 — 1740 წ. წ., და „აღამიანური გაგების გა-  
მოკვლევა“, 1748 წ.

იუმიზმი — ინგლისელი ფილოსოფოსის იუ-  
მის (იხ.) და მისთ მიმდევრების მოძღვრება.



# ც

კანტი იმპანუილი (1724 — 1804) — გერმანული კლასიკური იდეალიზმის ფუძემდებელი. „კანტის ფილოსოფიის ძირითადი ნიშანი არის შერიგება მატერიალიზმისა იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის“ (ლენინი). ერთი მხრით კანტი ამტკიცებდა რაღაც საგნის არსებობას ჩვენი ცნობიერების გარეშე, რომელსაც იგი უწოდებდა „ნივთს, თავისთავად“. მაგრამ, მეორე მხრით, „ნივთი თავისთავად“, კანტის მიხედვით, პრინციპულად შეუცნობადია, წარმოადგენს ჩვენი შემეცნებისათვის მიღმიურს („ტრანსცენდენტალურს“). „როცა კანტი უშვებს, რომ ჩვენს წარმოდგენებს შეეფერება რაღაც ჩვენს გარეშე, რაღაც ნივთი თავისთავად, — აქ კანტი მატერიალისტია. როცა იგი აცხადებს ამ ნივთს თავისთავად შეუცნობელად... კანტი გამოდის როგორც იდეალისტი“ (ლენინი). აღიარებდა რა „ნივთს თავისთავად“ შეუცნობელად, კანტი შემეცნების თეორიას აგებდა ისეთ საფუძვლებზე, რომლებიც ასხლოვებენ მას სუბიექტურ იდეალიზმთან. იმ ბიძგის ზეგავლენით, რომელსაც იძლევა „ნივთი თავისთავად“,

ადამიანის გრძნობაზე უნარი, კანტის მიხედვით, ჰქონის აღქმათა ქაოსს, რომელიც წესრიგდება ჭირეტის სუბიექტური ფორმების — სივრცისა და დროის შემწეობით. ამრიგად, ვლებულობთ მოვლენას, ანუ გრძნობადობის საგანს. შემდეგ მოქმედებს განსჯა, რომელიც მისი დამახასიათებელი სუბიექტური, ლოგიკური კატეგორიების შემწეობით ამ გრძნობად საგანს (მოვლენას) ცნებად აქცევს. ადამიანის შემეცნების უმაღლეს სფეროს წარმოადგენს გონება, რომელიც კვლავ ხელმძღვანელობს სუბიექტური იდეებით: სულით, როგორც სუბსტანციით, სამყაროთი, როგორც ერთიანი მთელით, ღმიერითით. ამრიგად, კანტი სთვლითა, რომ სივრცე, დრო, მიზეზობრიობა, ბუნების კანონები თვით ბუნების თვისებები კი არ არის, არამედ ადამიანის შემეცნებითი უნარის თვისებებია. კანტი აღიარებდა მათ ცდისეულამდელად — „აპრიორულად“ — და ყოველი ცდის პირობებაზე — „ტრანსცენდენტალური ად“. (აქედან წარმოსდგება სახელწოდება, რომელსაც კანტი აძლევდა თავის ფილოსოფიას, — „ტრანსცენდენტალური ტრალური იდეალი იდეალი იზმი“ — ილეალიზმი, რომელიც აღიარებს, რომ შემეცნების აპრიორული ფორმები უსწრებენ ცდას და წარმოადგენენ მის პირობებს). კანტი ამბობდა, რომ განსჯა უკარნახებს ბუნებას კანონებს. ბუნების მთელ სურათს, როგორადაც იგი ადამიანის შემეცნებას წარმოუდგება, კანტი სთვლიდა გონების

სუბიექტურ კონსტრუქციად. ბუნების ერთიანობა, კანტის მიხედვით, იქმნება არა ბუნების მატერიალურობით, არამედ შემცნობელი სუბიექტის ერთიანობით — „მე“-თი. გონების ყოველგვარ ცდას გასცილდეს ცდის საზღვრებს, კანტის მიხედვით, გარდუვალად მიჰყავს გონება გადაუკრელ წინააღმდეგობებამდე. კანტი სწორად მიგვითითებდა, რომ გონება აუცილებლად ვარდება წინააღმდეგობაში, მაგრამ თვით წინააღმდეგობას იგი განიხილავდა მხოლოდ როგორც ცდომილებას, ილუზიას და არა როგორც სინამდვილის რეალურ წინააღმდეგობათა ანარეკლს. როგორც თვით კანტი მიგვითითებდა, მისი შემეცნების თეორიის ამოცანას წარმოადგენდა გონების უფლებათა ისეთი შეზღუდვა, რომლის დროსაც ადგილი დაურჩებოდა ღმერთს შემეცნების საზღვრებს იქით. თავის ეთიკურ მოძღვრებაში კანტი აუცილებლად სთვლიდა ზნეობის შენარჩუნებისათვის ეღიარებინა ღმერთის არსებობა და სულის უკვდავება. კანტი პირველად შეეცადა XVIII საუკუნეში მისდგომიდა ბუნებას მისი განვითარების თვალსაზრისით, მოგვევლინა რა იგი მზის სისტემის წარმოშობის შესახებ ეგრეთწოდებული კანტ-ლაპლასის ჰიპოთეზის ერთერთ თანაავტორად. კანტის ფილოსოფია იყო იდეოლოგია ახალგაზრდა გერმანული ბურჟუაზიისა, რომელსაც ესაჭიროებოდა ფეოდალური ეპოქის ფილოსოფიურ და უფლებრივ ცნებათა კრიტიკა, მაგრამ

რომელიც იყო სუსტი, აბსოლუტიზმთან კომპრო-  
მისის მაძებარი, რომელსაც არ შეეძლო გასცი-  
ლებოდა უკბილო ლიბერალიზმს. კანტის მოძღვ-  
რების ლიბერალურმა ხასიათმა გამოიწვია მისი  
წარმატება XIX საუკუნეში ეგრეთწოდებულ  
ნეოკანტიანელებთან. კანტის მთავარი ნაწარმოე-  
ბები: „საყოველთაო ბუნებრივი ისტორია და  
თეორია ცისა“, 1755 წ., „წმინდა გონების კრა-  
ტიკა“, 1781 წ., „პრაქტიკული გონების კრიტიკა“,  
1788 წ., „მსჯელობის უნარის კრიტიკა“, 1790 წ.,  
„პროლეგომენები“, 1783 წ.

„კაპიტალი“ — ქ. მარქსის შთავარი შრომის, გე-  
ნიალური უკვდავი ნაწარმოები, რომელმაც გა-  
დატრიალუება: მოახდინა ადამიანთა საზოგადოე-  
ბის შესახებ არსებულ შეხედულებებში და სო-  
ციალიზმი მეცნიერულ რელსებზე დაყენა. „კაპი-  
ტალი“ ჩვენი საუკუნის უდიდესი პოლიტიკურ-  
ეკონომიური ნაწარმოებია“ (ლენინი). მარქსი  
„კაპიტალს“ თავისი ცხოვრების საქმეს უწოდებ-  
და. „კაპიტალზე“ მუშაობა მარქსმა დაიწყო  
40-იანი წლების შუა ხანაში და ამ მუშაობას იგი  
სიკვდილამდე ეწეოდა. „კაპიტალის“ პირველი  
ტომი გამოვიდა 1867 წელს. შემდგომი ტომები  
გამოვიდა უკვე მარქსის სიკვდილის შემდეგ და  
ისინი დასაბეჭდად დამზადებულ და გამოცემულ  
იქნა ენგელსის მიერ: მეორე ტომი — 1885 წელს,  
შესამე — 1894 წელს. „კაპიტალის“ I ტომის  
პირველი თარგმანი, რომელიც დანიელსონმა შეა-

სრულა, 1872 წელს გამოვიდა. „კაპიტალი“ — ეს არის კაპიტალიზმის ეკონომიური განვითარების კანონების ანალიზი. „კაპიტალის“ მიზანს წარმოადგენს, მარქსის სიტყვებით, „თანამედროვე საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა“. იწყებს რა თავის ანალიზს საქონლობან, სასაქონლო მეურნეობიდან, მარქსი, შემდეგ, გვიჩვენებს, თუ როგორ გადაიჭირება ეს მეურნეობა, განვითარების შინაგანი, მისთვის დამახასიათებელი კანონების საფუძველზე, კაპიტალისტურ მეურნეობად და როგორ წარმოშობს იგი კაპიტალიზმს. შემდეგ იგი გადაგვიშლის იმ დაქირავებული მუშების კაპიტალისტური ექსპლოატაციის დედაარსს, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი სიმღიდრის ჭეშმარიტი შემქმნელები არიან. კაპიტალისტური ექსპლოატაციის ამ დედაარსს მარქსი ამჟღავნებს ზედმეტი ღირებულების მოძღვრებაში. ლენინი ამბობდა რომ ეს მოძღვრება „არის მარქსის ეკონომიური თეორიის ქვეყუთხედი“. მარქსი გენიალურად ააშკარავებს კაპიტალისტური ეკონომიკის ყველა წინააღმდეგობას. იგი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის დაგროვების კანონი გარდუვალად იწვევს მუშათა კლასის აბსოლუტურობას და შეფარდებით გაღატაკებას სიმღიდრისა და ფუფუნების ზრდასთან ერთად მეორე პოლუსზე, ბურჟუაზიასთან. კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობასთან ერთად, საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად სულ უფროდაუფრო

გძლავრად იწყებს / გამომუღავნებას კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ მთელი სიმღიდრის მითვისების კერძო ხასიათს შორის. ეს წინააღმდეგობა თავის გამოხატულებას პოულობს ანარქიაში, კრიზისებში, უმუშევრობაში და ა. შ. მაგრამ კაპიტალიზმი არა მარტო ამზადებს თავისი გარდუვალი დაღუპვის პირობებს. ეს პირობები იმავდროულად რევოლუციური მუშათა კლასის გამარჯვებას პირობებსაც წარმოადგენენ. კაპიტალიზმის წიაღში იქმნება ობიექტური და სუბიექტური პირობები ახალი, სოციალისტური საზოგადოებისათვის — მატერიალური ბაზა (თანამედროვე ტექნიკა, მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი და ა. შ.) და რევოლუციური პროლეტარიატი — კაპიტალიზმის მესაფლავე და ახალი, სოციალისტური საზოგადოების შემქმნელი. მარქსის „კაპიტალი“ — ეს მარტო ეკონომიური შრომა როდია. იგი წარმოადგენს უდიდეს ისტორიულ და ფილოსოფიურ ნაწილებსაც. მასში მოცემულია მარქსის ისტორიული მატერიალიზმის თეორიის გაშლილი და საბუთება, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის — კაპიტალიზმის ყოველმხრივი გამოკვლევისადმი გამოყენების მხრივ. „კაპიტალი“ წარმოადგენს აგრეთვე მატერიალისტური დიალექტიკის დამუშავებისა და ადამიანთა საზოგადოების შესწავლისადმი მისი

გამოცემების უბადლოო ნიმუშს. „... ბურუუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსისათვის არას დიალექტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევა“ (ლენინი). რეალურ სინამდვილესთან სრული შეფარდებით მარქსი „კაპიტალში“ წარმოების საზოგადოებრივ წესს იხილავს როგორც მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს, იხილავს მას არა როგორც მარადიულს და უცვლელს, არამედ როგორც ისტორიულად წარმოშობილ წესს, რომელიც ვითარდება და აუცილებლად ამზადებს თავისი დაღუპვის პირობებს. „კაპიტალი“ აერთიანებს თავის თავში ლრმა მეცნიერულობას უდიდეს პარტიულ შეურიგებლობასთან. „კაპიტალში“ მარქსი უბრალოდ კი არ გვიხსნის კაპიტალისტურ სინამდვილეს, არამედ მიგვითითებს მისი რევოლუციური შეცვლის გზებზე. მარქსის მუშაობა პოლიტიკურ ეკონომიაზე მთლანად გამომდინარეობდა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის მოთხოვნილებებიდან. მარქსი თავის უპირველეს პარტიულ მოვალეობად სთვლიდა, — მიეცა პროლეტარიატისთვის თეორიული იარაღი მის ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მარქსის „კაპიტალს“ აქვს ქვესათაური „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“. ეს სავსებით შეფერება „კაპიტალის“ თეორიულ შინაარსს. კაპიტალიზმის კანონების გამოკვლევასთან ერთად მასში მოცემულია ბურუუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერული კრიტიკაც. „კაპიტალის“ 8. ფილოსოფიური ლექსიკონი.

გამოსვლის მომენტიდან, რომელშიც მეცნიერულად არის დამტკიცებული კაპიტალიზმის კრახისა და სოციალისტური საზოგადოებით მისი შეცვლის გარდუვალობა, დღემდე ბურჟუაზიული მეცნიერება „კაპიტალის“ წინააღმდეგ აწარმოებს შეურიგებელ ბრძოლას, ამახინჯებს რა მას ცილისმწამებლურად. კომუნიზმისადმი მტრულ თეორიათა დაუნდობელმა კრიტიკამ და მარქსის მოძღვრების, მისი უკვდავი შემოქმედების — „კაპიტალის“ — იდეათა შემდგომმა განვითარებამ თავისი ჭეშმარიტი განხორციელება ჰპოვა ლენინისა და სტალინის გენიალურ შრომებში.

**კატეგორიები** — ცნებები, რომელნიც გამოხატავენ რეალური სამყაროს ყველაზე არსებათ კანონებს. კატეგორიებით და კნებებით დიალექტიკურ მატერიალიზმში: მატერიალის, მოძრაობა, სივრცე, დრო, აუცილებლობა, მიზეზობრიობა, არსი, თვისობრიობა, რაოდენობა, ფორმა, შინაარსი და სხვ.; ისტორიულ მატერიალიზმში — საზოგადოებრივი კონკრეტური ფორმებია, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი, ბაზისი და ზედნაშენი. იდეიოლოგია და ა. შ. ბუნებისა და ისტორიის შემეცნების პროცესი არ არის ადამიანის ტვინში სინამდვილის ასახვის მარტივი მექანიკური აქტი. შემეცნება — ეს კატეგორიების, ცნებების, კანონების შექმნის რთული პროცესია. ისინი არ წარმოადგენ ადამიანის გონების თვითნებურ ქმნილებას ან რაღაც

სამყაროს გარეშე მყოფი „აბსოლუტური იდეის“ რეალიზაციის საფეხურებს, როგორც ამას იდეალისტები ამტკიცებენ. ცნებები, კატეგორიები წარმოადგენენ აღამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ბუნებრივი პროცესებისა და მოვლენების განზოგადებას.

**კანონზომიერება, კანონი.** — „სამყარო არის მატერიის კანონზომიერი მოძრაობა და ჩვენს შემეცნებას, რომელიც ბუნების უმაღლესი პროდუქტია, შეუძლია მხოლოდ ასახოს ეს კანონზომიერება“ (ლ ე ნ ი ნ ი). დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ბუნება არ არის საგნების, მოვლენების რაღაც შემთხვევითი გროვა, არამედ ბუნებაში არსებობს ობიექტური კანონზომიერება, მიზეზობრიობა, აუცილებლობა. ფილოსოფიაში სუბიექტივიზმისა და აგონსტიციზმის მომსრულენი (იუმი, კანტი, მახი) უარპყოფენ კანონისა და კანონზომიერების ობიექტივობას, ამტკიცებენ რა არასწორად, თითქოს „აღამიანი აძლევდეს ბუნებას კანონს“, თითქოს აღამიანის ცნობიერებას შექმნდეს კანონზომიერებია მოვლენათა, მათი შეხედულებით, ქაოსტიური სამყაროში. სინამდევილეში კი შემეცნება ამჟღავნებს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებში ობიექტურ კანონებს, სამყაროს ობიექტურ შინაგან კავშირს. კანონი გამოხატავს სინამდვილის ყველაზე უფრო ზოგად, ყველაზე უფრო არსებით მხარეებსა და კავშირს და ამიტომ კანონი უფრო ღრმად და

უფრო სრულად გამოხატავს ობიექტური სამყაროს სურათს. ნამდვილი მეცნიერული შემეცნება მდგომარეობს ობიექტური სამყაროს კანონების აღმოჩენაში. ეყრდნობიან რა კანონების შემეცნებას, აღამიანები აქტიურად ახდენენ ზემოქმედებას ბუნებაზე და საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე. მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებით ჩვენ ვიძენთ ბუნების განვითარების ყველაზე ზოგადი კანონებისა და საზოგადოებრივი განვითარების კანონების მეცნიერულ ცოდნას.

**კაუზალობა**—სხვაგვარარაცი მიზეზობრივი ბა. (იხ.).

**კლასები** (საზოგადოებრივი). — „კლასები ეწოდება აღამიანთა დიდ ჯგუფებს, რომელნიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (უმეტეს ნაწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ წილის მიღების წესებით და მოცულობით, რომელიც მათს განკარგულებაშია. კლასები, ეს აღამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომლებიღანაც ერთს შეუძლია მიითვისოს მეორების შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების წყალობით“ (ლენინი). კლასების წარმოშობა ისტორიულად დაკავშირებით მიმდინარეობს.

ბულარის შრომის საზოგადოებრივი დაყოფის წარმო-  
შობასა და განვითარებასთან და საწარმოო საშუა-  
ლებებზე; კერძო საკუთრების გაჩენასთან. მო-  
ნათმითულობები — და მონები — ასეთია მონათ-  
მფლობელური საზოგადოების ძირითადი კლასები.  
მემამულები, რომლებმაც მიითვისეს მიწა, და  
მათდამი დამორჩილებული და მათ მიერ ექსპლო-  
ატირებული ყმა გლეხები — ასეთია ფეოდალური  
საზოგადოების ძირითადი კლასები. კაპიტალისტე-  
ბი, ფაბრიკებისა და ქარხნების მესაკუთრენი, და  
პროლეტარები, რომელნიც კაპიტალისტურ ფაბ-  
რიკებსა და ქარხნებში მუშაობენ, — ასეთია კაპი-  
ტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასები.  
ექსპლოატირებული კლასები თავისი შრომით  
ჰქონიან მთელს საზოგადოებრივ სიმიდიდრეს, რომ-  
ლის უდიდეს ნაწილსაც ექსპლოატატორები ითვი-  
სებენ. მშრომელი კი ღებულობს მისი შრომით შე-  
ქმნილი სიმდიდრის უმნიშვნელო წილს. წინააღმ-  
დეგობანი კლასებს შორის აუცილებლად იწვევენ  
ექსპლოატირებულთა კლასობრივ ბრძოლას. ექსპ-  
ლოატატორებთან. კლასობრივი საზოგადოებისა  
და კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში განსაკუთ-  
რებული ადგილი ეკუთვნის პროლეტარიატს. მო-  
ნების ბრძოლამ მონათმფლობელების წინააღმდეგ,  
ყმების ბრძოლამ ფეოდალურ-მემამულური წეს-  
წყობილების წინააღმდეგ გამოიწვია მხოლოდ ექს-  
პლოატაციის ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა.  
პროლეტარული რევოლუცია, სპობს ო კაპიტა-

ლისტურ წყობილებას და პემნის რა სოციალისტურს, ლიკვიდაციას უშვება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, სპობს კლასებს და სამუდამოდ ასამარებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

**კლასები სსრ კავშირში.** — სოციალიზმის გამარჯვებამ ძირდესვიანად შესცვალა კლასობრივი სტრუქტურა ჩვენს ქვეყანაში. სამოქალაქო ოშის წლებში მოხდა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და მსხვილი ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია. მაგრამ ერთბაშად კლასების მოსპობა შეუძლებელია. ჩვენს ქვეყანაში კიდევ რჩებოდა სხვადასხვა სამეურნეო წყობა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით შეიცვალა კლასთა თანაფარდობა ჩვენს ქვეყანაში. პროლეტარიატი და გლეხობა გახდა ძირითად კლასებად. მაგრამ მათ გარდა არსებობდა ქალაქად კაპიტალისტური ბურჟუაზია და სოფლიად კულაკობა. მოსპობ რა კაპიტალიზმი პოლიტიკურად 1917. წელს, მუშათა კლასმა, გლეხობასთან კავშირში, თავის ამოცანად დაისახა გენადგურებია ბოლომდე კაპიტალიზმი აგრეთვე ეკონომიკურიადაც, გამოიეთხარია ძირი კაპიტალიზმის მასაზრდოებელი ეკონომიკური ფესვებისათვის. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ, კულაცკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციამ მიგვიყვანეს სოციალიზმის გამარჯვებამდე. ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებულია. მუშათა კლასმა შესწყვიტა

პროლეტარიატად ყოფნა ამ სიტყვის წინანდელი მნიშვნელობით, გადაიქცა რა ახალ, ექსპლოატაციიდან განთავისუფლებულ კლასად, „რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, რომელმაც დაამყარა სოციალისტური საკუთრება, წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე და რომელიც წარმართავს საბჭოთა საზოგადოებას კომუნიზმის გზით“ (სტალინი). გლეხობაც ასევე სსრ კავშირში ძირითად შეიცვალა. ნაცვლად მილიონობით დაქუცმაცებული, წვრილი და საშუალო მეურნეობებისა პრიმიტიული და ჩამორჩენილი ტექნიკით „ახლა სსრ კავშირში სრულიად ახალი გლეხობა გაიზარდა: აღარ არიან მემამულები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომლებიც გლეხობას ექსპლოატაციას გაუწევდნენ. გლეხურ მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა შევიღა კოლმეურნეობებში, რომლებსაც საფუძვლად უდევთ არა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, აღმოცენებული კოლექტიური შრომის საფუძველზე. ეს არის ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობის ახალი ტიპი. ასეთი გლეხობაც კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია მოწლე კურსი). რევოლუციამდელი ინტელიგენცია შესდგებოდა უმთავრესად აზნაურებისაგან და ბურჟუაზიისაგან. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია თავისი მასით გამოვიდა მშრომელთა

წრიდრან. საბჭოთა ინტელიგენციის 80-90% — ეს გუშინდელი მუშები და გლეხებია და მუშებისა და გლეხების შვილები. ეს არის პარტიული, კომ-კავშირული, საბჭოთა, სამეცნიერო, კოოპერატი-ული, საფუატო, პროფესიული, სასოფლო-სამეცნიერო, განათლებისა და სამხედროო მუშაკთა კადრები, რომელთა შემწეობით მუშათა კლასი და გლეხობა მართავენ საბჭოთა ქვეყანას. ქველი ინტელიგენცია ცდილობდა თავისი თავი დაეყენებია კლასებზე ზევით, ემსახურებოდა რა საქმით კაპიტალიზმის. საბჭოთა ინტელიგენცია — ნამდვილი ხალხური ინტელიგენციაა. იგი საბჭოთა საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია, იგი სოციალიზმს ემსახურება. უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დასრულებისა და კომუნიზმი თანდათანობით გადასვლის პროცესში მთლიანად წაიშლება ზღვარი და განსხვავება მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენტებს შორის. „...ჩვენი საზოგადოება შესძგება ახლა ორი ერთმანეთისადმი მეგობრული კლასისაგან, მუშებისაგან და გლეხებისაგან, რომელნიც გაერთიანებული არიან საერთო საქმით, კომუნიზმის მშენებლობის საქმით... ზღვარი სსრ კავშირის მშრო-მელთა ორ კლასს შორის სულ უფროდაუფრო იშლება, ისევე როგორც თანდათანობით იშლება და ჰქრება აგრეთვე ზღვარიც ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა საბჭოთა საზოგადოების სასარგებლოდ“ (მოლობოვი).

კლასი „თავისთავად“ და კლასი „თავისთვის“. მარტინი და ენგელსი „კომუნისტურ მსანიფესტში“ ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი განვითარდა კლასიდან „თავისთავად“ კლასად „თავისთვის“. ცნებანი „თავისთავად“ და „თავის-თვის“ გაღმოგვცემენ პროლეტარიატის სიმწიფისა და მისი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის, თვითშეგნების ზრდის სხვადასხვა საფეხურს. საჭირო შეიქნა მთელი ისტორიული ეტაპი იმისათვის, რომ პროლეტარიატს შესძლებოდა შეეგნო თავისი ინტერესები როგორც კაპიტალიზმისადმი შეურიაგებლად დაპირისპირებული. ისეთი ძაგალითები ისტორიიდან, როგორიც იყო ლეი-ლიტთა მოძრაობა ინგლისში, როცა სასტიკი ექსპლოატაციით აღშეფეხული მუშები მანქანებს ამსხვრევდნენ, არ შეეძლოთ რა განესხვავებინათ მანქანა ექსპლოატაციის იარაღის სახით მისი კაპიტალისტური გამოყენებისაგან, გვიჩვენებენ, რომ პროლეტარიატი უციდად რომიდი გამსხვავა კლასობრივად შეეგნებული. „თავისთაპიროველიად“ იბრძვიან ცალკეული მუშები, მერე მუშები ერთი ფაბრიკისა, შემიღები მუშები ერთი სამუშაო დარგისა განსაზღვრულ აღგილას წინაპლატეგ ცალკეული ბურჟუაზია, რომელიც პირდაპირ მათ ექსპლოატაციას ეწევა“ (მარქსი). მუშები ამ საფეხურზე ჯერ კიდევ არ იბრძვიან კაპიტალისტების, როგორც კლასის, წინაპლატეგ. პროლეტარიატი ჯერ კიდევ არაა ამაღლებული თავისი საერთო-კლა-

სობრივი ამოცანების გაგებამდე, იგი ჯერ კიდევ წარმოადგენს კლასს „თავისთავად“. „ამ საფეხურზე მუშები წარმოადგენენ მთელ ქვეყანაზე გაფანტულ და კონკურენციით დაქუცმაცებულ მასას“ (მარქსი). პროლეტარიატის გადასვლა მისი კლასობრივი თვითშეგნების შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე ხდება თვით კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე. ფაბრიკების, ქარხნების ზრდასთან ერთად იზრდება რიცხობრივალ პროლეტარიატი, მისი ორგანიზაცია, შემჭიდროება, გამოცდილება კლასობრივი ბრძოლისა. ცალკეული კაპიტალისტის, თავისი უშუალო ბატონ-პატრიონის წინააღმდეგ, ბრძოლიდან მუშები გადადიან ბრძოლაზე კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ მთლიანად და მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ. პროლეტარიატის თვითშეგნების ზრდა სწარმოებს კაპიტალისტებთან პრაქტიკული ბრძოლის პროცესში და თავის უმაღლეს გამოხატულებას პოულობს პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის — კომუნისტური პარტიის, მასათა მებრძოლი ავანგარდის — ორგანიზაციაში. პროლეტარიატი შეიცნობს თავის ისტორიულ მისიას და ხდება კლასად „თავისთვის“.

**კლასიკური გერმანული ფილოსოფია.** — გერმანული ფილოსოფია XVIII საუკ. დასასრულსა და XIX საუკ. პირველ ნახევარში. ამ ფილოსოფიის ფუძემდებელი იყო კანტი (იხ.), მისი გამგრძელებელნი — ფიხტე და შეალინგი; ჰეგელის (იხ.)

სისტემა მოგვევლინა „კანტის დროიდან ფილოსოფიური მოძრაობის დასკვნით ფაზისად“ (ენგულისი). კლასიკურმა გერმანულმა ფილოსოფიამ ასახა თავის თავზე XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკ. დასაწყისში ევროპაში არსებულ რევოლუციურ მოძრაობათა გავლენა, მაგრამ ეს გავლენა გარიდატყდა მასში მაშინიდელი გერმანიის ჩამორჩენილი სოციალ-ეკონომიური პირობების პრიზმის ქვეშ. გერმანული ბურჟუაზიის სისუსტემ, უთანამიმდევრობამ, ფეოდალებზე დამოკიდებულებამ თავი იჩინა მის ფილოსოფოსებთანაც, წარმოიშვა რა კანტში, ფიხტეში, შელინგში, ჰეგელში სიძულვილი მატერიალიზმისადმი, მიიღოკეიილება რეალიგიისადმი, აზრთა მისტიკურ-იდეალისტური წყობილება. გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას ჰქონდა მთელი რიგი დამსახურებანი, მათ შორის ყველაზე ძირითადი—დიალექტიკის, დასაბატუთება. „ჰეგელის დიალექტიკას, როგორც უაღრესად ყოველმხრივ, შინაარსით მიღიარა და წრმისა მოძღვრებას განვითარების შესახებ, მარტინ და ენგელსი სთვლიდნენ კლასიკური გერმანული ფილოსოფიის უდიდეს მონაპოვარად“ (ლენინი). კლასიკური გერმანული ფილოსოფია, დაწყებული კანტით და გათავებული ჰეგელით, ანვითარებდა იდეალიზმს. მაგრამ იგი დამთავრდა ფეიერბახის მატერიალიზმით. მარტინმა და ენგელსმა გადასმუშავეს კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნათა მთელი

მარტავდ, აიღეს პეგელის დიალექტიყიდან მხოლოდ მისი „რაციონალური მარცვალი“, ე. ი. განვითარებისა და საყოველთაო კავშირის იდეა, ჩამოცილების იღებალისტური ჩენწეო და განავითარეს დიალექტიკა შემდგომ, მისცეს რა მას თანამედროვე მეცნიერული სახე. მარქსმა და ენგელსმა გამოიყენეს აგრეთვე ფეიერბახის მატერიალიზმის ძირითადი ბირთვიც, უკუაგდეს რა მისი რელიგიურ-ეთიკური დანაშრევი. ამრიგად, კლასიკური გერმანული ფილოსოფია მოგვევლინა მარქსიზმის ერთერთ წყაროდ. კლასიკური გერმანული ფილოსოფიის საუცხოო ანალიზი მოცემულია ენგელსის წიგნში „ლუდვიგ ფეიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“.

**კლასობრივი ბრძოლა — ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულთ შორის, გამოვლინებას კლასებს შორის ინტერესთა შეურიგებლობისა. ისტორია ყველა საზოგადოებისა, გარდა პირველყოფილ-თემურისა, იყო კლასთა ბრძოლის ისტორია. კლასობრივი ბრძოლა — ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალაა კლასობრივ საზოგადოებაში. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მოსპონ ფეოდალური წყობილება, პროლეტარულმა რევოლუციამ მოსპონ დედამიწის  $\frac{1}{6}$  ნაწილზე, და მოსპობს მთელს მსოფლიოში კაპიტალისტურ წყობილებას. კლასობრივი ბრძოლა გამჭვალავს ეკონომიკას, პოლიტიკას, იდეოლოგიას. კლასობრივი ბრძოლის ფორმები სხვადასხვაა. პროლე-**

ტარიატის კლასობრივი ბრძოლის ძირითადი ფორმებია ეკონომიური, პოლიტიკური და თეორიული ფორმები. მათგან პირველხარისხის შინაგანი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლას, ე. ი. ბრძოლას პოლიტიკური ძალაუფლებისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. პოლიტიკური ბრძოლა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება მუშათა კლასისა და მთელი საზოგადოების ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების გადამწყვეტი პირობა. ბრძოლის ეკონომიური და თეორიული ფორმები დაქვემდებარებულია პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებისაღმი. პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით კლასობრივი ბრძოლა არ მთავრდება, არამედ ახალ ფორმებს ღებულობს. ექსპლოატატორული კლასები ისპობიან სასტიკ კლასობრივ ბრძოლაში, რომელსაც პროლეტარიატი აწარმოებს. ჩვენს ქვეყანაში მოსპობილია ექსპლოატატორული კლასები, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განადგურებული მათი ნაშთები. არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა. ამიტომ „განადგურებული კლასების ნაშთები სსრ კავშირში მარტონი არ არიან. მათ პირდაპირ დახმარებას უწევენ ჩვენი მტრები სსრ კავშირის ფარგლებს იქით. შეცდომა იქნებოდა გვეთიქრა, რომ კლასობრივი ბრძოლის სფერო განსაზღვრულია სსრ კავშირის ფარგლებით. თუ კლასობრივი ბრძოლის ერთი ბოლო მოქმედებს სსრ კავშირის ფარგლებ-

ში, მეორე მისი ბოლო გაჭიმულია ჩვენს გარე-  
მომცველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფარგ-  
ლებში“ (სტალინი). ამით განისაზღვრება მუ-  
შათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს,  
მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო  
სიძლიერის ყოველნაირი განმტკიცების ამოცანა.

**კომუნიზმი — იხ. სოციალიზმი და კო-  
მუნიზმი, მეცნიერული კომუნიზმი.**

„კომუნისტური მანიფესტი“ — იხ. „კომუ-  
ნისტური პარტიის მანიფესტი“.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ — მეცნი-  
ერული კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტი,  
დაწერილი მარქსისა და ენგელსის მიერ და გა-  
მოქვეყნებული 1848 წ. რევოლუციამდე ცოტა  
ადრე. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“  
„გენიოსური სინათლითა და გარკვეულობით მო-  
ხაზულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდე-  
ვარი მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხო-  
ვრების დარგსაც მოიცავს, შემდეგ დიალექტიკა,  
როგორც ყოველმხრივი და ულრმესი მოძღვრება  
განვითარებაზე, ბოლოს, თეორია კლასობრივი  
ბრძოლისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოე-  
ბის შემომწმედის, პროლეტარიატის მსოფლიო-  
ისტორიული რევოლუციური როლისა“ (ლენინი).  
„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ შესდ-  
გება ოთხი თავისაგან: 1) ბურჟუები და პროლე-  
ტარები, 2) პროლეტარები და კომუნისტები, 3)  
სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა,

4) კომუნისტების დამოკიდებულება სხვადასხვა აპოზიციურ პარტიებთან. პირველ თავში მარქსი და ენგელსი, ადგენენ რა ადამიანთა ყველა ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების ძირითად კანონს — კლასთა ბრძოლას, იძლევიან მოკლე მიმოხილვას იმისას, თუ როგორ შეიცვალა ისტორიულად მონათმფლობელური საზოგადოება ფეოდალურით და ფეოდალური — კაპიტალისტურით. შემდეგ ისინი ანალიზს უკეთებენ კაპიტალიზმის გარღუვალი დამსხვრევის მიზეზებს მის შინაგან შეურიგებელ წინააღმდეგობათა გამოს და ასაბუთებენ მუშათა კლასის საბოლოო მიზანს — კომუნიზმს. ბურჟუაზიის დაღუპვა და პროლეტარიატის გამარჯვება, სწერენ მარქსი და ენგელსი, „ერთნაირად გარღუვალია“. „მანიფესტის“ მეორე თავი მიძღვნილია ძირითადად კომუნისტური პარტიის, როგორც მუშათა კლასის განუყრელი ნაწილისა და მისი მოწინავე რაზმის, როლის გამორკვევა-სადმი და კომუნისტური პარტიის პროგრამის გაღმოცემისადმი. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა და საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება, რომლის ბაზაზეც ყველა შესაძლებლობა იქნება გართაშობილი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის, კულტურისა და მეცნიერების აყვავებისათვის, — ასეთია კომუნისტების ბრძოლის ძირითადი საპროგრამო მიზანი. მხოლოდ კომუნისტური რევოლუცია ახდენს ძირფესვიან გადატრიალებას საზოგადოებრივ-ეკონო-

მიურ ურთიერთობებში, საზოგადოობრივ ყოველე-  
რებაში და აღმიანთა ცნობიერებაში. „პირველ  
ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში, — სწერენ შარქისი  
და ენგელსი, — წარმოადგენს პროლეტარიატის  
გადაჭრება გამოწვეული კლასად“. ამრიგად, „მა-  
ნიფესტში“ მოკემულია ფუნქციულირება „სახელ-  
მწიფოს საკითხში მარქსიზმის ერთერთი უშესანა-  
შნავესი და უმნიშვნელოვანესი იდეისა, სახელ-  
დობრი, „პროლეტარიატის დიჭიტატურის“ იდეისა“  
(ლენინი). მესამე თავში მოცემულია იმ სხვა-  
დასხვა არაპროლეტარულ სოციალისტურ მიმღი-  
ნარეობათა ლრმა: კრიტიკა, რომილებიც არსებობდა  
„მანიფესტის“ შექმნამდე და მისი შექმნის პერი-  
ოდში. „მანიფესტის“ უკანასკნელი, მეოთხე თავი  
გადმოგვცემს კომუნისტური პარტიის სტრატეგიი-  
სა და ტაქტიკის საფუძვლებს. „მანიფესტში“ მი-  
თითებიულია იმი გარემოებაზე, რომ კომუნისტები  
ყველგან უჭერენ მხარის ყოველგვარ რევოლუ-  
ციურ მოძრაობას, მიმართულს არსებული საზოგა-  
დოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღ-  
დეგ, თვით ბურჟუაზიასთან შეერთებულ ბრძო-  
ლამდე ფეოდალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ კომუ-  
ნისტებს ერთი წუთითაც კი არ ავიწყდებათ ძირი-  
თადი ამოცანა — გამომუშავება მუშებში პროლე-  
ტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მტრული წინა-  
აღმიცევობის ნათელობი. შეგნებისა. ცდილობენ რა  
მისაღწიონ ყველგან ყველა ქვეყნის დემოკრატიუ-  
ლი ძალების გაერთიანებას და შემჭიდროებას,

კომუნისტები აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მთელი დღემდე არსებული წყობილების ძალდატანებითი დამხობის გზით. მოწოდებაში, რომლითაც თავდება „მანიფესტი“ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, საჯაროდ გამოცხადებულია კომუნისტური მოძრაობის ინტერნაციონალური ხასიათი. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, მოპოვებულმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მოგვიტანა იმ იღებათა უკადებესი ზეიმი, რომლებიც გაღმოცემულია მარქსისა და ენგელსის მიერ უკვდავ ნაწარმოებში — „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, კომუნისტური რევოლუციის ამ სიმღერათა სიმღერაში.

**კონკრეტული ჭეშმარიტება.** — ჭეშმარიტება, ამ-ტკიცებს მარქსიზმ-ლენინიზმი, ყოველთვის კონკრეტულია, ვინაიდან ყველაფერი დამოკიდებულია პირობებსა, ადგილსა და დროზე. მარქსიზმი უარპყოფს აბსტრაქტულ ჭეშმარიტებათა არსებობას, რომელნიც ვითომდა ყველა დროისათვის ვა-მოსადეგი არიან, და მოითხოვს კონკრეტულისტორიულ მიღვომას მოვლენათა ახსნის დროს. ასე, მაგალითად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა ცარიზმის პირობებში 1905 წელს რესეტში რევოლუციური იყო, სსრ ეპშირის. პირობებში კი იგი უაზრო და კონტრრევოლუციურია, ვინაიდან ბურჟუაზიული რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკასთან შედარებით 9. ფილოსოფიური ლექსიკონი.

ჩაბიჯია უკან. ყოველი განმარტება, თუ მას ავა-  
ღებთ აბსტრაქტულად, ყოველივე კავშირისა და  
ურთიერთობის გარეშე, უშინაარისო და უაზრო  
ხდება. ასეთია მაგალითიად, აბსტრაქტული ცნებები  
„თანასწორობის“, „სიკეთის“, „დემოკრატიის“  
და სხვ. „თანასწორობის“ ცნება აზრს ღებულობს  
მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კონკრეტულად  
განიხილება: თანასწორობა ვისი ვისთან? რაში?  
არ არის ასევე „დემოკრატია საერთოდ“, არამედ  
არსებობს დემოკრატია ბურუუაზიული და დემო-  
კრატია პროლეტარული, სოციალისტური. აბსტ-  
რაქტული ჭეშმარიტება არ არის, გვასწავლის  
მარქსიზმი, ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტუ-  
ლია.





„ლენინიზმის საკითხებისათვის“ ამნანაუ  
სტალინის შრომა; დაწერილია 1926 წლის იან-  
ვარში. იგი მიმართული იყო ბოლშევიზმის მიტრე-  
ბის—ტროცკისტულზინოვიევური ბანდის წინააღ-  
მდეგ, რომელიც ტროცკისა და მისი დამქაშების  
კამენევის, ზინოვიევის, ბუხარინის მეთაურობით  
ცდილობდნენ გაეთიშათ ბოლშევიკური პარტია,  
მოეწამლათ იგი სსრ კავშირში სოციალიზმის  
გამარჯვებისადმი რწმენის უჭინდობით და შეექმ-  
ნათ მეორე პარტია, პარტია კაპიტალისტური  
რესტაციაციისა. ამნანაუ სტალინი თავის ნაწარ-  
მოებში ამხელს ტროცკისტებისა და ზინოვიევე-  
ლების ცდების შეეცვალათ ლენინიზმი ტროცკიზ-  
მით. ამსხვერვს რა ტროცკისტულ ცილისწამებას  
ლენინიზმის ზაკიონალური შეზღუდულობისა და  
იშის შესახებ, რომ ლენინიზმი ვითომიდა მთავარი  
იყოს გლეხობის საკითხი, ამნანაუ სტალინი გვიჩ-  
ვენებს, რომ მთავარი ლენინიზმში—ეს არის  
საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ  
და რომ ლენინიზმი წარმოადგენს პროლეტარია-  
ტის საერთაშორისო მოძღვრებას, „რომელიც გა-  
მოსადეგი და სავალდებულოა უკლებლივ ყველა

ქვეყნისათვის, მათ რიცხვში კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისათვისაც“ (სტალინი). ამზანავი სტალინი ამსელს „პერმანენტული რევოლუციის“ შესახებ ტროცკისტული „თეორიის“

მენშევიკურ დედაარსის და ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი განხორციელება და შემდგომი განვითარება მარქსის მიღდლვრებაში პერმანენტული რევოლუციის შესახებ პერვა ბურუჟაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზიარდითი ლენინური იდეალი. უკეთებს რა პროლეტარული რევოლუციის ამოცანების დამახასიათებელ წილებსა და სიღრმეს ანალიზს განსხვავებით ბურუჟაზიული რევოლუციისაგან, ამსანავი სტალინი ნათელჰყოფს პროლეტარული დიქტატურის დედაარსის, როგორც პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსის, როგორც ქლასობრივი ბრძოლის გაფრინდებას ახალი ფორმებში, როგორც გლეხობასთან და მუროვამელთან სხვა არა-პროლეტარულ ფენებთან პროლეტარიატის კლასობრივი კავშირის განსაკუთრებულ ფორმას. ანვითარებს რა ლენინურ მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის სამი ძირითადი მხარის შესახებ, მათი ერთიანობისა და თანაფარიდობის შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის განვითარების სხვა დასხვა პერიოდში, ამსანავი სტალინი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს პროლეტარული დიქტატურის ორგანოების შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებლობას კაპიტალისტური გარემონტ

ვისა და ინტერვენციის საში შეროგების პირობებში. დიდ ყურადღებას უთმობს ამნანაგი სტალინი საკითხის პროლეტარიატის დიქტატურის სისტემასა და კომუნიზმის მშენებლობაში კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელი როლის შესახებ, ამნელის ტროცკისტების ცდას გაიგივეონ პროლეტარიატის დიქტატურა პარტიის დიქტატურასთან და გვიჩვენებს, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის გაიგივება პროლეტარიატის დიქტატურასთან არის კლასის შეცვლა პარტიით, არის უხეში დამახინჯება ლენინური მოძღვრებისა ავანგარდისა და კლასს შორის არსებული თანაფარიცობის შესახებ. საკითხები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და სსრ გავმირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის შესახებ „შეადგენენ შრომის „ლენინიზმის საკითხებისათვის“ ორი უკანასკნელი თავისი (VII და VIII) შინაარსს. აქ ამნანაგი სტალინი ამნელს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ტროცკისტულ, რესტავრატორულ უარყოფას და ანვითარებს ლენინურ მოძღვრებას ერთი ქვეყნის ძალებით სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ. აშენაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მნილობრივ უცელა ან მთელ წიგ ქვეყნებში მაინც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, ინტერვენციისაგან და რესტავრაციისაგან სრული გარანტიის პირობებში. იცავდა და ასაბუ-

თებედა რა სოციალიზმის აშენების ლენინურ თეორიას, ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა ლენინიზმისადმი მიტრული პოზიციები. ტროცკისტებისა: მათი უარყოფა სოციალისტური გზით გლეხობის განვითარების წარმართვის შესაძლებლობისა, უარყოფა სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ბუნებისა, შეითასება ნებისა როგორც კაპიტალიზმისა და როგორც მხოლოდ უკანადასევისა და ა. შ. ამხანაგ სტალინის „შრომაშ „ლენინიზმის საკითხებისათვის“ უდიდესი როლი ითამაშა ტროცკიზმის მწილებასა და განაღვეურებაში, მან შეაიარავა პარტია მის ბრძოლაში. სოციალიზმის გამარჯვებისათვის მარქსისტულ-ლუნინინური თეორიის ბასრი იარაღით. ამაშია მარქსიზმ-ლენინიზმის ამ ნაწარმოების უდიდესი ეფორსული და პოლიტიკური მნიშვნელობა.

„ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ — ამხანაგ სტალინის წიგნი, შეღვენილი სვერიდლოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციებისაგან. მიძღვნილი ლენინიზმის თეორიული დასაბუთებისადმი. გამოვიდა 1924 წელს. ამ წიგნში ამხანაგი სტალინი ჯვიჩვენებს იმ განსაკუთრებულსა და ახალს, რაც ლენინმა მარქსიზმის საფანძუროში შეიტანა. ლენინიზმი წარმოადგენს მარქსიზმის შემდგომ განვითარებას. იმპერიალიზმისა და პიროლეტარული რევოლუციების პირობებთან შეფარდებით. ლენინიზმი წარმოიშვა რუსეთში, მაგრამ იგი ინტერნაციონალური მოვლენა, რო-

შელისაც თესავები მოთელს საერთაშორისო განვითარებაში აქვს. ლენინიზმის დერას წარმოადგენდა რუსეთი იმიტომი, რომ იყო იყო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი; რუსეთი იყო თესავების რევოლუციით უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანა; და მხოლოდ ამიტომ შესწევდა მას ძალა გადაეჭრა ეს წინააღმდეგობანი რევოლუციური გზით. განსაზღვრავს რა ლენინიზმის საერთაშორისო ხასიათს, ამხანავი სტალინი ამბობს: „ლენინიზმი არის იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის გარესიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით“. თავებში „მეთოდი“ და „თეორია“ ამხანავი სტალინი, ამხელს რა II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის მეთოდისა და თეორიის დოგმებს, იძლევა ლენინიზმის რევოლუციური მეთოდის და თეორიის დედაარსისა და პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკისათვის მათი მნიშვნელობის ღრმა დახასიათებას. ამხანავი სტალინი გვიჩვენებს, რომ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტულისტული დოგმების მნიღებისა და მათთან დაუნიდობელი ბრძოლის გარეშე, დოგმებისა, რომელიც მოასწავებით კაპიტალიზმის რევოლუციური დამხომისთვის. და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის რევოლუციურ

პრძოლაზე უარის თქმას, შეუძლებელი იყო  
მარქსიზმის შემოქმედებითად განვითარება. საჭი-  
რო იყო აღვერდვინა და შემოქმედებითად გავე-  
ვითარებინა შემდგომ რევოლუციური მარქსიზმის  
მფთოდი, მისი მატერიალისტური დიალექტიკა,  
აღმოგვეთხვრა გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას  
შორის, შეგვექმინა ნამდვილად პროლეტარული  
პარტია, ახალი ტიპის პარტია, პარტია, შეიარა-  
ღებული რევოლუციური თეორიით. თეორია  
უსავნოა, თუ იგი დაკავშირებული არაა რევო-  
ლუციური ბრძოლის პრაქტიკასთან; პრაქტიკა  
ბრძანა, თუ იგი არ ინათებს გზას რევოლუციური  
თეორიით. წიგნის „შემდგომ თავებში ამხანაგი  
სტალინი თანმიმდევრობით არჩევს და ასაბუთებს  
ლენინის მოძრავების ძირითადი საკითხების მთელ  
ერთობლიობას. თავში „პროლეტარიატის დიქტა-  
ტურა“ გარკვეულია შემდეგი საკითხები: პროლე-  
ტარული დიქტატურა როგორც სოციალისტური  
რევოლუციის ძირითადი შინაარსი, პროლეტარუ-  
ლი დიქტატურის ისტორიული ამოცანები, საბ-  
ჭოთა ხელისუფლება როგორც პროლეტარიატის  
დიქტატურის სახელმწიფოფერივი ფორმა. საკითხი  
პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ—მარქსიზმ-  
ლენინიზმის ძირითადი საკითხია. დიდ ყურადღე-  
ბას უთმობს ამხანაგი სტალინი გლეხობის საკით-  
ხისა და ეროვნული საკითხის დამუშავებას (თა-  
ვები „გლეხობის საკითხი“ და „ეროვნული საკი-  
თხი“), განმარტავს რა, რომ ისინი შეადგენ

პროლეტარული რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის „შესახებ“ ზოგადი საკითხის ნაწილს და წარმოადგენერ ლენინიზმის საჭიროობო საკითხებს. თავში „სტრატეგია და ტაქტიკა“ ამხანაგი სტალინი იძლევა ლენინიზმის რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის დედამიწის ღრმა და მწყობრი გადამოცემიას. ამხანაგი სტალინის წიგნში თეორიულ დასაბუთებას და განვითარებას პოლიტიკური მოძღვრებას პარტიაზე, (თავში „პარტია“), როგორც მსუბათა კლასის მოწინავე, შეგნებულ, ორგანიზებულ რაზემზე, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმაზე, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის იარაღზე. ამხანაგი სტალინი პარტიის მტრებთან, ოპორტუნისტებთან ბრძოლის უდიდესი გამოცდილების საფუძველზე ანვითარებს შემდგომ ლენინურ მოძღვრებას პარტიის ერთიანობაზე, პარტიის რკინის გებურ დისციპლინასა და განმტკიცებაზე მისი უცხო, მტრული, ოპორტუნისტული ელემენტები-საგან გაწენდის გზით. უკანასკნელ თავში „მსუბის სტილი“ ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, რომ ლენინიზმის თეორიული და პარტიკული სკოლა, რომელიც პარტიული და სახელმწიფო მსუბაკის განსაკუთრებულ ტიპს ჰქმნის, პარტიული და სახელმწიფო მსუბაობის განსაკუთრებული სტილი, შედგომარეობის ორი თვისებურების — რესული რევოლუციური გაქანებისა და ამერიკული საქმიანობის —შეერთებაში. ამხანაგი სტალინის

წიგნში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ უდიდესი როლი ითამაშა პარტიის ბრძოლაში ტროცკისტებისა და ბოლშევიზმის ყველა სხვა მტრების, ხალხის მტრების წინააღმდეგ. „ტროცკიზმის იდეური განადგურებისა და ლენინიზმის დაცვის საქმეში, — ნათესვამია „საკ. ჭ. პ. (პ) ისტორიის მოკლე კურსში“, — სერიოზული მნიშვნელობა ჰქონია ამხ. სტალინის თეორიული შრომის „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“... ეს ბროშურა წარმოადგენს ლენინიზმის ისტატიურად გადმოცემას და სერიოზულ თეორიულ დასაბუთებას. მან შეაიარალა მაშინ და აიარალებს ახლა ბოლშევიკებს მთელ მსოფლიოში მარქსისტულ-ლენინური თეორიის შასრი იარაღით“.

**ლოგიკა** — იხ. ფორმალური ლოგიკა, დიალექტიკა.

„ლუდვიგ ფეიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“ — ენციკლიკის ნაშრომები, რომელიც ცალკე წიგნიდან გამოვიდა 1888 წელს. ამ წიგნში ენგელსი იძლევა ჰეგელისა და ფეიერბახის ფილოსოფიის ლრმა დანასიათებას, გვიჩვენებს დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპულ განსხვავებას შექმნისტური მატერიალიზმისაგან და ჰეგელის იდეალისტიკისაგან. პირველ თავში შეცემულია ჰეგელის ფილოსოფიის საუცხოო დანასიათება, გამომიუღლივნებულია ძირითადი წინააღმდეგობა მის დიალექტიკურ მეთოდსა და იდეალისტურ სისტემას შრომის.

რე თავში მოცემულია ფორმულირება ფილოსო-  
ფიის ძირითადი საკითხისა, რომელმაც ფილოსო-  
ფოსები გათიშა არ ბანაკად: იდეალისტებისა და  
მატერიალისტების ბანაკად. მიგვითითებს რა ფეი-  
ერბახის, როგორც მატერიალისტის, დამსახურება-  
ზე, ენგელსი მეორე და მესამე თავში ამჟღავნებს  
ფეიერბახის მეტაფიზიკური, ჭვრეტითი, არააქტი-  
ური მატერიალიზმის შეზღუდულობას და რელი-  
გიურ-ეთიკურ დანაშრევს საზოგადოების იმ გაგე-  
ბაში, რომელისაც ფეიერბახი იძლევა. მეოთხე  
თავში ფორმულირებული და საუცხოოდ განმარ-  
ტებულია ისტორიული მატერიალი ალიზე  
მის ძირითადი დებულებანი. ენგელსის წიგნი  
წარმოადგენს მარქსიზმის უდიდეს ფილოსოფიურ-  
ნაწარმომოების და აუცილებელ სახელმძღვანელოს  
დიალექტიკური მატერიალიზმის შესწავლის დროს.



# გ

**მარქსიზმის თეორიული წყაროები.** — მარქსიზმის წყაროებია: გერმანული კლასიკური ფილოსოფია (ჰეგელი და ფეიერბახი), ინგლისური პოლიტიკური ეკონომიკა (ა. სმიტი, რიკარდო) და უტოპიურის სოციალიზმი (სენ-სიმინი, ფურიე, აუენი). გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უძინდესი შენაძენი იყო ჰეგელი ი. დიალექტი ი. კ. მაგრამ ჰეგელის დიალექტიკა იყო იდეალისტური. იმისათვის, რომ იგი გადაჭცეულიყო ნამდვილ მეცნიერულ მეთოდად, საჭირო იყო მისი მატერიალისტურად გადამუშავება. „ჩემი დიალექტიკური მეთოდი, — ამბობს მარქსი, — თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ წარმოადგენს მისი პირდაპირ ტინაალმდევობას. ჰეგელისათვის აზროვნების პიროცესი, რომელსაც იგი იღებს სახელწოდებით და მოუკიდებელი სუბიექტურიაც კი ხდის, არის დემიურგი (შემომქმედი) სიინამდვილისა, რომელიც მის მხოლოდ გარეგან გამოვლინებას შეადგენს. ჩემთვის, პირი ქიმით, იდეალური სხვა არაფიქრია, თუ არ მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაჭმნილი“ (მარქსისა და

ენგელსის მატერიალისტურ დიალექტიკაში განვი-  
გადებულ იქნა ყოველივე ის დაფებითი, პროგრე-  
სული, რაც მეცნიერებაშ მარქისამიდე შეჰმნა.  
ფეიერბახის მნიშვნელოვანი დამსახურება იყო  
ჰეგელის იდეალიზმის მატერიალისტური კრიტიკა,  
მაგრამ ფეიერბახი, რომელიც მატერიალისტი იყო  
ბუნების მოვლენათა ახსნაში, იდეალისტური დარჩა  
საზოგადოების გაგებაში. მარქისმა და ენგელსმა  
თანმიმდევრულად გაავრცელეს ფილოსოფიური მა-  
ტერიალიზმის საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაზეც.  
„...იდეალიზმი გაძევებულ იქნა თავისი უკანასკნე-  
ლი თავშესაფარიდან, ისტორიის დარგიდან, ახლა  
ისტორიის გაგება მატერიალისტური განდა“ (ე. ნ-  
გ ე. ლ. ს. ი). თ ნ გ ლ ი ს უ რ მ ა პ თ ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ა  
ე კ თ ნ თ მ ი ი ა მ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ჩ ა უ ყ ა რ ი ს ტ უ რ ი ს  
შრომითი თეორიას. მაგრამ სმიტი და რიკარდო უძ-  
ლურნი აღმოჩნდნენ გაეგოთ სასაქონ ლო-კაპიტა-  
ლისტური მეცნიერობის ისტორიული თავისებურება,  
დაჭირავებული შრომის ექსპლოატაცია. როგორც  
წყარო ზედმეტი ლირებულებისა. კაპიტალისტურ  
წყობილებას სმიტი და რიკარდო უკავერდნენ რო-  
გორც მარადიულ და ბუნებრივ საზოგადოებრივ  
წესწყობილებას. კაპიტალიზმის, როგორც ისტორი-  
ულად განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიკუ-  
რი წყობილების, განვითარების კანონები მხოლოდ  
მიარქისმა აღმოჩნდნა. მარქისმა გამოსამუღავნა, რომ  
ჯაპიტალისტური ექსპლოატაციის საფუძველს წარ-  
მოადგენს ზედმეტი ლირებულება. „მოძღვრება

ზედმეტი ღირებულების შესახები მარქსის ეკონომიკური თეორიის ქვაკუთხედია” (ლენინი). შემნარა ზედმეტი ღირებულების თეორია, მარქსის დავანახვა, რომ კაპიტალიზმი ემყარება და ქირავებული შრომის ექსპლოატაციას და თავისი განვითარების მსვლელობაში გარდუვალად მივა დაღუპვამიდე. მარქსიზმის მესამე წყარო—ესაა უტოპიური სოციალიზმი მწვავედულად აკრიტიკებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობას, უპირისპირებდა რა მას სოციალიზმის, როგორც ყველაზე სრულყოფილი საზოგადოებრივი წყობილების, იდეას. მაგრამ უტოპისტებს თავისი ისტორიული შეზღუდულობის გამო არ შეეძლოთ განემარტათ არსი დაჭირავებული მონობისა კაპიტალიზმის დროს, კანონები კაპიტალიზმის განვითარებისა და მნიშვნელობა პროლეტარიატისა როგორც სოციალიზმის შემქმნელისა. მარქსისა და ენგელსმა აცნებია სოციალიზმის შესახებ გადასჭივის მეცნიერებად, მეცნიერებად პრიორულ სოციალიზმად, გვიჩვენებს რა, რომ ისტორიის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლას. მარქსისა და მარქსიზმისა და კაპიტალიზმის გადასჭივის ერთადერთი გზა — ესაა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის გზა, პროლეტარიატის დიჭიტატურის გზა.

ମାର୍କ୍ସିଂମିଳିର ଶ୍ରେଣୀପରିବହିଲିର ତଥାନିବା—ଠିକ୍ ଅଛି—  
ଯିଲି ତଥାନିବା.

ბუნების საგნებსა და მოვლენებს ახასიათებს შინა-  
განი წინააღმდეგობანი, რომ ყველაფერს აქვთ  
თავისი უარყოფითი და დაზებითი მხარე, აქვს ის,  
რაც კვდება, და ის, რაც ვითარდება, და რომ  
ბრძოლა დრომოჭმულსა და განვითარებადს შორის  
შეადგენს განვითარების პროცესის, რაოდენობრივი  
ცვლილებების თვისობრივ ცვლილებებად გარდაქ-  
მნის პროცესის შინაგან შინაარსს, წინა ააღმ-  
დეთ აშას მივყვაროთ წინ — გვეუბნება  
დიალექტიკის ერთერთი ძირითადი დებულება. დი-  
ალექტიკის ეს დებულებანი ბუნების განვითარების  
შესახებ შეეხება აგრეთვე საზოგადოების განვი-  
თარებასაც. ყოველი მოცემული საზოგადოებრივ-  
ეკონომიკური ფორმაცია (მონათმფლობელური  
წყობილება, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, სოცია-  
ლიზმი) წარმოადგენს ერთიან მთელს, სადაც  
ცალკეული მხარეები და მოვლენები (მატერია-  
ლური დოვლათის წარმოების წესი, პოლიტიკური  
წყობილება, ცხოვრების სულიერი პროცესები)  
დაკავშირებული არიან ერთად, იმყოფებიან ურთი-  
ერთქმედობაში. საზოგადოებრივი იდეები, პოლი-  
ტიკური დაწესებულებანი, აქვთ რა თავისი  
ფესვები საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ  
პირობებში, საზოგადოებრივ ყოფიერებაზე ახდე-  
ნენ უკუგავლენას, ამასთან ამ ურთიერთქმედობის  
საფუძველს წარმოადგენს მატერიალური დოვლა-  
თის წარმოების წესი. ის ფაქტი, რომ საზოგადო  
ების ისტორიაში ერთი საზოგადოებრივ-ეკონომი-

ური ფორმაცია იცვლებოდა მეორეთი, ლაპარაკობის იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სწარმოებს მოძრაობა, ცვლილება, ძველის დალუპვა და ახალის წარმოშობა. ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შეცვლა მეორეთი არის ნახტომისებური, რევოლუციური გადასვლა ერთი თვისობრივი მდგომარეობიდან შეორეთვისობრივ მდგომარეობაში რაოდენობრივ ცვლილებათა დაგროვების შედეგად. ასე მაგალითად, პროლეტარიატის ძალთა თანარათანობითა დაგროვება (ზრდა მისი რიცხვის, ორგანიზებულობის, მისი კლასობრივი თვითცნობიერებისა, ზრდა მისი კავშირისა ყველა მშრომელთან და ექსპლოატირებულთან) იწვევს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად პროლეტარიატის გადაჭივას. ჩაგრული და ექსპლოატირებული კლასიდან, როგორსაც ის წარმოადგენს „კაპიტალიზმის დროს, ფაბატონებულ კლასად, რომელიც საზოგადოების განვითარებას წარმართავს კომუნიზმისაკენ. ყოველი ახალი ისტორიული ფორმაცია კი წარმოადგენს უფრო პროგრესულ, უფრო მაღალ საფეხურს მისი წინამავალი საზოგადოებრივი ფორმაციის მიმართ: კაპიტალიზმი—უფრო მაღალი წყობილებაა, ვიდრე ფეოდალიზმი; სოციალიზმი კაპიტალიზმთან შეცვალებით განუზობლად უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ერთი საზოგადოებრივ ეკონომიური ფორმაციიდან შეირისაკენ განვითარების ამ პროცესის შინაგან 10. ფილოსოფიური ლექსიკონი.

შინაარსის წარმოადგენს ყველა კლასობრივ ფორმაციაში წარმოებული ბრძოლა კლასების შორის, რომელიც გამოხატავს შინაგან წინაღმიღევობას თვით წარმოების პროცესში—საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობების შორის. ამირი გადა, საზოგადოების ისტორია და ბუნების ისტორია მოწმობს, რომ სამყაროში ყველაფერი დიალექტიკურად ხდება. მარქსისტული დიალექტიკა გვასწავლის სწორ მიღებას ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებისადმი, იგი წარმოადგენს სამყაროს შესწავლისა და შემეცნების მეცნიერულ მეთოდს და სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის. მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის უმნიშვნელოვანების წარმოადგენს მიღებას წარმოადგენს მოპოეტულ ჰეშმარიტებათა შემოწმება პრაქტიკაში, ადამიანთა პრაქტიკულ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ყველა ცვლილებათა გათვალისწინება. მარქსისტული დიალექტიკის დებულებებიდან გამომდინარეობს მთელი რიგი უმნიშვნელოვანები სახელმძღვანელო საწყისები პოლიტიკასა და ტაქტიკაში, რომელიც ყოველთვის მისდევდა და მისდევს ლენინსტულინის პარტია. მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკა გვასწავლის, რომ სწორი პოლიტიკის წარმოებისათვის უნდა ორიენტირება მოვაწოდინთ საზოგადოების იმ ფენებზე, რომელიც ვითარდებიან და რომელთაც აქვთ მომავალი, უნდა ვიყუჩებოდეთ წინ და არა უკან, უნდა ჭიულა რევოლუციონერი და არა რეფორმისტი, უნდა ვატა-

რეტიდეთ შეურიგებელ კლასობრივ პროლეტარულ პოლიტიკას. ლენინი და სტალინი დიალექტიკასა და დიალექტიკურ მეთოდს უწოდებენ მარქსიზმის სულს. ლენინისა და სტალინის მთელი თეორიული მოღვაწეობა წარმოადგენს მარქსისა და უნგვილისის დიალექტიკური მეთოდის შემდგომ და-იუშავებასა და კონკრეტიზაციას.

**მარქსიზმ-ლენინიზმი** — პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორია, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თეორია. „თილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერების ისტორია სიცხადით გვიჩვენებს, რომ მარქსიზმი არ არის არაფერო „სეჭუანტიაზმის“ მსგავსი ამ სიტყვის იშვიათ, თითქოს იგი წარმოადგენს რაღაც კარჩაკეტილს, ერთ წერტილზე გაყინულ მოძლვრებას, რომელიც მსოფლიო (კივილიზაციის განვითარების შარია-გზისაგან) და შორებით წარმოიშვა. პირიქით, მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან პასუხი გასცა ყველა იმ კითხვაზე, რომ-ლებიც კაცობრიობის მოწინავე აზროვნებამ უკვე რააყენა. მისი მოძლვრება წარმოიშვა როგორც პირ-დაპირი და უშუალო გაგრძელება და ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიკისა და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძლვრებისა“ (ლენინი). მარქსიზმის ფილოსოფია—დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი შეადგენს კომუ-

ნიზემის თეორიულ ფუნდამენტს, მარქსისტული პარტიის თეორიულ საფუძველს. იცავდნენ რა გადაჭრით ფილოსოფიურ მატერიალიზმს მისი ღამისხინჯების ყველა ცდისაგან, იმრიძოდნენ რა ფილოსოფიური იდეალიზმის სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგ, მარქსი და ენგელსი არ შეჩერდნენ XVIII საუკუნის მატერიალიზმზე, არამედ წასწიეს წინ ფილოსოფია, გაამდიდრეს რა იგი გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, განსაკუთრებით ჰეგელის სისტემის მონაპოვარით, სისტემისა, რომელმაც თავის მხრით ფეიერბახის მატერიალიზმამდე მიგვიყვანა. უმნიშვნელოვანესი ამ მონაპოვართაგან—ეს არის და ია ლე ე ქ' ტი კა. მარქსიზმის სულის წარმოადგენს მატერიალისტური დიალექტიკა, „მოძლვრება განვითარების შესახებ მისი ყველაზე სრული, ლრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით, მოძლვრება ადამიანის ცოდნის შეფარდებითი ხასიათის შესახებ, რომელიც მუდმივ განვითარებაში მყოფი მატერიის ასახვას იძლევა“ (ლენინი), „გაცალრმავა და განაცვითაპარა რა ფილოსოფიური მატერიალიზმი, მარქსიზმა იგი ბოლომდე მიიყვანა, ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტური შემეცნება ადა ამითან თასა ზოგადობის შემეცნებაზე გაავრცელა. მარქსის ისტორია აზრი მეცნიერების მიერნიერული აზრის უდიდეს მონაპოვარად მოგვეცვლინა. ქაოსი და თვირთნებობა, რომელიც აქამდე შეფობდა შეხედულებებში, ისტო-

რიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა გასაოცრად  
მწყობრი და მთლიანი მეცნიერული თეორიით,  
რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება  
საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობილან, სა-  
წარმოო ძალთა ზრდის გამო, მეორე, უფრო მაღა-  
ლი წყობა,—მაგალითად, ბატონყმიაბილან როგორ  
აღმოცენდება კაპიტალიზმი” (ლ ე ნ ი ნ ი). წი-  
ნააღმდეგ იდეალისტური თეორიებისა, რომელიც  
საზოგადოების განვითარების საფუძვლად აღიარე-  
ბენ იდეებს, გონებას, მარქსის დაამტკიცა, რომ  
ეკონომიკური წყობილება, წარმოების მატერია-  
ლური პირობები, და არა იდეები, წარმოადგენენ  
საფუძველს, რომელზედაც აღიმართება პოლიტი-  
კური და სხვა ზედნაშენი, რომ ანტაგონისტურ  
კლასებად დაყოფილ საზოგადოებებში განვითარე-  
ბის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კლასობ-  
რიები ბრძოლა. მარქსის მთავარი შრომა—„კაპიტა-  
ლი“ მიძღვნილია კაპიტალისტური საზოგადოების  
ეკონომიკური წყობილების შესწავლისაღმი. ნივ-  
თების ურთერრთობათა უკან (საჭირელთა გაცვლა-  
გამოცვლა) მარქსისა გამოამუდავნა, და გვიჩვენა  
ნამდვილი ურთიერთობანი აღამიანებს შორის.  
ზედმეტი ღირებულების თავის თეორიაში მარქსის  
გამოამუდავნა კაპიტალისტთა კლასის სიმდიდრის  
წყარო. „მოძღვრება ზედმეტ ღირებულებაზე  
მარქსის ეკონომიკური თეორიის ქვაკუთხედია“  
(ლ ე ნ ი ნ ი). გამოიყვლია რა წარმოების კაპიტა-  
ლისტური წესის განვითარების კანონები, მარქსის

დაასაბუთა გარედოულობა მისი დაღუპვისა და  
კომუნიზმის გამარჯვებისა. კაპიტალიზმი, რომელ-  
მაც ფეოდალური წყობილება „შესცვალა, უფრო  
პროგრესიული წყობილება იყო. მაგრამ მშრომე-  
ლთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ერთი ფორმა  
შეიცვალა მეორეთი. როგორც ანარეკლი კაპიტა-  
ლისტური ჩაგვრისა და როგორც პროტესტი მის  
წინააღმდეგ წარმოიშვა სხვადასხვა სოციალისტური  
მოძღვრებია. მაგრამ თავდაპირველი სოციალიზმი  
იყო უტოპიკური სოციალიზმი: იგი მკვეთრად  
აკრიტიკებდა, ჰგმობდა კაპიტალისტურ წესწყობი-  
ლებას, ოცნებობდა უკეთეს წყობილებაზე, სადაც  
არ იქნება ექსპლოატაცია, მაგრამ ზამთრილი გა-  
მოსავლის ჩვენება მას არ შეეძლო. მარქსია და  
უნგელსმა პირველად გადაქციეს სოციალიზმი  
აცნებიდან მეცნიერებად. მათ გამოარკვიეს მსო-  
ფლიო-ისტორიული როლი მსუბათა კლასისა, რო-  
გორც კაპიტალიზმის მესაფლავისა, როგორც  
სოციალისტური საზოგადოების „შემჭირელისა. მთა-  
ვარი მარქსიზმი—ეს არის მოძღვრება პრო-  
ტარიატის დიტატურა არ კი ტატურა არ ე. მარქსი სწერა  
და, რომ „კაპიტალისტურისა და კომუნისტურ  
საზოგადოებას შუა ძევს პირველის მეორედ რევო-  
ლუციური გადაქცევის პერიოდი“, რომ „ამ პერი-  
ოდის სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს,  
თუ არ პროლეტარიატის რევოლუციი დიტურა არ  
და დიტატურა“. მარქსიზმის შეაღიარადა  
მსუბათა კლასი მის ბოძოლაში ბურжуაზიის წინა-

აღმიცევა, რევოლუციური თეორიითა, შინისცა მსუბუკობა  
მოძრაობაშიას, რომელიც აქტამიცე სტრუქტურად ვითარ-  
დებოდა, სოციალისტური მიმმართულება. მასებზე  
მარქსისტულ იდეათა გავლენის პირველი გამოვ-  
ლინებისთანავე მარქსიზმის წინააღმიცევა „საღმიროო  
დევნაში შეერთდინენ ძველი ევროპის ყველა ძალე-  
ბი“. ბურჟუაზია ებრძოდა და ებრძვის მარქსიზმის  
არა მარტინ ტალმირეობით. „ისტორიის დიალექ-  
ტიკა ისეთია, რომ მარქსის თეორიული გამარჯვე-  
ბა აიძულებს მის მიტრებს მარქსისტული ტანა-  
ცემელი გადაცეც ან. „შინაგანად დამპალი ლი-  
ბერალიზმი ცდილობს თავის გამოცოცხლებას სო-  
ციალისტური ოპორტუნიზმის სახით“  
(ლენინი). „ოპორტუნიზმი ყოველთვის როდი-  
მოასწავებს მარქსისტული თეორიის ან მისი ცალ-  
კეული დემოკრატებისა და დასკვნების პირდაპირ  
უარიყოფას. ოპორტუნიზმი თავს იჩინს ზოგჯერ  
იმის ცდებში, რომ ჩაეტანაუჭონ მარქსიზმის ცალ-  
კეულ დემოკრატების, რომილებიც უკვე მოძველებუ-  
ლი გახდა, და გადააქციონ ისინი დოგმებად, რათა  
ამით შეაფერებონ მარქსიზმის შემდგომი განვითა-  
რება, — მაშასადამე, — შეაფერებონ აგრეთვე პირო-  
ლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განვითა-  
რება (ს. ა. კ. კ. პ. (ბ) ის ტორიის მოკლე  
კურსი). მარქსიზმი — შემოქმედებითი შეც-  
ნიერება. მარქსიზმის ფუძემიდებელნი ყოველთვის  
განიხილავდნენ თავის თეორიას როგორც რევო-  
ლუციურ თეორიას, როგორც სახელმძღვანელოს

მოჭმედებისათვის. ენგელსის სიკუდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის სიკუდილის შემდეგ — სატალინი და ლენინის სხვა მოწაფეები იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომელებმაც არა მარტო დაუნიდობლად ამხილეს ყველა ჯურის ოპორტუნისტები და დაიცვეს მარქსიზმი დამახინჯებისაგან, არამედ გიგანტურადაც წასწიეს წინ მარქსისტული თეორია, გაამდიდრეს ივი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში. მათ პრაქტიკულად, საქმით გვიჩვენეს შემოქმედებითი მარქსიზმის ყოვლის შემძლობელი. მარქსის არის მუშათა კლასის ერთიანი, განუყოფელი, მთლიანი მეცნიერული მსოფლიმს ედველობა. მარქსი და ერთეულის მსუმაობრივენ და იბრძოვნენ სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდში, რომელიც ჯერ კიდევ აღმავალი საზით ვითარდებოდა, რევოლუციისათვის პროლეტარიატის შომზადების პერიოდში. ლენინი და სტალინი, მარქსის და ენგელსის გენიალური მოწაფეები, გამოიიდნენ იმპერიალიზმის პერიოდში, ლპობადი კაპიტალიზმის პერიოდში, პროლეტარულ რევოლუციათა პერიოდში, იმ პერიოდში, როცა პროლეტარულმა რევოლუციამ უჩვე გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში და დაიწყო პროლეტარული დემოკრატიის ერა, საბჭოების ერა, სოციალიზმის მშენებლობის ერა. „აირატომ წარმოადგენს ლენინიზმი მარქსიზმის შემდგომ განვითარებას“ (სტალინი). ლენინიზმი არის იმპე-

რიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი. „...არავითარი „ახალი პრინციპი“ ლენინის მარქსიზმისათვის არ „მიუმატებია“, ისე როგორც ლენინის არ გაუუქმებია მარქსიზმის არცერთი „ძველი“ პრინციპი“ (სტალინი). ემსუარებოდა რა სავსებრთი და მთალიანად მარქსიზმის პრინციპებს, ლენინმა ვანავითარა მარქსიზმი ახალ პირობებთან, კაპიტალიზმის ახალ ფაზასთან შეფარდებით. ამხანაგმა სტალინმა ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან საუბარში გვიჩვენა ის ახალი, რაც ლენინმა მარქსიზმის საგანძურულში შეიტანა. მან, ჯერერთი, დამსუშვა საკითხი იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის ახალი ფაზის, შესახებ. „ლენინის დამსახურება და, მაშასადამე, უაღმი მის მოძღვრებაში აქ ის არის, რომ მან, „კაპიტალის“ ძირითადი დემოკრებათა სათუდაცველზე, მოუგვაცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზის, დასაბუთებულია მარქსისტული ანალიზი, გამოაიწვია კაპიტალიზმის იარები და მისი აუცილებელი დაღუპვის პირობები. ამ ანალიზის ბაზაზე წარმოიშვა ლენინის ცნობილი დემოკრება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში“ (სტალინი). შემდეგ, ლენინმა განავითარა მარქსის იდეა პროლეტარიატის დიჭიტატურის. შესახებ, აღმოაჩინა რა საბჭოთა ხელისუფ-

ლება როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ფორმა; ლენინმა განსაზღვრა პროლეტარიატის დიქტატურა როგორც დანსაკუთრებული ფორმა კლასობრივი კავშირისა არაპროლეტარული კლასების (კლებობის და სხვ.) ექსპლოატირებულ მასებთან; მან გვიჩვენა, რომ კლასობრივი საზოგადოების პირობებში პროლეტარული დიქტატურა არის დემოკრატიის უძალლესი ტიპი. მთავარი ლენინიზმი—ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა, რაც ხდის სწორედ ლენინიზმის მოძღვრებას „ყველა ქვეყნის პროლეტარების ინტერნაციონალურ მოძღვრებად, რომელიც გამოსადევი დავალდებულო გამოუკლებლივ ყველა ქვეყნისათვის, მათ რიცხვში კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისაც“ (სტალინი). ლენინმა ახალ პირობებში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში, კაპიტალისტური სახელმწიფო ფორმაცულ ქვეყანაში, ანტებურად დააყენა საკითხი სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის ფორმებისა და წესების ხედ. ლენინმა დაასაბუთა სოციალისტური დოკების აშენების შესაძლებლობა კაპიტალისტური სახელმწიფო ფორმაცულ გარემონტულ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, იმ პირობით, თუ ეს ქვეყანა არ იქნება ჩახრისიბილი სამხედრო ინტერვენციით. ლენინმა გვიჩვენა სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული ფორმები და გზები, დამტ-

კიცა რა, რომ ჩვენ მოგვეპოება ყოველივე აუცილებელი სოციალიზმის გამარჯვებისათვის. შემდეგ, ლენინმა განავითარა მარქსის იდეა პროლეტარიატის ჰეგემონიის „შესახებ; მან გაშალა ეს იდეა, „პროლეტარიატის ჰეგემონიის მწყობრ სისტემად, ქალაქისა და სოფილის მშრომელი მასების მიმართ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის მწყობრ სისტემად არა მარტო ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხმაბის საქმეში, არამედ პროლეტარიატის დიჭიტატურის დროს სოციალისტური მშენებლობის საქმეშიც“ (სტალინი). ემსუარებოდა რა მარქსის იდეებს ნაციონალურ-კოლონიური საკითხის შესახებ, ლენინმა განავითარა ისინი ახალ ეპოქასთან შეთარდებით, შეკრიბა ერთად და მოგვცა „შესედულებათა მწყობრი სისტემა ნაციონალურ-კოლონიური რევოლუციების შესახები იმპერიალიზმის ეპოქაში. ლენინმა გვიჩვენია, რომ ნაციონალურ-კოლონიური საკითხის გადაჭრა განუყოფლად დაკავშირებისა დამსხმაბისათან, „ნაციონალურ-კოლონიური საკითხი გამოაცხადა საერთო შეირისო პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის შეგნებული ნაწილად“ (სტალინი). ლენინმა მისცა რუსეთისა და მთელს საერთაშორისო მუშათა კულასს მწყობრი მოძრავება პარტიის შესახებ, ამ პარტიის პროგრამსული, პოლიტიკური, ტაქტიკური და ორგანიზაციული საფუძვლების შესახებ — ახალი ტიპის პარტიის შესახებ, რომელიც მირფესვიანად განსხვავდება ოპორტუნიზმით.

მთლიანად დაავადებულ II ინტერნაციონალის პარტიათაგან. მარქს-ენგელს-ლენინის თეორიამ თავისი შემძღვიში განვითარება პპოვა სტალინის შეჩერებში. სტალინიმა არა მარტო დაუნდობლად ამხილა მტრები, არა მარტო დაიცვა ჩვენი პარტიის ერთიანობა, მონოლიტობა. და სიწმინდე, არამედ კიდევ განავითარა და წასწია წინ ლენინის მოძღვანება პარტიაზე. ლენინის მოძღვრების საფუძველზე ამხანავმა სტალინმა განავითარა შემძღვომ თეორია თავდაპირელად რამდენიმე ქვეყანაში ან ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაშიც კი სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და იმპერიალიზმის პირობებში ყველა ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, განავითარა შემძღვომ ლენინის დიადი იდეები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფულის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. ამხანავმა სტალინმა დაამუშავა საკითხი სოფულის სოციალისტური გარდაჭმის გზებისა და მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ. ამხანავმა სტალინმა დაამუშავა და განავითარა შემძღვომ მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება სახელმწიფო ზე სოციალიზმის დროს, კაპიტალისტური გარემოების პირობებში. მან შეაიარებულა პარტია და საბჭოთა კავშირის სალხი ახალ პირობებში კლასობრივ ბრძოლის კანონების ცოდნით, გვიჩვენა პროლეტარული სახელმწიფო ზე კომუნიზმის მონა-

პოვართა დაცვის საქმეში. ამზანაგმა სტალინმა განაცხითარა შემდგომ მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება სოციალიზმისა და კომუნიზმზე. მან გვიჩვენა, რომ სტასანოვური მოძრაობა ამზადებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე; გადასვლის პირობებს ამზანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მეცნიერული კომუნიზმის ძირითადი დებულებანი უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში პრაქტიკულად და ფიქსირებული სსრ კავშირის — მსოფლიოში. პროცესი სოციალისტური სახელმწიფოს — კონსტიტუციაში. სტალინურ კონსტიტუციაში განხოვა-დებულია სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გიგანტური გამოცდილება. მარქსის, ენგელსის და ლენინის მიერ ძირითად ხაზებში დასახული უმნელესი პრობლემები სოციალიზმიდან კომუნიზმზე; გადასვლის შესახებ, პრობლემები ქალაქება და სოფელს შორის, ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის არსებული დაპირისპირების ლიკვიდაციის შესახებ დამსახურებულია სტალინის მიერ და მისი ხელმძღვანელობით პრაქტიკულად სწყლილ სწყლება. ამზანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ისტორიულ ამოცანათა ჯაჭვში ცენტრალურ რეოლს სოციალიზმის პერიოდში წარმოადგენს საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების ამოცანა. ხოლო დაეუფლო მარქსიზმ-ლენინიზმს ნიშნავს. ისწავლო განსხვავება მისი ასოციაციისი არსისაგან, შეითვისო მისი არსება, ისწავლო

ମାର୍କ୍ସିଜମିଳ ବ୍ୟାରଣ୍ୟଧି — ନେ. ମାର୍କ୍ସିଜମିଲ  
ତୁଳନାକୁଣ୍ଡଳ ବ୍ୟାରଣ୍ୟଧି.

**ମାର୍କ୍ସିସତ୍ୱଲ୍ଲିଙ୍ଗ ଯୋଗନେଶ୍ୱରୀ ମାତ୍ରେନିରାଲ୍ଲିଙ୍ଗ ଫିର**

— შატერიალიზმის უმაღლესი ფორმა. ძველი  
მატერიალიზმი იყო მექანიკური მატერიალიზმი;  
მოძრაობის უმარტივესი, მექანიკური ფორმის კა-  
ნონებს იგი ავრცელებდა ბუნებისა და საზოგადო-  
ების ყველა მოვლენაზე. მარქსისტული მატერია-  
ლიზმი ემყარება ყველა იმ მეცნიერების მიღწე-  
ვებს, რომელიც მატერიალური მოძრაობის ყველა  
ფორმას სწავლობენ. ძველი მატერიალიზმი იყო  
მეტაფიზიკური გატერიალიზმი, ე. ი. იგი იხილა-  
ვდა სამყაროს უძრაობისა და უცვლელობის  
მდგომარეობაში. მარქსისტული მატერიალიზმი  
წარმოადგენს დიალექტიკურ მატერიალიზმს, ცინა-  
იდან იგი ბუნებას და საზოგადოებას იხილავს  
მათ განუწყვეტელ განვითარებასა და განახლება-

ში. ძველ მატერიალიზმს არ შეეძლო მატერიალისტურად აესხნა საზოგადოებრივი მოვლენები. მარქსისტულმა მატერიალიზმმა პირველად გამოიყენა დიალექტიკური მატერიალიზმის დეტალებანი საზოგადოების ახსნისათვის. და დაასაბუთა ისტორიის მატერიალისტური გაცემა. ძველი მატერიალიზმი იყო ჭვრეტითი მატერიალიზმი, ვინაიდან მას არ ესმოდა ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობის გარდამშემნელი როლი. ძველ მატერიალისტებს „ადამიანის არსება“ ესმოდათ აბსტრაქტულად და არა როგორც „ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ (კონკრეტულ-ისტორიულად განსაზღვრულ ურთიერთობათა) „ერთობლიობა“, და ამიტომ მნიშვნელოვ „განმარტავდნენ“ სამყაროს. მაშინ როცა საქმე ეხება მის „შეცვლას“, ე. ი. არ ესმოდათ „რევოლუციურ-პრაქტიკული მოღვაწეობის“ მნიშვნელობა (ლ ე ნ ი ნ ი). მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი წარმოადგენს სამყაროს შემეცნებისა და გარდაქმნის მძლავრიანობის. მარქსისტული მატერიალიზმი ბოლომდე მრრულია იდეალიზმისადმი, რელიგიისადმი, ხუცობისადმი. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი ნიშნებია: 1) სამყაროს მატერიალურობის აღიარება, აღიარება იმისა, რომ სამყარო ვითარდება მატერიის მოძრაობის კანონების მიხედვით; 2) აღიარება მატერიის პირველადობის და ობიექტური რეალობისა და ცნობიერების მეორადობისა; 3) მატერიალური სამყაროს

შეცნობადობისა და მის კანონზომიერებათა აღიარება, აღიარება შეცნიერული ცოდნის ამიერტური ჭეშმარიტობისა. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სამყარო თავისი ბუნების მიხედვით მატერიალურია, რომ შოვლენები სამყაროში წარმოადგენენ მოძრავი მატერიის სხვადასხვა სახეებს. მარქსისტული მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ბუნების ყველა მრავალფეროვანი სხეულები — ატომის უწვრილესი ნაწილაკებიდან გიგანტურ პლანეტებამდე, უწვრილესი ბაქტერიებიდან უმაღლეს ცხოველებამდე, ადამიანამდე — წარმოადგენენ მატერიას სხვადასხვა ფორმაში და მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც აღიარებს სამყაროს შექმნას ღმერთის მიერ (ან „აბსოლუტური იდეის“ მიერ „მსოფლიო სულის“ მიერ, ცნობიერების მიერ), მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ მატერია არსებობს მარად, არავისაგან არ არის შექმნილი, რომ სამყარო ვითარდება მატერიის კანონების მიხედვით და არ საჭიროებს არავითარ „მსოფლიო სულს“. წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც ამტკიცებს, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ ჩვენი ცნობიერება, რომ მატერიალური სამყარო, ყოფიერება, ბუნება არსებობს მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს შეგრძნებებში, ცნებებში. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან რომ მატერია, ბუნება, ყოფიერება,

ჩა წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, რომელიც არსებობს ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად, რომ მატერია არის პირველადი, ხოლო ცნობიერება — მეორადი, წარმოებული, ვინაიდან იგი წარმოადგენს მატერიის ანარეკლს, რომ აზროვნება არის პროდუქტი მატერიისა, რომელიც თავის განვითარებაში სრულყოფის უმაღლეს საფეხურს მიაღწია, იგი არის ტვინის პროდუქტი. მარქსისტული მატერიალიზმი ბუნების მეტყველებასთან სრულიად შეფარდებით პირველადად მოცემულად ღებულობს მატერიას, სთვლის რა შეგრძნებას, ცნობიერებას მეორადად. მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი თანმიმდევრობით სწყვეტს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარესაც: შესწევს თუ არა უნარი ჩვენს აზროვნებას შეიცნოს ნამდვილი სამყარო? წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც ჭარპყოფს სამყაროსა და მის კანონზომიერებათა შემეცნების შესაძლებლობას, არ სწამს ჩვენი ცოდნის უტყურობა, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი სრულიად შეცნობადია. მარქსისტული მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ აღამიანის პრაქტიკა არის ჩვენი ცოდნის ჭეშმარიტობის გაღამწყვეტი დამამტკიცებელი საბუთი, რომ სამყაროში არ არსებობენ შეუცნობადი ნივთები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობისტული ფილოსოფიური ლექსიკონი.

ბილნი, რომლებიც გახსნილი და შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულებათა გამოყენებას საზოგადოების ისტორიისადმი და პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობისადმი. „მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველ-მყოფელობა იმაში მდგომარეობს, რომ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იგი ემყარება სწორედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს, არასოდეს არ სწყდება რა საზოგადოების რეალურ ცხოვრებას“ (ს. ა. ჭ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი). პროლეტარიატის მარქსისტული პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობა ემყარება არა „გონების“, „საყოველთაო მორალის“ და სხვათა მოთხოვნილებებს, არამედ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა შესწავლას. „მარქსის ფილოსოფია არის დამთავრებული ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელმაც კაცობრიობას, განსაკუთრებით კი მუშათა კლასს, შემეცნების უდიდესი იარაღი მისცა“ (ლენინი).

**მატერიალისტიკა.** — სამყარო თავისი ბუნების მიხედვით მატერიალურია. მოვლენათა მრავალსახეობა, რომელსაც ჩვენ ცხედავთ ბუნებაში, წარმოადგენს მოძრავი მატერიის სხვადასხვა ფორმას. დიალექტიკური მატერიალიზმი ანსხვავებს მატერიის ფილოსოფიურსა და ფიზიკურ ცნებას. ფი-

ზიკური ცნება განისაზღვრება მატერიის აგებულებისა და მისი თვისებების შესახებ ჩვენი მეცნიერული ცოდნით; იგი არ შეიძლება არ იცვლებოდეს მატერიის აგებულების შესახებ მეცნიერულ შემეცნებათა განვითარებასთან ერთად. ასე, მაგალითად, მეცნიერების ახალ წარმატებებთან ერთად XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩვენმა ცოდნამ მატერიის სტრუქტურის შესახებ განიცადა ცვლილებები. გამდიდრდა ახალი აღმოჩენებით (რადიოაკტივობა, ელექტრონების თეორია და ა. შ.). მატერიის ფილოსოფიური ცნება, მჭიდროდ დაყვავშირებული ფიზიკურთან, იძლევა ისეთ განსაზღვრას, რომელიც გამოიხატავს აღამიანის ცნობიერების გარეთ მატერიის ობიექტურ არსებობას. „მატერია, — ცწერდა ლენინი, — არის ფილოსოფიური კატეგორია ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც მოცემული აქვს აღამიანის შის შეგრძნებებში, რომლის ასლსაც, სურათსაც, ასახვასაც იძლევიან ჩვენი შეგრძნებანი და რომელიც მათგან დამოუკიდებლად არსებობს“. მატერიის აქვს მთელი რიგი არსებითი თვისებანი, რომელთაგანაც უმთავრესს წარმოადგენს მოძრაობა. მატერია არსებობს. სივრცესა და დროში, რომელიც მატერიის ყოფიერების ფორმებია, მასთან განუყრელად დაკავშირებული.

**მატერია და შეგრძნება.** — მატერიალიზმი მატერიას სთვლის პირველადად, ხოლო ცნობიე-

რეპას, შეგრძნებას — მეორადად, წარმოებულად. სუბიექტური იდეალიზმი პირველადად სთვლის შეგრძნებას და სხეულებს იხილავს, როგორც შეგრძნობათა კომპლექსებს (იხ.). მეტაფიზიკური მატერიალიზმი სწორად ამტკიცებდა, რომ არ არსებობს შეგრძნება. და აზროვნება მატერიის გარეშეო, მაგრამ შემცდარად გულისხმობდა, რომ ისინი დამსახურდითებელია ყველა მატერიისათვის და რომ ამ მხრივ განსხვავება ორგანულ და არაორგანულ მატერიას შორის წმინდა რაოდენობრივია, მხოლოდ ვრაძნობიერების, ცნობიერების ხარისხში. დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ გადასცვლა მატერიიდან შეგრძნებაზე თვისობრივ ნახტომის წარმოადგენს. ნაიალად გამოხატულ ფორმაში შეგრძნება დაკავშირებულია მხოლოდ ორგანულ მატერიასთან, არაორგანულ მატერიაში კი მოცემულია მხოლოდ წანამდვარები იმისათვის, რომ მატერიამ, ცითარდება რა იგი, შეიძინოს შეგრძნებისა და აზროვნების უნარი. „... მატერიის თვით შენობის ფუნდამენტში“ შეიძლება მხოლოდ ვიგულისხმოთ შეგრძნების მსგავსი უნარიანობისა და არსებობას“ (ლენინი).

**მატერიალიზმი** — ორიდან ერთერთი მთავარი მიმართულება ფილოსოფიაში, რომელიც ერთადერთ სწორ პასუხსი იძლევა. ფილოსოფიის ძირითად საკითხზე ყოფიერებისადმი აზროვნების დამოკიდებულების შესახებ. წინააღმდეგ იდეალი-

ზმისა, მატერიალიზმი მატერიას აღიარებს პირ-ველადად, ხოლო ცნობიერებას, აწროვნებას — მუორადად. მატერიალიზმის უმიაღლეს ფორმას წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფიური მა-ტერიალიზმი, რომელიც სიძლევს წინანდელ მატე-რიალისტურ მოძღვრებათა ყველა ნაკლა და სი-სუსტეს. მატერიალიზმი თავის განვითარებაში ემ-ყარებოდა მეცნიერებას, კერძოდ ბუნებისმეტყვე-ლებას. ფილოსოფიის მთელს ისტორიაში, რო-გორც წესი, ფილოსოფიური მატერიალიზმი წარ-მოადგენდა იმ მოწინავე საზოგადოებრივი კლა-სების მსოფლმხედველობას, რომელნიც იბრძო-ნენ პროგრესისათვის, დაინტერესებული იყვნენ მეცნიერებათა განვითარებით. მატერიალიზმი ჩაი-სახა ძველი საბერძნეთის კოლონიაში — იონია-ში VII საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ძველი ზე-რძნული და ქალაქებ-სახელმწიფოების შექმნისა და მათში ხელოსნობისა და ვაჭრობის გაძლიერე-ბული განვითარების ეპოქაში. პირველი ძვე-ლი ბერძენი მოაზროვნების მატერიალისტური მსოფლმხედველობა მჭიდროდ დაკავშირებულია მეცნიერების პირველ ნაბიჯებთან. ძველი ბერძენი ფილოსოფიები (VI საუკ. ჩვენს წელთაღრიც-ხვამდე), ეგრეთწოდებული იონური ფილოსოფიის წარმომადგენელნი (თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქ-სიმენი, პერაცილიტე), ანვითარებდნენ სტიქიურ-მა-ტერიალისტურ და გულუბრყვილო დიალექტიკურ

მსოფლიმზე დღვეულობას. „მატერიალისტური მსოფლიმზე დღვეულობა ბერძენ ფილოსოფოსებთან თავდაპირველად იყო რაღაც თავისთავად საგულისხმი“ (ენგელსი). მათი ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა იყო პირველსაწყისის, პირველმატერიის პრობლემა. თაღესი ყველა წილი პირველსაწყისად სთვლიდა წყალს, ანაუსიმანდირე — ველსაწყისად სთვლიდა წყალს, ანაუსიგაურკვეველ ნიჭთიერებას — აპეირონს, ანაუსიმენი — ჰერკლის, ჰერაკლიტე — ცეცხლს. ახასიათებდა რა იონელთა ფილოსოფიას, ენგელსი სწერდა: „.... აქ ჩვენს წინაშეა მთლიანად თავდაპირველი სტიქიური მატერიალიზმი, რომელიც ბუნებრივად სთვლის თავისი წარმოშობის დროს თავისთავად ნაგულისხმევად ერთიანობას ბუნების მოვლენათა უსასრულო მრავალსახეობაში და ეძებს მას რაღაც განსაზღვრულ სხეულებრივი, რაღაც განსაკუთრებულ ში, როგორც, მაგალითად, თაღესი წყალში“. იღებიდნენ რა სამყაროს საფუთალები სხვადასხვა მატერიალურ საწყისებს, იონიელები იხილავდნენ სამყაროს, როგორც შეკავშირებულ მთელს, როგორც ამ პირველნივთიერებათა ცვლილებისა და გადაქცევის უსასრულო პროცესს. ყველა ისინი თანშობილი დიალექტიკუსები იყვნენ; მოვლენათა საყოველთაო ტავშირი სამყაროში მათთვის წარმოადგენდა უმნავლო ჭვრეტის შედეგს. ეს გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროზე, ყველაზე ნათლად გამოხატა ჰერაკლიტემ (დაახლოე-

ბით 544—484 ჩვენს წელთაღრიცხვამდე). მატერიალიზმის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია უმთავრესად ანაქსიანირას (დაახლ. 500—428 ჩვენს წელთაღრიცხვამდე), ემპერიოკლეს (დაახ. 485—425 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და განსაკუთრებით დემოკრიტეს (460—370 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ეპიკურეს (342—270 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და ლუკრეციუსის (99—55 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სახელებთან. დემოკრიტე, ეპიკურე და ლუკრეციუსი იყვნენ უძველესი ლოკის ატომისტური მატერიალიზმის წარმომადგენლები. ყველაფრის საფუძვლად ისინი იღებდნენ ატომებს—განუყოფად, გაუმჭვალავ, უწვრილეს მატერიალურ ნაწილაკებს, რომლებიც უსასრულო სიცალიერები მოძრაობენ. ფორმით ამ სხვადასხვა ნაწილაკების შეხამებიდან იქმნება, მათი შეხედულებით, ბუნების მოვლენათა მთელი ძრავაღლისახეობა. არსებობს სამყაროთა უსასრულო სიმრავლე. ისინი წარმოიშვნენ ატომების გრიგალისებური მოძრაობიდან. ერთი სამყარო წარმოიშვება, მეორე ისპობა. დემოკრიტეს, ეპიკურეს და ლუკრეციუსის ატომისტური მატერიალიზმი მიმართული იყო სამყაროს ბედიღბალში. ღმერთების ჩანარევის წინააღმდეგ და საერთოდ რელიგიურ ცრულწმენათა წინააღმდეგ. ისინი სთვლიდნენ, რომ სული მატერიალურია, შესდგება უმსუბუქესი ატომებისაგან, და აღიარებდნენ სულის უკავდავებას. საშუალო საუკუნეებში ბატონობდა

იდეალიზმი და სქოლასტიკა. ფილოსოფია ვარდაჭ-  
ცეული იყო ღვთისმეტყველების მსახურად. ზო-  
გიერთმა მატერიალისტურმა ტენდენციამ სქოლა-  
სტიკაში თავი იჩინა ნომინალისტებთან (დუძს  
სკოტი, ვ. ოუამი). ნომინალისტები ამტკიცებადნენ,  
რომ ზოგადი ცნებები არ არსებობენ ნივთებამ-  
დე, როგორც უკიდურესი რეალისტები გვასწავ-  
ლიდნენ, არამედ წარმოადგენენ ერთეულადი კონ-  
კრეტული ნივთების მხოლოდ აღნიშნულობას. მე-  
ცნიერებათა განვითარება და მატერიალიზმის  
აღორძინება დაკავშირებულია ფეოდალური სა-  
ზოგადოების დაშლასთან და წარმოების ახალი,  
კაპიტალისტური წესის ჩამოყალიბებასთან. XV  
საუკუნის დასასრულისა და XVI საუკ. დასაწყი-  
სის დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა (ამე-  
რიკის, ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენა, დე-  
დამიწის ირგვლივ მოვრაურობა) დაამტკიცეს. დე-  
დამიწის ფორმის ბურთისებურობა. კოპერნიკის  
(1473—1543) უარპყო წარმოდგენა სამყაროს  
ცენტრში მყოფი უძრავი დედამიწის შესახებ, რო-  
მელისაც ექლესია იცვლია, და განავითარა სამყა-  
როს გელიოცენტრული სისტემა, ჩასცა. რა გამა-  
ნადგურებელი ლაშვარი საშუალო საუკუნეების  
საეკლესიო მსოფლიმხდველობას. კეპლერის  
(1571—1630) და გალილეის (1564—1642) შრო-  
მებმა დაადასტურეს სამყაროს გელიოცენტრული  
სისტემა, როგორც ერთადერთი მეცნიერული, მი-  
უხედავად წმინდა, რომ ეკლესიამ აკრიძალა ეს მო-

ძლვრება და სასტიკად გაუსწორდა მის დამცველებს. ახალი მატერიალისტური ფილოსოფია, რომელიც ანთოვადებს მეცნიერული აზრის შონა-პოვარს, ებრძვის სქოლასტიკას, საექლესიო ავტორიტეტებს, მიმართავს ცდას, როგორც ჭეშმარიტ მასტავლებელს და ბუნებას, როგორც ფილოსოფიას ხამიდვილ ობიექტს. ახალი დროის მატერიალიზმის მამამთავარი იყო ინგულისელი ფილოსოფოსი ფრ. ბეკონი (1561—1626). ბეკონი გამოვიდა სქოლასტიკის წინააღმდეგ, ცდისეული ცოდნის დასაცავად; იგი შეგრძნებებს, ცდას ჩვენი ცოდნის წყაროდ სთვლიდა. თუმცა ბეკონის მატერიალიზმი მექანისტურ ტენდენციებსაც შეიცავდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ცალმხრივი მექანისტური ხასიათი. ჰობეს-თან (1588—1679), რომელიც ბეკონის მატერიალიზმის სისტემატიზატორს წარმოადგენს, მატერიალიზმია მკაფიოოდ გამოხატული მექანიკური ხასიათი მიიღო. „ვრძნობადობა ჰქარგავს თავის მკვეთრ ფერებს და გეომეტრის აბსტრაქტულ გრძნობადობად იქმნება. ფიზიკური მოძრაობა მსხვერპლად ეწირება მექანიკურ, ან მათემატიკურ მოძრაობას“ (მარქსი). მექანისტურ მატერიალიზმს ანვითარებს თავის ფიზიკური ფრანგი ფილოსოფი დეკარტი (1596—1650), რჩება რა თავის მეტაფიზიკაში იდეალიზმის პოზიციებზე. ფილოსოფოსი გასენდი (1592—1655) აღადგენს ეპიკურეს ატომისტურ

მატერიალიზმის და ებრძვის დეკარტის იდეალის-ტურ მეტაფიზიკას. დიდი ჰილანდიელი ფილოსოფოსი სპინოზა (1632-1677) სძლევს დეკარტის დუალიზმს. სპინოზა საფუძვლად ღებულობს ერთიან სუბსტანციას — ბუნებას. განვენილობას და აზროვნებას იგი იხილავს როგორც ამ ერთიანი სუბსტანციის აუცილებელ და განუყრელ თვისებებს (ატრიბუტებს). სამყაროს ერთიანობის გავებისა და თვით სამყაროდანვე, სამყაროს ახსნის ძისწრაფებამ სპინოზასთან გამოხატულება ჰქოვა მოძღვრებაში სუბსტანციაზე, როგორც თავისი თავის მიზეზზე. მიუწერავადავართ მთელი რიგი სუსტი მხარეებისა და ნაკლოვანებებისა, სპინოზას ფილოსოფია წარმოადგენს იმ დროის ცოდნათა გრანიცულ სინთეზს. ლოკის (1632—1704) ფილოსოფიამ, რომელიც არ იყო თავისუფალი იდეალიზმიდან და აგრძელებიციზმიდან, მაგრამ რომელიც ანუითარებდა მატერიალისტურ დებულებას იმის შესახებ, რომ აღქმანი, რომლებსაც ჩვენ დღებულობთ გარეგანი სამყაროდან გრძნობიათა ორგანოებით, წარმოადგენენ. შემეცნების წყაროს, გავლენა მოსხდინა XVIII საუკუნის ფრანგი ჰატერიალისტების შემეცნების თეორიაზე. ფრანგული მატერიალიზმი (ლამეტრი (1709—1751), ჰოლბახი (1723—1789), დიდრო (1713—1784), ჰელვეციუსი (1715—1771) და სხვ.), რომელმაც განაზოგადა XVII და XVIII საუკუნეების ბუნებისმეტყველების წარმატებანი და რომელიც საფ

რანგეთის 1789 წ. რევოლუციის წინადღით ფეო-  
დალური იდეოკლოგიის წინააღმდეგ რევოლუცი-  
ური ბურუუაზიის ბრძოლის თეორიულ იარაღად  
ძოვევლინა, განსაკუთრებით მებრძოლ და პრო-  
გრესიულ ხასიათს ატარებდა. ფრანგი მატერია-  
ლისტები გამოდიოდნენ მეცნიერული პროგრესი-  
სათვის მებრძოლებად, რელიგიური ბნელეთის  
მოციქულობის წინააღმდეგ, XVII საუკ. იდეალი-  
სტური მეტაფიზიკის წინააღმდეგ. მაგრამ ფრან-  
გული მატერიალიზმი არ სცილდებოდა შეტაფი-  
ზიკური მატერიალიზმის, მოძრაობის მექანიკური  
გაგების ფარგლებს. ფრანგი მატერიალისტები  
იყვნენ იდეალისტები საზოგადოებრივ მოვლენათა  
ახსნაში. მარქსისმიდე არსებული მატერიალიზმის  
უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი იყო გერმა-  
ნელი ფილოსოფოსი ლ. ფეიერბახი (1804—1872).  
ებრძოდა რა ჰეგელის იდეალიზმის, ფეიერბახი ამ-  
ტკიცებდა, რომ ბუნება არსებობს ცნობიერები-  
საგან დამოუკიდებლად, რომ აღამიანი ბუნების  
პროცესია. მაგრამ ფეიერბახი აღამიანს იშილავ-  
და აბსტრაქტულად, მხოლოდ როგორც აღამიანს  
საერთოდ, მაგრამ არა როგორც კონკრეტულ სა-  
ზოგადოებრივ აღამიანს, რომელიც მის გარემომ-  
ცველ სამყაროს სცვლის. ვერ გაიგო რა საზოგა-  
დოებრივი პრაქტიკის მნიშვნელობა, ფეიერბახი  
დარჩა ჭვრეტითი მატერიალიზმის პოზიციებზე,  
ხოლო საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში —  
იდეალისტად. ფეიერბახი გამოვიდა რელიგიის

მეცნიერებით კრიტიკით. მესამედაში მას არ შეუძლია ძალა გამოიყენოს რელიგიის სოციალური ფესტივალი და ახალი რელიგიის — გულის რელიგიის, სიყვარულის რელიგიის მიტიკიცებამიზე მივიღო. უკუაგდო რა პეგულის იდეალიზმი, მან უკუაგდო მისი დიალექტიკაც და დარჩება მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებზე. მხოლოდ მარქსისა და ენგელსია — ერთადერთი თანმიმდევრულ-რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის იდეოლოგებმა, გადაამსუშავეს რა ყოველივე ის ძვირფასი, რაც წინანდელ მეცნიერულმა და ფილოსოფიურმა აზრმა მოგვცა, შეპერნეს მატერიალიზმის უმაღლესი ფორმა — დიალექტიკური მატერიალიზმი. მარქსისა და ენგელსია პირველად გაავრცელეს მატერიალიზმის წინაგადების სახით გადოების შემცირებაზე, შეპერნებაზე, შეპერნეს რა ისტორიული მატერიალიზმი. მარქსისა და ენგელსის შემდეგ ბურჟუაზიული ფილოსოფიები და მეცნიერები ზოგჯერ ცდილობდნენ მკვდრეთით აღედგინათ მატერიალიზმის წინანდელი ფორმები, აძლევდნენ რა მათ გამარტივებულ და ვულგარულ ხასიათის (ვულგარული მატერიალისტები — ბიუხნერი, ფონტი, მოლეშორტი, რომელიც გამოვიდნენ გერმანიაში XIX საუკ. 50-60 წლებში). მარქსი და ენგელსი იმრძოდნენ ასეთი ულაზათო, ვულგარული მატერიალიზმის წინააღმდეგ. დისალექტიკური მატერიალიზმი, განვითარებული შემდგომ ლენინისა და

სტალინის შრომებში, წარმოადგენს ბოლშევიკური პარტიის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას.

**მატერიალიზმი ვულგარული — იხ. ვულგარული მატერიალიზმი.**

**მატერიალიზმი ისტორიული — იხ. ისტორიული მატერიალიზმი.**

„**მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი**“ — ლენინის გენიალური ნაწარმოები, რომლის გამოსვლამ დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიის განვითარებაში ახალი ეპოქა აღნიშნა. ეს წიგნი მოგვევლინა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის თეორიულ მომზადებად. წიგნი „**მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი**“ ლენინმა დასწერა 1908 წელს და გამოვიდა 1909 წლის მაისში. ლენინის მიერ ამ ფილოსოფიური შრომის შექმნის უშუალო საბაბს წარმოადგენდა რუსი მახისტების მხილების აუცილებლობა, რომლებიც რეაქციის წლებში მარქსიზმის „დაცვის“ ბაირალით მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მაგრამ ლენინის შრომა შორს გასცილდა ამ ამოცანის ფარგლებს. ლენინმა არა მარტო ამხილა მახისტების თვალთმაქცური ხასიათი, არამედ დაიცვა და განავითარა ახალი ტიპის პარტიის თეორიული საფუძვლები და გენიალურად განაზოგადა ყოველივე არსებითი იქიდან, რაც მოპოებული იყო რევოლუციური გამოცდილებისა და მეცნიერების მიერ მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ენგელსიდან ლენინამდე. ლენინმა გამოა-

მუღავნა ემპირიოკრიტიკოსების მოძღვრების რეაქციული ხასიათი და გვიჩვენა, რომ ისინი აღაღენენ მკვდრეთით ძველ იდეალისტურ ხარახურას — ეპისკოპოს ბერკლის მოძღვრებას და იუმისა და კანტის აგნოსტიციზმს, ექანებიან ხუცობისაკენ, რელიგიის დაცვისაკენ. ლენინმა თანმიმდევრობით განავითარა მარქსიზმის თვალსაზრისი, როგორც ერთადერთი სწორი და მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული. იცავდა რა მარქსიზმს, ლენინმა დაიცვა ასახვის თეორია, გვიჩვენა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიას საფუძვლად უდევს ობიექტური სამყაროსი და აღამიანის ტვინში მისი ასახვის აღიარება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეხუთე თავს, რომელშიც ლენინმა მოგვცა ბუნებისმეტყველებაში მომხდარი უახლესი რევოლუციის ანალიზი, ყოველმხრივად გამოამჟღავნა ბურჟუაზიული მეცნიერების კრიზისის მიზეზები და დაამტკიცა, რომ მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის შემწეობით შეიძლება დავძლიოთ კრიზისი ბუნებისმეტყველებაში. წიგნში გაშუქებულია ბოლშევეკური პარტიის მეთოდოლოგიისა და მსოფლმხედველობის ყველა ძირითადი საკითხი. იგი გამსჭვალულია თავიდან ბოლომდე ღრმა პრინციპულობით, ბოლშევიკური პარტიულობით და მებრძოლი შეურიგებლობით რევოლუციურ მარქსიზმიდან ყოველგვარ გაღახვევასთან.

მატერიალური დოკუმენტის წარმოების წესი — ცხოვრების იმ საშუალებათა (საზრდოს, ტანსაცმლის, საცხოვრებელი ბინის, წარმოების იარაღთა და სხვ.) მოპოების წესი, რომელნიც აუცილებელია აღამიანთა არსებობისათვის. იმისათვის, რათა საზოგადოებას შეეძლოს ცხოვრება და განვითარება. წარმოების წესის ერთ მხარეს შეაღგენენ საზოგადოების საწარმოო ძალები (იხ.) მათში გამოიხატება აღამიანის დამოკიდებულება საგნებისადმი და ბუნების ძალებისადმი, რომლებსაც იყენებენ არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოკუმენტის შესაქმნელად. მეორე მხარე — ესაა აღამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი (იხ.), ურთიერთობანი აღამიანებს შორის მატერიალური წარმოების პროცესში, ურთიერთობანი, რომელნიც უპასუხებენ კითხვას: ვის მფლობელობაში იმყოფება წარმოების საშუალებანი. წარმოების ყოველი ისტორიულად განსაზღვრული წესი (პირველყოფილთემური, მონათმფლობელური, ფეოდალური და ა. შ.) არის საწარმოო ძალებისა და მათ შესაბამის წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობა. წარმოების წესი უდევს საფუძვლად აღამიანთა საზოგადოებრივ წყობილებას და განსაზღვრავს მის ხასიათს. წარმოების ყოველი ახალი წესი ნიშნავს ახალ, უმაღლეს საფეხურს კაცობრიობის ისტორიაში. „ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების განვითარების ღისტორია არის, უწინარეს ყოვლისა, ის-

ტორია წარმოების განვითარებისა, ისტორია წარმოების წესებისა, რომლებიც სცვლიან ერთიმეორეს საუკუნეთა მანძილზე, ისტორია საწარმოო ძალთა და აღამიანების წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა” (საკ. კ. პ. (ბ) ი ს ტ ო რ ი ი ს მოკლე კურსი).

**მატერიის ფილოსოფიური გაგება — იხ. მატერია.**

**მატერიის ფიზიკური, ანუ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული გაგება — იხ. მატერია.**

**მახაევშინა —** მტრული, რეაქციული დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი, განსაკუთრებით მარქსისტული, სოციალისტური ინტელიგენციისადმი. თავისი სახელწოდება ამ ანარქიულშა, ანტიპროლეტარულმა დამოკიდებულებამ სოციალისტური ინტელიგენციისადმი მიიღო მახაისკის სახელის მიხედვით. თავის წიგნში „გონებრივი მუშა“, რომელიც 1898 წელს გამოვიდა, მახაისკი ამტკიცებდა, რომ ინტელიგენცია წარმოადგენს ექსპლოატატორულ, პარაზიტულ კლასს, რომელიც შრომის თავისი იარაღებით (ცოდნით) ექსპლოატაციას უწევს მუშათა კლასს. ინტელიგენცია, მახაისკის მიხედვით, მტრულია პროლეტარიატისადმი ყოველგვარ პირობებში; მარქსისტული ინტელიგენცია კი, რომელიც ცდილობს სოციალისტური შეგნება ჩაუნერგოს მუშათა კლასს, მახაისკის აზრით, პროლეტარიატის მთავარ მტერს წარმოადგენს. მახაევშინა „ეკონომიზმის“ სახე-

სხვაობა იყო. იგი მიმართული იყო სოციალიზმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. მახაისკის საღარბევო აგიტაცია ინტელიგენციის წინააღმდეგ, დაკავშირებული შავრაზმელობასთან, უცხო და მტრული იყო მოწინავე მუშების მიმართ და მუშები მას მხარს არ უჭერდნენ. პროლეტარიატის პარტია მუდამ დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა მახაევშჩინის წინააღმდეგ და ამჟამად ებრძვის იგი მის ყოველგვარ ნაშთებს ჩვენი საბჭოთა, მშრომელი, ხალხიდან გამოსული ინტელიგენციის მიმართ.

